# საერთო გაზეთი

№31 (623)
ოთხშაბათი
1 სექტემბერი, 2021წ.
ფასი 1.50 ლ.

## დაუსჯელობის სინდრომი, ანუ რა უნდათ ქვეყნის გამყიდველებს და მოღალატეებს არჩევნებში?



მოვუწოდებ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს: შექმენით კომპეტენტური სახელმწიფო საგამოძიებო კომისია, რომელიც ობიექტურად შეისწავლის როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის ამბებს, ასევე იმასაც დაადგენს, რატომ გადაარქვა სააკაშვილმა სახელი კოდორის ხეობას და რატომ აღადგინა ე.წ. სამხრეთ ოსეთი თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც მოგვიანებით საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვად დაუჯდა.



## გოგი თოფაძე: საქართველოს, მრეწველობასთან ერთად, დიდი სიყვარული, ეროვნული თანხმობა და ერთიანობა გადაარჩენს!

### თბილისს კახა კალაძეზე უკეთესი მერი არასდროს ჰყოლია

რაც კახა კალაძემ გასული ოთხი წლის განმავლობაში გააკეთა, ამას ბევრი ათ წელიწადში ვერ მოახერხებდა.





გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე, ვაკის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი, საქმიანი, წესიერი, თავმდაბალი პიროვნებაა, რომელიც უხმაუროდ, მაგრამ თავდადებით ემსახურება ქალაქს

### „ინოვაციური“ იდეა მიხეილ „ქინძს“: დაიკარგე აქედან შენი იდეებით, შე კაცისმკვლელო პარანოიკო!

### ლეშის მჭამელის ყალბი ცრემლები

### „მე გაოცებული ვარ იმით, რომ ამდენი ფული მაქვს“



### მესამე „ძალა“



### იბოს ტომის მეფე თბილისის მერად!



### როგორ გავაძლიეროთ იმუნიტეტი პანდემიის პირობებში?

## „საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# დაუსჯელობის სინდრომი, ანუ რა უნდათ ქვეყნის გამყიდველებს და მოღალატეებს არჩევნებში?



**მოვუწოდებ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს შექმენით კომპეტენტური სახელმწიფო საგამოძიებო კომისია, რომელიც ობიექტურად შეისწავლის როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის ამბებს, ასევე იმასაც დაადგენს, რატომ გადაარქვა სააკაშვილმა სახელი კოდორის ხეობას და რატომ აღადგინა ე.წ. სამხრეთ ოსეთი თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც მოგვიანებით საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვად დაუჯდა.**



**ვახტანგ ხარჩილავა:**

შექმენით კომპეტენტური სახელმწიფო საგამოძიებო კომისია, რომელიც ობიექტურად შეისწავლის როგორც 2008 წლის აგვისტოს ომის ამბებს, ასევე იმასაც დაადგენს, რატომ გადაარქვა სააკაშვილმა სახელი კოდორის ხეობას და რატომ აღადგინა ე.წ. სამხრეთ ოსეთი თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რაც მოგვიანებით საქართველოს ტერიტორიის 20%-ის დაკარგვად დაუჯდა.

ამასწინათ ვიღაც ოყლაყი გამოვარდა „მთავარის“ ეკრანზე და ოპოზიციას მოუწოდა: თუ მართლაც არსებობს ოპოზიცია, გაერთიანდით და პანღურით გამოვყაროთ ეს „ქართული ოცნება“ იქიდანო.

არ ვიცი, რა დისლოკაცია იგულისხმება ამ „იქიდან“-ში, თუმცა პანღურთან დაკავშირებით ყველაფერი გასაგებია.

ძალიან მაინტერესებს, ისჯება თუ არა კანონით ასეთი მოწოდებები და თუ ისჯება, არის თუ არა ეს ოყლაყი საიმედოდ გამოკეტილი იქ, სადაც მაგისთანების ადგილია.

ამ ოყლაყმა უბრალოდ გათქვა კულისებში თუ კულუარებში გაგონილი გულისნადები იმ პარტიისა, რომლის მხარდამჭერიც ბრძანდება ეს ტლუ და გონებაშეზღუდული არსება.

უკვე არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ „ნაცმოძრაობა“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის კი არა, არეულობისთვის ემზადება.

სცენარი იგივეა, რაც 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს იყო — არჩევნების დღესვე, 2 ოქტომბერს, საღამოს, ან მეორე დღეს, 3 ოქტომბერს, „ნაცმოძრაობა“ შეეცდება ქუჩაში გამოიყვანოს აგრესიულად განწყობილი ადამიანების მასა ლოზუნგით: არჩევნები გაყალბდა! რასაც მოჰყვება პარლამენტის, ცესკო-ს, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების ბლოკირების მცდელობა და სხვა უკიდურესად პროვოკაციული ხასიათის ქმედებები.

„ნაცმოძრაობა“ ყველაფერს გააკეთებს, რომ სიტუაცია უკიდურესად გაამწვავოს და მდგომარეობა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვრამდე მიიყვანოს, რომ მერე ამ ფონზე აშანტაჟოს როგორც ხელისუფლება, ასევე ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები — ევროკავშირი, აშშ-ის კონგრესი და ადმინისტრაცია, რომლებსაც, ცხადია, არანაირად არ აძლევთ ხელს საქართველო, მათი ერთადერთი საყრდენი კავკასიის რეგიონში, დესტაბილიზაციის კერად იქცეს.

ცხადია, ამ შანტაჟის უკან ნათლად იკვეთება სილუეტი რუსეთისა, რომელსაც საქართველოში არეულობა და უმართავი პროცესები სამართლებრივ ბერკეტებს ანიჭებს, ჩაერიოს კონფლიქტის მოგვარებაში, რომ ამით დაიცვას საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოება მეზობელი სახელმწიფოდან მომდინარე საფრთხეებისგან.

საუბედუროდ, რუსეთს თავისი მიზნის განსახორციელებლად შორიდან მოსვლა არ დასჭირდება — ის აქ არის და მისთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მომენტალურად დაამყაროს სრული კონტროლი.

„ნაცმოძრაობა“ შესანიშნავად სპეკულირებს არსებული სიტუაციით და ცდილობს, თავისი პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ მაქსიმალურად გამოიყენოს რუსული საფრთხობელა და ქვეყანაში ისეთი კრიზისული ვითარება შექმნას, როცა ერთი მცირე ბიძგი და ეს საფრთხობელა, შეიძლება, ისეთ მრისხანე მანქანად იქცეს, რომლის შეკავება შეუძლებელი იქნება.

ჩვენ ხშირად გვესმის ასეთი ფრზები ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალაზე: პრორუსული ძალაა, რუსეთთან არის შეკრული, რუსეთის კარნახით და მასთან შეთანხმებით მოქმედებს და ა. შ.

„ნაცმოძრაობა“ იმიტომაც არის ყველაზე გახრწნილი, ყველაზე ამორალური და ფარისევლური ძალა, რომ ის ერთი შეხედვით არც რუსეთთან არის შეკრული, არა რუსეთის კარნახით და მასთან შეთანხმებით მოქმედებს თითქოს, მაგრამ ის ქმნის სიტუაციას, ქმნის ისეთ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც ერთადერთი რუსეთისთვის არის უკიდურესად ხელსაყრელი.

„ნაცმოძრაობისა“ და რუსეთის ამგვარი ურთიერთობა რაღაცით ჰგავს ფარულ, გაუმხელელ მიჯნურობას, როცა ორს ერთმანეთი უყვარს, მაგრამ ამ სიყვარულს ვერ ამხელენ, თუმცა ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ერთმანეთს ასიამოვნონ და ერთმანეთი მიახვედრონ, რომ ერთმანეთის გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ.

ყოველივე ამის შემდეგ ნამდვილი ცინიზმია, როცა „ნაცმოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ აბრალებს პრორუსულობას და დასავლეთს არწმუნებს, რომ „ქართული ოცნება“ საქართველოს რუსულ ორბიტაზე აბრუნებს.

არანაკლებ დიდი ცინიზმია, როცა ვიღაცა ამ ცინიკურ ტყუილს ხალისით იჯერებს და არხას არხაზე აცხობს რუსეთისკენ „გადაქანებული“ „ქართული ოცნების“ აქეთ, ნათელი მხარისკენ, გადმოსაქაჩად.

სამწუხაროდ, „ქართულმა ოცნებამ“ დღემდე ვერ მოახერხა როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ასევე ჩვენი დასავლეთელი მეგობრებისა და პარტნიორებისთვის დამაჯერებლად აეხსნა და გაეშიფრა, ურთიერთობის რა ფორმასთან გვაქვს საქმე, როცა „ნაცმოძრაობისა“ და რუსეთის ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ.

მით უმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლებას აქვს უამრავი მყარი არგუმენტი, უამრავი დოკუმენტი, უამრავი სამხილი, რომლითაც მტკიცდება, რომ „ნაცმოძრაობის“ მიერ რუსეთთან მიმართებაში მიღებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ცალმხრივად და ერთმნიშვნელოვნად, რატომღაც, ყოველთვის რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს და მის ინტერესებს ემსახურებოდა.



ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც ღიად და აშკარად შეიცავს ნიშნებს იმ უმძიმესი დანაშაულისა, რომელიც „ნაცმოძრაობას“ საკუთარი ქვეყნისა და საკუთარი ხალხის წინაშე აქვს ჩადენილი.

მართალია, „ქართული ოცნება“ სისტემატურად კი წამოაძახებს ნაციონალებს, დამნაშავეები და ნაძირლები ხართ თქვენო, მაგრამ ეს ეპითეტები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ზეპირსიტყვიერების იქით არ მიდის, პოლიტიკური ხასიათის შაირობები და ზოგადად, პოლიტიკური ფოლკლორი კი, რაც უნდა სკაბრეზული იყოს იგი, დამნაშავის დასჯის მექანიზმად ვერ გამოდგება, თუ დამნაშავეზე გამოძიება არ დაიწყება და სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება.

ასე რჩებიან დაუსჯელები სკაბრეზული შინაარსის პოლიტიკური ფოლკლორის პერსონაჟებად ქცეული კრიმინალები, ბანდიტები, ქვეყნის გამყიდველები და მოღალატეები, რომლებიც მერე ოპოზიციას ირქმევენ და როგორც წესიერი და პატიოსანი მოქალაქეები, არჩევნებში იღებენ მონაწილეობას.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ 2008 წლის აგვისტოს ომზე, მაგრამ თითქმის არაფერს ვამბობთ იმაზე, აგვისტოს ომამდე გაცილებით ადრე, რატომ გადაარქვა სააკაშვილმა კოდორის ხეობას სახელი და რატომ დაარქვა ზემო აფხაზეთი? რატომ აღადგინა თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში ე.წ. სამხრეთ ოსეთი და რატომ შეტენა იქ ხელმეორედ ახალგორი, რომელიც ჯერ კიდევ გუმბარიძის დროს ადგილობრივი ქართველობის კატეგორიული მოთხოვნით გამოეყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

ჩვენ არაფერი ვიცით იმ გამაოგნებელი, შემაძრწუნებელი საიდუმლოს შესახებ, რაც „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის მიერ ჩადენილი ამ დანაშაულის მიღმა იმალება.

„საერთო გაზეთის“ ფურცლებზე ბევრჯერ დაგვიწერია ამ დანაშაულის შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, კოლექტიური ხასიათისაა და რომელშიც სააკაშვილისა და სხვა ნაციონალი მაღალჩინოსნების გარდა, თავისი წილი აქვს შეტანილი იმდროინდელ პარლამენტს, ქ-ნი ნინო ბურჯანაძის მეთაურობით, გამომდინარე აქედან, ამ დანაშაულზე დაწვრილებით საუბარი ზედმეტად მიგვაჩნია, თუმცა ვიტყვით მხოლოდ ერთს: 2008 წლის აგვისტოს ომამდე სააკაშვილმა და მისმა გუნდმა პარლამენტის მიერ დამტკიცებული ისეთი იურიდიული ბაზა შეუქმნეს მომავალ ოკუპანტს, რუსეთს, რომელიც მას გაუადვილებდა ეს ორი სეპარატისტული რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ეცნო.

მავთულხლართები, რომლებიც დღეს საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს შორის ივლება, ზუსტად მიჰყვება იმ საზღვარს, რომელიც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა გაავლეს მათ მიერვე რესპუბლიკად აღიარებულ „სამხრეთ ოსეთსა“ და საქართველოს შორის.

თუ კვალიფიციური გამოძიება ჩატარდება, გამოძიება, დიდი ალბათობით, აუცილებლად მივა იმ დასხკვნამდე, რომ მიხეილ სააკაშვილი სამშობლოს მოღალატე და სამხედრო დამნაშავეა და ასევე სამშობლოს მოღალატეები და სამხედრო დამნაშავეები არიან მისი გუნდის წევრები კეზერაშვილი, ადეიშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი, უგულავა, სხვები და სხვები, რომლებმაც საქართველოს უდიდესი ზიანი მიაყენეს.

სამშობლოს მოღალატეა ყველა ის პარლამენტარი, ნინო ბურჯანაძის მეთაურობით, რომლებმაც ყოველგვარი შეკამათებისა და წინააღმდეგობის გარეშე ხმა მისცეს სააკაშვილის ანტისახელმწიფოებრივ, ანტიქართულ პროექტს და „სამხრეთ ოსეთი“ თავის ძველ, საბჭოთა პერიოდის დროინდელ ადმინისტრაციულ საზღვრებში აღადგინეს, ზედ კი ახალგორი „დაააკლეს“ ზვარაკივით, არჩევნები ჩაატარეს და ვინმე სანაკოევი აირჩიეს „პრეზიდენტად“.

აი, ამის ჩამდენი ადამიანები, ეს ქვეყნის მოღალატეები, ეს წმინდაწყლის სამხედრო დამნაშავეები, აწ უკვე ოპოზიციურ ძალად

წოდებულნი, უკვე მერვედ იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის არჩევნებში და ჯერჯერობით სახელმწიფოს დონეზე არავის უთქვამს: ამათ არჩევნებში რა უნდათ, ამათი ადგილი ციხეშიაო.

არჩევნებში მონაწილეობას კი არ ჯერდებიან მხოლოდ, ხელისუფლებაში მობრუნება უნდათ და არჩევნებს რომ არ გვიყალბებდნენ, უკვე ხელისუფლებაში ვიქნებოდით დიდი ხნის წინათო, ამტკიცებენ.

— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კი არა, ეს არის რეფერენდუმი. ამ რეფერენდუმზე გადაწყდება, ეს ქვეყანა იარსებებს თუ არა საერთოდ. ყველამ უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 43% ვერ აიღოს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოსო, — ასეთი თავხედური გეგმები აქვთ ნაციონალებს და ჯერჯერობით თავხედობა, უტიფრობა, ფარისევლობა, აგრესია, რაც მათ პოლიტიკური ბრძოლის მთავარ ბერკეტად აქვთ არჩეული, ამართლებს.

სწორედ მათი ძალადობის, პროვოკაციების, შანტაჟის შედეგად გაჩნდა შარლ მიშელის დოკუმენტში ეს აშკარად ანტიკონსტიტუციური და არასამართლებრივი ჩანაწერი 43%-ის შესახებ, რომელსაც თავისი აბსურდულობის გამო ანალოგი არ მოეპოვება საერთაშორისო სამართლის პრაქტიკაში.

ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის, ამ კრიმინალურ-ფაშისტური ძალის, „ნაცმოძრაობის“, თვრამეტწლიანი პარპაში ქართულ პოლიტიკაში, არა მარტო უკიდურესად შეურაცხმყოფელია ქართველი ხალხისთვის, არამედ უკიდურესად საზიანოა მთელი ქვეყნისთვის.

„ნაციონალური მოძრაობა“ ლოდივით არის ჩამოკიდებული ქართული სახელმწიფოს კისერზე და ფსკერისკენ მიათრევს.

**მოვუწოდებ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს!**

აი, დავწერე ეს სიტყვები და უცებ გამახსენდა: საქართველოში, ვისაც არ ეზარება, ყველა ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს და ყველა რაღაცის გაკეთებისკენ მოუწოდებს.

თვითონ დიდად თავის შეწუხება არ უნდათ, მაგრამ ომახიანი მოწოდებები, იცოცხლე, უყვართ!

საკუთარი თავი მაინცდამაინც არ ემეტებათ გასაწირად, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილს კი კატეგორიული ტონით მოუწოდებენ თავგანწირვისკენ, თუმცა ამ ახალგაზრდა კაცის პოლიტიკურ საქმიანობას რომ ვაკვირდები და მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს რომ ვიხსენებ, ვრწმუნდები: ამ ადამიანს არც არავის მოწოდება სჭირდება და არც არავის წაქეზება — ის ყოველთვის აკეთებს იმას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოს ინტერესებისთვის და ამ დროს ხშირად სასწორზე დებს საკუთარ პოლიტიკურ კარიერას.

**გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა სწორედ რომ თავდადებისა და თავგანწირვის მაგალითია და ამის დასადასტურებლად არაერთი ფაქტის დასახელება შეიძლება.**

გავიხსენოთ თუნდაც 5 ივლისის ამბები.

ირაკლი ღარიბაშვილმა განა არ იცოდა, რომ 5 ივლისს მის მიერ მიღებულ პრინციპულ გადაწყვეტილებას რა უზარმაზარი ზეწოლა და უკმაყოფილება მოჰყვებოდა პრაიდის მხარდამჭერებისგან, როგორც შინ, ასევე გარეთ?!

ის შესანიშნავად აცნობიერებდა იმასაც, რომ ეს გადაწყვეტილება მას შეიძლებოდა თანამდებობის დაკარგვად დაჯდომოდა, მაგრამ მან მაინც ის გააკეთა, რასაც ქართველი ხალხი ითხოვდა, რაც ქართველი ხალხის ტრადიციებს, მის ეროვნულ ღირსებას, მის რელიგიურ მრწამსს და რწმენას არ შეურაცხყოფდა.

ბევრი პოლიტიკოსი გვეგულება საქართველოში, ვისაც მსგავსი სიმამაცის გამოჩენა შეუძლია?

არ შემიძლია კიდევ ერთი რამ არ ვთქვა.




მე კარგად ვიცნობ იმ სიტუაციას, როცა „ქართული ოცნება“ ის-ის იყო, პირველ ნაბიჯებს დგამდა და უამრავი დაბრკოლებებით და ბარიკადებით ჩახერგილ გზაზე წინ წაწევას ცდილობდა.

ამ უკიდურესად კრიტიკულ ვითარებაში დადგა ერთი მომენტი, როცა ირაკლი ღარიბაშვილს და მის ოჯახს განსაკუთრებული სიმტკიცე და შეუპოვრობა რომ არ გამოეჩინა, შეიძლებოდა ყველაფერი წყალში ჩაყრილიყო.

ალბათ, ოდესმე დაწვრილებით მოვყვები, თუ რაზეა საუბარი და, ამასთან ერთად, იმასაც მოვყვები, თუ რა ჯოჯოხეთური გზა გამოიარეს იმ ადამიანებმა, ვინც „ნაცმოძრაობის“ კრიმინალურ-ფაშისტურ რეჟიმზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს, რომელმაც საქართველოს ბედი მთლიანად შეცვალა.

ამ ადამიანების ღვაწლი და დამსახურება მხოლოდ გამარჯვებით კი არა, ალბათ, იმით უნდა გაიზომოს, რა ელოდათ მათ იმ შემთხვევაში, „ქართული ოცნება“ რომ დამარცხებულიყო.

მათ იცოდნენ, რა მკაცრი იქნებოდა მათ მიმართ სისხლისმოყვარე „ნაცმოძრაობის“ სასტიკი შურისძიება, მაგრამ მაინც ბოლომდე გაიარეს ეს ურთულესი გზა.

აი, ეს არ უნდა დაავიწყდეთ ვიღაც-ვიღაცებს, გამარჯვებულ „ქართულ ოცნებას“ გზაში რომ წამოეწივნენ, მერე წინ რომ გადაუსწრეს და ახლა ზემოდან რომ დაჰყურებენ იმ ადამიანებს, ვინც ეს გამარჯვება გამოჭედა.

ირაკლი ღარიბაშვილი ამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი გმირი და შემოქმედია.

შეიძლება არასწორია, შეიძლება უტაქტობაა, რომ ასეთ კაცს მოწოდებით მივმართო, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს.

**მოვუწოდებ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს**, დაუყოვნებლივ შექმენით კომპეტენტური ადამიანებისგან შემდგარი საგამოძიებო კომისია, რომელიც ობიექტურად და მიუკერძოებლად შეისწავლის მიხეილ სააკაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 2008 წლის აგვისტოს ომში და მის წინა პერიოდში ჩადენილ უმძიმეს დანაშაულობებს, რომელთა შედეგად საქართველომ ტერიტორიების 20% დაკარგა, ქვეყანას მიადგა უდიდესი მორალური და მატერიალური ზიანი, ათიათასობით ადამიანი დევნილად იქცა.

სასურველი იქნება, თუ ამ კომისიაში შევლენ როგორც ადგილობრივი, ასევე სხვადასხვა ქვეყნებიდან და ორგანიზაციებიდან მოწვეული სპეციალისტები და ექსპერტები.

დარწმუნებული ვარ, გამოძიების შედეგად ისეთი მასალები დაიდება, რომლებიც ნათელს მოჰფენენ წარმოუდგენელი მასშტაბების შეთქმულებას საქართველოს წინააღმდეგ.



იმდენად მძიმე და შემაძრწუნებელი იქნება სურათი, რომელიც ამ გამოძიების შედეგად დაიხატება, შეიძლება ამან დიდი ეროვნული შოკი გამოიწვიოს, თუმცა ეს იქნება ერის გამოსაფხიზლებლად საჭირო და სასარგებლო შოკი, რომელიც დადებით როლს ითამაშებს ქვეყნის შემდგომი განვითარების საქმეში.

**მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ბევრი წინააღმდეგობა შეგხვდეთ, ეს საქმე მაინც თქვენ უნდა გააკეთოთ, ბატონო ირაკლი, რადგან ქართულ პოლიტიკაში არც ახლა და არც ახლო მომავალში, ჯერჯერობით, არ მეგულება სხვა ისეთი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც ამ სამამულო და საშვილთაშვილო მისიის შესრულებას შეძლებს.**

არადა, ასე გაგრძელებაც არ შეიძლება, რადგან ის, რაც დღეს ქართულ პოლიტიკაში ხდება, უკიდურესად შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია ქართველი ხალხისთვის.

არ შეიძლება მოღალატეებთან და ქვეყნის გამყიდველებთან ერთად ვატარებდეთ არჩევნებს და იმის ალბათობას ვუშვებდეთ, რომ ეს მოღალატეები და ქვეყნის გამყიდველები, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, კვლავ ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ.

— რა ვქნათ, ქვეყანაში დემოკრატიაა, მათ მხარდამჭერები ჰყავთ და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ხომ ვერ აუკრძალავთ? — შემომედავებიან, ალბათ.

მათ იმიტომ ჰყავთ მხარდამჭერები, რომ ამ ადამიანებმა და მათთან ერთად სხვებმაც, არ იციან დოკუმენტურად დადასტურებული და ფაქტებით დამტკიცებული სიმართლე მათ შესახებ, ვისაც მხარს უჭერენ და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ დიდი სიმართლე არ ითქმება.

— ცხრა წელია, ნაციონალებზე ვლაპარაკობთ და ნუთუ კიდევ არ ვიცით სიმართლე მათ შესახებ? — ისმის კითხვა.

არა, არ ვიცით! ვიცით მხოლოდ ნაწილი ამ სიმართლისა, ვიცით მხოლოდ ის, რაც ზედაპირზე დევს, მაგრამ კიდევ რა შემზარავი საიდუმლოებები ინახება „ნაცმოძრაობის“ ბნელ კატაკომბებში, არ ვიცით!

დავით გარეჯთან დაკავშირებით ატეხილი განგაშის დროს, რომელიც აბსოლუტურად სწორი და ლეგიტიმური იყო, ითქვა, რომ საქართველომ ათიათასობით კვადრატული მეტრი ქართული მიწა დაკარგა.

კი, მაგრამ, რამდენი კვადრატული მეტრი ქართული მიწა დაკარგა საქართველომ იმ 150-მდე ქართული სოფლის დაკარგვით, რომელიც ხონჩით მიართვეს ნაციონალებმა რუსებს და რომლებზეც მოგვიანებით არხეინად ამბობდნენ: დიდი ამბავი, ეს კლდეები და ქვაღორღიანი ადგილები თუ დავკარგეთო.

არსებობს კატეგორია დანაშაულებისა, რომლებიც ხანდაზმულობის ვადას და ჩამოწერას არ ექვემდებარება.

ასეთი დანაშაულების კატეგორიას მიეკუთვნება ის დანაშაულები, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ აქვს ჩადენილი.

პინოჩეტი 82 წლისა იყო, სამართალმა კარებზე რომ მიუკაკუნა.

საგამოძიებო კომისიაც რომ არ შეიქმნას, დრო მოვა, ამათაც, ამ სააკაშვილებს და ბოკერიებს, მერაბიშვილებსა და კეზერაშვილებს, უგულავებს და ბურჯანაძეებს, ბობოხიძეებს და ბაქრაძეებს, გვარამიებს და მელაძეებს, სხვებს და სხვებს, აუცილებლად მოეთხოვებათ პასუხი ქართული სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი ბოროტებისა და ავკაცობის გამო თუნდაც ათი წლის შემდეგ, ოცი წლის შემდეგ, ოცდაათი წლის შემდეგ.

ეს ნამდვილად ასე მოხდება, მაგრამ ცუდი ის არის, რომ, როცა ეს მოხდება, ჩემი თაობა, ვის ზურგზეც გადაიარა „ნაცმოძრაობის“ მიერ ჩადენილი ბოროტების მთელმა სიმძიმემ, შეიძლება უკვე ცოცხალი აღარ იყოს.

ნუ ჩაგვაყოლებთ საფლავში დარდად იმ ტკივილს და შეურაცხყოფას, რაც ნაციონალებმა ჩვენ და ჩვენთან ერთად მთელ ქვეყანას მიაყენეს...









# ნაცმოძრაობა ამ არჩევნებს პირწმინდად წააგებს, რადგან ის ცხრა წლის განმავლობაში ერთიდაიგივე მეთოდით ცდილობს წარმატების მიღწევას, რაც ამომრჩეველს უკვე კარგა ხანია მობეზრდა

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, „ქართული ოცნების“ გუნდის დაკვეთით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, მმართველ პარტიას 47,4% აქვს, ხოლო მერობის კანდიდატ კახი კალაძეს — 60%. რას ფიქრობთ ამ შედეგებზე?**

— აქ, ოპოზიციის კრიტიკა, თითქოს, „ქართულმა ოცნებამ“ ეს პროცენტები კაბინეტში თავად დაიწერა, უადგილოა თუნდაც იმიტომ, რომ იგი, სხვა სოციოლოგიური კვლევებისგან, დიდად არ განსხვავდება. ამიტომ, ვერ ვიტყვით: პროცენტები ხელოვნურიაო. როცა სხვადასხვა კვლევების მონაცემები ემთხვევა, იქ, ეჭვი ნაკლებად ჩნდება. მეტიც, ერთ-ერთი კვლევის თანახმად, „ქართულ ოცნებას“ 50%-ზე მეტიც კი ჰქონდა. 47,4% ეჭვებს არ მიჩენს, მიხედავად იმისა, რომ ზოგადად, სოციოლოგიურ კვლევებში ციფრები იმდენად სანდო



არ არის, რამდენადაც ტენდენციები. ტენდენცია იმისა, რომ „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე „ნაცმოძრაობას“, ყველა კვლევაში ფიქსირდება. მეტიც, „ქართული ოცნების“ დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში „ნაცმოძრაობას“ უფრო დიდი შედეგი აქვს ნაჩვენები, ვიდრე სხვა დანარჩენში. თუ ქოცებმა ციფრები კაბინეტში დაწერეს, როგორც ამას ნაცები ამბობენ, მაშინ მათ ნაკლებს არ დაუწერდნენ?! მოგეხსენებათ, რიგ კვლევებში „ნაცმოძრაობის“ რეიტინგი 20%-ის ფარგლებშია. რაც შეეხება კალაძის რეიტინგს, მერობის კანდიდატებზე ჩატარებული კვლევები ბევრი არ არის. 60% გაკვირვებას სულაც არ იწვევს, რადგან კალაძე ძლიერი ფიგურაა. აქ, უფრო საინტერესო სხვა რამ არის. ოპონენტებს ამ მონაცემებზე ცოტა მეტი რომ ეფიქრათ და სტერეოტიპულად არ ეპასუხათ: პროცენტები კაბინეტებში დაწერეთო, საყურადღებო, სხვა რამ უნდა ყოფილიყო. კერძოდ, კალაძეს როგორც მერობის კანდიდატს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე პარტია „ქართულ ოცნებას“. ეს ნიშნავს, რომ კალაძის ფიგურა პიროვნულად საკმაოდ შედეგიანია და მისი ავტორიტეტი პარტიისას სჯაბნის. „ნაცმოძრაობას“ ფიქრით თავი რომ შეეწუხებინა, შეეძლოთ ეს თემა წამოეწია — კალაძე თავის პარტიაზე უფრო დიდ რეიტინგს ფლობსო. ამ საკითხის დანახვას ფიქრი სჭირდება, რაც ოპონენტებს ეზარებათ. ბევრ საკითხში ჩანს, რომ მათ ფიქრი არ უყვართ.

**— ანზორ მელიას პოლიტიკაში შემოყვანას როგორ შეაფასებთ?**

— ქუთაისში ვინ არის? — იქ, აღარ ეყოთ ოჯახის წევრები, ხომ. ასაკიც მნიშვნელოვანია, ანზორ მელია 80 წელს არის მიტანებული. ამ ასაკის კაცის არჩევნებში ჩართვა, ჩვეულებრივი მოვლენა არ არის. ვიგულისხმოთ, რომ ამის მიზეზი მეგრელებში მისი ავტორიტეტია. გახსოვთ, ადრე სხვა ლიდერის — სააკაშვილის ოჯახის წევრი იყო სამეგრელოში წარდგენილი. სამეგრელოს რეგიონში, ნაცებმა, ოჯახური არჩევნების ტენდენცია დაამკვიდრეს. როგორც ჩანს, „ნაცმოძრაობამ“ ვერ მოახერხა სამეგრელოში ისეთი პიროვნების კანდიდატურის დაყენება, რომელიც ხმების საჭირო რაოდენობას აიღებდა. ამ შემთხვევაში, მელიას პიროვნების ხელოვნურად გამოძებნა აღარ დასჭირდებოდა. ეს პოლიტიკაში ოჯახური ქსელის გაფართოების ნიშნებს ატარებს და პრინციპში, მომგებიანიც იშვიათად არის. პოლიტიკაში, მეტნაკლებად, შედეგიანი სულ რამდენიმე ასეთი საოჯახო ხაზი ვიცით. თუმცა, ეს დიდი პრობლემა არ არის. მე, მაეჭვებს შედეგი იმიტომ, რომ ბოლო წლებში „ნაციონალებმა“ სამეგრელოში ვერცერთხელ გაიმარჯვეს. მიზეზები უფრო ღრმაა, ვიდრე კონკრეტული კანდიდტის პერსონა. მათ, 2012 წლის მერე, ყველა არჩევნები მარცხით დაუმთავრდათ. ამის მიზეზი, ზოგადად, ნაცების მეგრელებთან ურთიერთობაა. ვიცით, რომ იქ, უამრავი თემა ტრიალებს. თავმოყვარე მეგრელების მეხსიერებაში, ალბათ, ყოველთვის იქნება ის დამამაცირებელი შემთხვევები, რაც „ნაცმოძრაობას“ მეგრელებთან დაკავშირებით ჰქონდა — მათი დაპატიმრების, პატიმრობისას ურთიერთობის თვალსაზრისით და ა.შ. მეხსიერების ეს ნაწილი თუ არ გამოკეთდა, მეეჭვება ცალკეული პიროვნების კანდიდატურის დაყენებამ, საქმეს უშველოს. ეს ეხება არამარტო სამეგრელოს, ზოგადად, საქართველოს. ქართველებმა 2012 წლის მერე „ნაცმოძრაობას“ დიდი უნდობლობა გამოუცხადეს. მათ ამ უნდობლობის გასაქარწყლებლად, არაფერი გააკეთეს. სწორედ, ამ შეცდომის ნაწილია ის, რაც სამეგრელოში ხდება. ამიტომ, არ მაქვს იმედი, რომ ნაცების მეგრული პოლიტიკა უფრო შედეგიანი იქნება, ვიდრე მთლიანად საქართველოში.

**— თქვენი აზრით, როგორ უძლვება საარჩევნო კამპანიას ღარიბაშვილი?**

— ღარიბაშვილის რიტორიკას, უპირველეს ყოვლისა, „ქართული ოცნება“ უნდა დააკვირდეს. საუბარი იმაზე, რომ საქართველოს პანდემიის დროს ეკონომიკური წარმატებები აქვს, ცოტა გადამეტებულად მეჩვენება. დღეს, მსოფლიო მეტისმეტად ღიაა. თითქმის, ყველა ქვეყანაში შეგვიძლია ვნახოთ: რა ხდება. გაცილებით ძლიერი ეკონომიკური ქვეყნებიც კი არ ამბობენ: უკეთესად გვაქვს საქმე, ვიდრე პანდემიის დროსო. ტურიზმის სექტორში მიყენებული ზიანი, დიდია, ძვირდება პროდუქტიც. ამ დროს წარმატებაზე საუბარმა, შეიძლება, ე.წ. ბუმერანგის ეფექტი გამოიწვიოს. ამის გამო, არ გამოვრიცხავ, ხალხი „ქართულ ოცნებაზე“ გაღიზიანდეს. მმართველი გუნდი უნდა ეცადოს ხალხის მხარდაჭერა მათ მიმართ გამოჩენილი მხარდაჭერით მოიპოვოს. ხალხის მხარდაჭერა თუ გინდა, შენც უნდა ანახო, რომ მას მხარს უჭერ პანდემიასთან ბრძოლაში იქნება ეს თუ სხვა. ჩვენ, საწინააღმდეგო სურათი მივიღეთ — „ქართული ოცნება“ ამბობს: ყველაფერი კარგად გვაქვსო. ასევე, წამგებიანია „ქართული ოცნების“ რიტორიკა გახარიას მიმართებით. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი პოლიტიკური კაპიტალი ის გახლავთ, რომ იგი არც „ქართულ ოცნებას“ ეკუთვნის და არც ნაცებს. „ქართული ოცნების“ აგრესია გახარიასადმი ნიშნავს, რომ მისი კაპიტალი უფრო გაიზრდება. ის მესამე ძალა, რომელიც არცერთ პოლუსს არ ეკუთვნის, სწორედ გახარიაა. „ქართული ოცნება“ ამ საქციელით მეტოქის წისქვილზე ასხამს წყალს. თუმცა, ეს შეცდომები, შეიძლება, არც იყოს მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ ჩვენ, ისედაც ღარიბი პოლიტიკური სპექტრი გვყავს. დიახ, პოლიტიკური პარტიების მხრივ, ღარიბნი ვართ. საკმაოდ სუსტი პარტიები გვყავს. შედეგად, გამარჯვება, ისევ, „ქართული ოცნების“ მხარეს დარჩება. სიტუაციაა ისეთი, რომელიც მას გაამარჯვებინებს.

**— ღარიბაშვილმა, 20 ივნისის მოვლენები, გამსახურდიას დამხობას შეადარა. ამ პარალელის გავლება რამდენად მართებულია?**

— 20 ივნისის თაობაზე, არანაკლებ თვალსაჩინო — ამერიკის ანალოგია გვაქვს: ვინც კონგრესში ანუ, პარლამენტში ძალადობრივად შესვლა დააპირა, ყველას სჯიან იმიტომ, რომ ინსტიტუტზე ხელის აღმართვა არ შეიძლება. ეს კანონი ყველა ქვეყანაში მოქმედებს. რაც შეეხება გამსახურდიას დროის მოვლენებს, იქ, ბევრი მექანიზმი იყო ჩართული. გამსახურდია არის პრეზიდენტი, რომელიც ქართველმა ხალხმა მთაწმინდაზე აიყვანა. თუ ღარიბაშვილს ამით გამსახურდიას მომხრეების გვერდით დაყენება სურდა, ამის საჭიროება არ იყო. თავისთავად, ნებისმიერი ხელყოფა და რაღაც დონეზე დამუქრება, უკვე, კრიტიკის საგანი შეიძლება იყოს. გამსახურდიას ამბის ხსენებაც შეიძლებოდა, ოღონდ, როგორც ერთ-ერთი მოვლენის. ასეთ შემთხვევაში, რეაქცია უფრო მძაფრი იქნება. პრაქტიკულად, არც არსებობს პოლიტიკური გუნდი, ვისთვისაც მისაღები იქნება ის, რაც მაშინ მოხდა. „ქართულმა ოცნებამ“ ამით მელიას მომხრეებს დაანახა, რომ ასეთივე დაუშვებელია ის, რასაც 20 ივნისს აპირებდნენ. იდეის დონეზე ამ პარალელების გავლება შეიძლება, მაგრამ ამან არ უნდა გაგიტაცოს. მით უმეტეს, რომ ეს პარალელები მსოფლიოში არსებობს.

**— ნაცების რიტორიკა არ იცვლება, გაიძახიან: „ქართული ოცნება“ გაყალბებისთვის ემზადებაო. რისთვის ემზადება, თავად, „ნაცმოძრაობა“?**

— ალბათ, იმისთვის, რომ მერე, თქვას: „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები გააყალბაო. ერთხელ, უკვე, ნახეს, რომ მათთვის ეს ხერხი წამგებიანად დასრულდა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ იმავე ხერხის გამოყენება, მომგებიანი, არც ახლა იქნება. ამით ვხედავთ, რომ ქართულ პოლიტიკაში ძირითადი ფიგურანტები არ იზრდებიან, იმ დონეზე რჩებიან, რაზეც წლების წინ იყვნენ. ყოველ წელს ერთიდაიგივეს აკეთებენ, რაც პოლიტიკას მოსაწყენს და უინტერესოს ხდის.

**— ნაცები ყველა არჩევნების მერე, პროვოკაციებს მიმართავენ. ახლა, ითხოვენ: არჩევნები არ ჩატარდესო. ეს რა ხერხია?**

— მგონი, ესეც სპონტანურად გაჩენილი იდეა იყო. მერე, სააკაშვილიდან დაწყებული, ამ იდეაზე ყველამ უარი თქვა. ოპოზიცია ამ თემასაც თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა. თუკი ხელისუფლება არჩევნებს არ გადადებდა, ისინი იტყოდნენ: ხელისუფლებას ხალხი არ აინტერესებსო და რიტორიკას ამაზე ააგებდნენ. თუ არჩევნები გადაიდებოდა, მაშინ იტყოდნენ: აი, ჩვენი ინიციატივით გადაიდო, ვზრუნავთ ხალხზეო. არის რაღაც მომენტები, რის გამოც ოპოზიციამ არჩევნების გადადებაზე საუბარი შეწყვიტა. ამჟამად, არჩევნების ჩატარება ოპოზიციისთვის, შერიძლება, უფრო მომგებიანი აღმოჩნდეს. რატომ? — ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გამო, შესაძლოა ბევრი ადამიანი არჩევნებზე არ მივიდეს. ამ კატეგორიის მხარდამჭერები „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტი ჰყავს. ასე, რომ თუ ეპიდსიტუაცია, ისევ, მძიმე დარჩა, არაა გამორიცხული ისეთი სურათი მივიღოთ, რაც სოციოლოგიური კვლევებისგან განსხვავაებული იქნება. ამიტომ, დღეს, ამ ფონზე, არჩევნების ჩატარება ოპოზიციას უფრო აწყობს.





**— შარლ მიშელის დოკუმენტი ანულირებულია. ამ დროს ევროსაბჭოში, ქართულ ოპოზიციაში ის, ისევ მოქმედ დოკუმენტად განიხილება. ეს რას ნიშნავს?**

— ეს საუბრები ქმნის იმის საფუძველს, რომ მერე, უკმაყოფილება ქუჩაში გადმოვიდეს, მოთხოვნით: შეასრულეთ, შარლ მიშელის დოკუმენტი. ოპოზიციამ ესეც ვერ გათვალა. დოკუმენტი ბოლომდე შეასრულეთო, მგონი ამას შარლ მიშელიც აღარ ამბობს. ფაქტია, ამ თემაზე, ევროპა გაჩუმდა. რაც შეეხება მოვლენების ქუჩაში გადმოტანას, ამისთვის მხარდამჭერებია საჭირო. ქართულ სინამდვილეში, მგონი, მიშელის დოკუმენტზე უარის თქმით, უფრო მეტი სიმპატია „ქართული ოცნების“ მიმართ გაჩნდა, ვიდრე პროტესტი. სწორედ იმიტომ, რომ ილიასი არ იყოს: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო, ეს სურვილი ქართველს სულ აქვს. მიშელის დოკუმენტზე საზოგადოების გაღიზიანება დიდი იყო. ასე, დასავლეთი, ამ შემთხვევაში, ევროკავშირი ჩვენს შიდა საქმეებში ჩაერია. მაგრამ ამ კონტექსტის გამო, ნაცები საზოგადოებას ამ მოტივით ქუჩაში ვერ გამოიყვანენ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# „ინოვაციური“ იდეა მიხეილ „ქინძს“: დაიკარგე აქედან შენი იდეებით, შე კაცისმკვლელო პარანოიკო!

არ დავმალავ ჩემს გაოცებას, ძალიან მიკვირს, როგორ შეიძლება, ადამიანი მხარს უჭერდეს „ნაცმოძრაობას“ და სააკაშვილს, კაცს, რომელმაც თავისი სისულელეებით დაგვაკარგინა 20%, კოდორის ხეობა, ასზე მეტი სოფელი, ახალგაზრდები პირდაპირ ქუჩაში ჩახოცა და ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ, მათ შორის აქ, სამეგრელოს ტყეებში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ჩხოროწყუში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის, წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა შინაგან საქმეთა მინისტრობის პერიოდი და კასრების საქმე გაიხსენა. „როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი ვიყავი, გახსოვთ, რომ ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური საქმე გამოვიძიეთ და გავხსენით – ეგრედ წოდებული კასრების საქმე. როგორ ექცეოდნენ, როგორი სიძულვილით და აგრესიით უნდა იყო აღვსილი, რომ ასე ექცეოდე საკუთარ თანამოქალაქეს, უდანაშაულო ადამიანს. დამნაშავეც რომ იყოს, როგორ შეიძლება, ასე მოექცე. ამას მხოლოდ ნეოფაშისტები და ტერორისტები თუ სჩადიან ადამიანების წინააღმდეგ. როგორი კაცთმოძულე უნდა იყოს ადამიანი, რომ მსგავსი არნახული, ენით აუწერელი სიბინძურე და სისაძაგლე ჩაიდინოს. ამ ხელწერის, ასეთი საქმეების მემკვიდრეებს, როგორ შეიძლება, ადამიანმა მხარი დაუჭიროს. მესმის, შეიძლება განაწყენებული იყოს, რაღაც პროტესტის გრძნობა გააჩნდეს, რაღაც არ მოსწონდეს „ქართულ ოცნებაში“.

რა თქმა უნდა, ჩვენ უშეცდომონი არ ვართ, შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული. შეცდომებიც ბევრი მოგვივიდა, მაგრამ ამ შეცდომებს ვასწორებთ და მივდივართ წინ. მეც ბევრი რამ არ მომწონდა და არ მომწონს. ბევრი რამ უნდა შევცვალოთ, კიდევ უფრო უნდა დავაჩქაროთ განვითარების ტემპები და პროგრესი შევიტანოთ ყველა ქალაქსა დაა მუნიციპალიტეტში. ხომ არ შეიძლება, ისევ ის განსაცდელი დაუბრუნო მოსახლეობას, რაც, უფლის წყალობით, მშვიდობით გავიარეთ და ვნახეთ. თუმცა, რა მშვიდობაზე ვსაუბრობთ საერთოდ. კაცმა ომის დროს აჩვენა ყველაზე დიდი სირცხვილი და მიწაზე ფორთხვით აჩვენა საკუთარი სახე – ლაჩრობის უმაღლესი მწვერვალი, მაშინ, როდესაც მოითხოვდა და დღესაც მოითხოვს ადამიანებისგან თავგანწირვას, ეს არის პირდაპირ ტერორიზმის და ფაშიზმის წახალისება, ეს არის ნეოფაშიზმი, სხვა არაფერი“, მთავრობის მეთაურის შეფასებით, აუცილებელია მოსახლეობისთვის ამის შეხსენება, რადგან შეცდომების გამეორების უფლება აღარ გვაქვს...

„გულმავიწყი“ ნაცლიდერები უტიფრად აგრძელებენ ამომრჩევლების „დაბოლებას“ და ყველა მიუღებელი ხერხით ცდილობენ ხელისუფლების დაკნინებას. „ჩემი ამოცანა არის „ქართული ოცნების“ დამარცხება“, – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის მერობის კანდიდატმა, ხატია დეკანოიძემ პარტიის ოფისში კანდიდატების წარდგენის ღონისძიების შემდეგ განაცხადა. „პირველ რიგში, ძალიან მნიშვნელოვანი ქალაქია ქუთაისი, განსაკუთრებით ჩვენი გუნდისთვის. იცით, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს ქალაქი დაეკნინებინა. პირადად ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის, მათ შორის პარლამენტის ყველა წევრისთვის, ვინც ჩაერთო ამ ბრძოლაში, ეს არის რეფერენდუმი და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ხმების მაქსიმალურად ჩვენს ყულაბაში ჩასაყრელად, რათა „ქართული ოცნება“ დავტოვოთ ორმოცდასამ პროცენტს მიღმა. ეს არის ჩემი ამოცანა, „ქართული ოცნების“ დამარცხება.



დეკანოიძის გამარჯვება მარცხისთვისაა განწირული ისევე როგორც „უფროს უმცროსი მელიების“, გიგი უგულავას მერობა და სხვა „ცნობილი“ ნაცსახეების „აღმაფრენა“. უგულავას გამარჯვების პრიმიტიულმა ფორმულამ „დამცა“ „მინდა მარტივად გითხრათ – გამარჯვების ფორმულა არის: შემოხაზეთ ნებისმიერი (პარტია) 41-ის გარდა და, შესაბამისად, ჩვენ მოვიგებთ ამ რეფერენდუმს“, წარსული არ კვდება და ნაცხროვის მიერ დათესილ უბედურებას დღემდე ვიმკით...ნაცხროვა, პოლიტიკურ დაფაზე ბრძოლას, წესების გარეშე აგრძელებს და არსებული მძიმე მდგომარეობით გაღიზიანებულ საზოგადოებას კიდევ უფრო აღიზიანებს. ამიტომაც აყენებენ მათ, სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფას შედეგები კი უტიფრად, ხელისუფლებას ბრალდება.

სამწუხაროდ, მკაცრად ისჯებიან „დანაშაულებიც“, რომელთა აგრესიის მიზეზს პროკურატურა, არც სასამართლო იკვლევს და აფასებს ჯეროვნად... დუღილის ტემპერატურის ასაწევად ნაცმაცუნების ტვინში რა სიბინძურე იხარშება უცნობია. თუმცა, საეჭვოა მეთოდები შეცვალონ. აი, მათ ბელადს რომელმაც სამშობლოში ზღვით, ხმელეთით, ცით დაბრუნება გადაიფიქრა ახალი, გრძელვადიანი „გადაბირების“ მეთოდი დაუნერგავს. „მინდა ასეთი რამ გავაკეთო: ვაცხადებ კონკურსს და ტელევიზიას ვიყენებ ამისთვის... შემდეგ სამ კვირაში, პირველი ორმოცდაათ ყველაზე ინოვაციური იდეის ავტორს, ვეპატიჟები ძალიან საინტერესო კონფერენციაზე უკრაინაში, სადაც მინდა დავათვალიერებინო მათ ბევრი რაღაც, მინდა შევახვედრო ძალიან ბევრ ვიღაცას, მინდა მე თვითონ შევხვდე მათ... გამოგვიგზავნეთ ეკრანზე მითითებულ მისამართზე ორმოცდაათი ყველაზე ინოვაციური იდეა... რისთვის გვინდა ეს? ეს იქნება ორმოცდაათი ყველაზე ინოვაციური იდეა საქართველოს მომავლისთვის და გვინდა იმისთვის, რომ ამ ხალხს მე მივცემ აუცილებლად რეკომენდაციას, მიუხედავად მათი პარტიული კუთვნილებისა, მიუხედავად მათი წინა მოღვაწობისა... თუ თქვენ ხართ საინტერესო, თუ თქვენ გაქვთ იდეები, თუ თქვენ იცით, რა უნდა ჩვენს ქვეყანას და როგორ უნდა გამოვიდეთ ამ ჭაობიდან, სადაც ვიმყოფებით, სხვადასხვა სფეროებში სრულიად, გახსნილი ვართ ამისთვის...იდეები კონკურსის სახით შეირჩევა და ჩვენ ნამდვილად არ დავუკარგავთ არავის ნიჭს... სახელებს და გვარებს არ შევხედავთ, შევხედავთ მათ იდეებს... ჩამოგიყვანთ უკრაინაში, დავილაპარაკოთ ჯერ აქ და შემდეგ გააგრძელეთ საქმიანობა, გავაგრძელებინოთ ამ ადამიანებს საქმიანობა საქართველოს მომავალ ხელისუფლებაში. ეს არის ნამდვილი მერიტოკრატია... ორმოცდაათი ქართველს ინოვაციური იდეებით ველოდებით უკრაინაში ძალიან საინტერესო პროგრამაზე და ძალიან საინტერესო დიალოგებს მოგიმზადებთ... მინდა, რომ ვილაპარაკოთ მხოლოდ მომავალზე... ეს ყველაფერი, რაც ახლა ხდება, დაგვრჩება წარსულში, როგორც საშინელი სიზმარი... ბევრად უფრო მდგრადი ინსტიტუტები უნდა შევქმნათ... და მე ჩემს ფუნქციას ვხედავ, როგორც ხიდს თქვენთვის“...



„აღნიშნული განცხადება მიხეილ დიდმა გადაცემაში „საუბრები სააკაშვილთან“ გააჟღერა და რატომღაც ანზორ მელიასთან თანამშრომლობის დეტალები გაიხსენა წარმატებაც უსურვა. (თუმცა უგულოდ) „მთელი გულით მივესალმები ანზორ მელიას ზუგდიდის მერის კანდიდატად დაყენებას. ყველა ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ყველაფერზე მაღლა, თავის კარიერაზე, შემოსავლებზე, სხვა პირად საკითხებზე უნდა დააყენოს თავის სამშობლო, ახლა საქართველოში არის ეს მომენტი და ანზორ მელია ისე მოიქცა, როგორც ნამდვილი პატრიოტი. ეს არ არის ჩვეულებრივი ადგილობრივი არჩევნები, ეს არის რეფერენდუმი, საქართველოს უზურპატორული არჩევნების, მომპარავი ხელისუფლების მოშორებაზე და რა თქმა უნდა ყველამ, ყველაფერი უნდა გავიღოთ ამისთვის.ანზორ მელიას კლინიკა მე გავხსენი ზუგდიდში მასთან ერთად და მახსოვს კარგად, როგორ უყვართ ზუგდიდელებს, ეს არის საუკეთესო წარმომადგენელი სამეგრელოში, ზუგდიდის და მთლიანად საქართველოში. წარმატებები მას და წარმატებები თითოეულ ჩვენგანს, წარმატებები ჩვენს სამშობლოს.“

როდესაც ჩვენი ქვეყნის ცის კაბადონზე ნაცების შავი მზე კიაფობდა, გადავსებული ციხე-კოლონიების სამედიცინო დეპარტამენტს სწორედ მელიას კლინიკასთან ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება და რა „შავ“შეთქმულებაში იყვნენ გარეულები ფულის გათეთრების გარდა ცალკე თემაა, რომელსაც მოგვიანებით, აუცილებლად დავუბრუნდები. მანამდე კი პატრიოტ, აბრეშუმის ხიდად გადებულ, ქვეყნისთვის, ხალხისთვის მზრუნველ, მერიტოკრატად ქცეულ ავტოკრატ მიხეილს დავუბრუნდები. დიახ, მაღალი ელოდება 50 ინოვაციური იდეას, 50 ავტორს და ისევ მისი საყვარელი ციფრი 5-ის დომინირებას... ნაცმოძრაობის ახალგაზრდულ ფრთას მოვუწოდებ, მიაყარონ იდეები ბელადს. მაგალითად, მაღალი რანგის მოწინააღმდეგის მკვლელობა, კვალის დაფარვით, „ინოვაციურად“. მდედრი კადრების შერჩევა „მერიტოკრატულად“ და არა სექსუალურად. ასევე, მამრი კადრების შერჩევა „მერიტოკრატულად“და არა მანიაკალური ნიშნით, (აუცილებელია ორი გვამის ნაცვლად ხუთის მოთხოვნა შეეძლოთ) ასევე, „პროკურატურის და თავდაცვის ფონდის“ ნაცვლად „ინოვაციური“ ფონდის მოფიქრება, რადგან შემდგომში ახალ ხელისუფლებას გაუჭირდეს მილიარდობით იქ დალექილ-გაფლანგული თანხების კვალზე გასვლა და რაც მთავარია ინოვაციური იდეებია საჭირო ყველა მოწინააღმდეგის ტერორის, მკვლელობის კვალის დასაფარად. მოკლედ, ორმოცდაათი იდეა, ორმოცდაათ სულგაყიდულ ავტორთან ერთად ცოტა არ არის. მიხეილი სიბერეში ცოტა დაჭკვიანებულა და ორმოცდაათი წლის მერე ორმოცდაათ ავტორთან ერთად აუცილებლად მოვა ხელისუფლებაში და მაშინ ყველა ანტინაცი ხუთიანს შემოხაზავს... მანამდე კი, არჩევნებიდან ინოვაციურ იდეებზე გადართულ, მფატრავი სანდრას ყურადღების მიღმა დარჩენილ მაღალს, იდეებს ნუ მოაკლებთ...

მანამდე კი სანდრა მფატრავის მეუღლეს ერთ „ინოვაციურ“ იდეას მეც მივაწვდი: დაიკარგე აქედან შენი იდეებით, შე კაცისმკვლელო პარანოიკო!



**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# განვითარება ყველა რეგიონს

## ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ მოვედით, ვთქვით და გავაკეთეთ!



ვიცი, რომ ბოლო წლების განმავლობაში, გარკვეული შეფერხებაც იყო, მაგრამ ჩვენ მოვედით, ვთქვით და გავაკეთეთ. დღეს 500-მდე ოჯახს გადაეცემა ბინები, – ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

„ჩემთვის დიდი პატივი იყო მემუშავა თავდაცვის მინისტრის რანგში და მემსახურა თქვენთვის. დღეს ჩვენ 500- მდე ოჯახს საზეიმოდ გადავცემთ ბინებს, რომელიც აქ ავაშენეთ. მოგეხსენებათ, რომ ეს იყო 2007 წელს სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება, რომლის შესრულებაც, ცოტა მოგვიანებით, 2012 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი მოვიდა ხელისუფლებაში. ვიცი, რომ ბოლო წლების განმავლობაში გარკვეული შეფერხებაც იყო, მაგრამ ჩვენ მოვედით, ვთქვით და გავაკეთეთ. დღეს 500-მდე ოჯახს გადაეცემა ბინები. გილოცავთ ახალმოსახლეობას! კიდევ ერთხელ მინდა, რომ გულწრფელი მადლიერება გამოვხატო თქვენსა და თქვენი ოჯახების მიმართ. მადლობა თქვენი ღირსეული სამსახურისთვის. აქვე მინდა გავიხსენო ჩვენი გმირი ჯარისკაცები, რომლებმაც გმირულად შესწირეს საკუთარი სიცოცხლე ჩვენს სამშობლოს, ჩვენი მიწა-წყლის დაცვას. ქედს ვიხრი მათ წინაშე, დიდება ჩვენს გმირებს!“- განუცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის ძალების წარმომადგენლებს.

## „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ საქართველოს რეგიონებსა და ქალაქებში კანდიდატების წარდგენას განაგრძობს

- 11 აგვისტოს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელობამ თეთრიწყაროს მერობის კანდიდატი – **გიორგი ფიკლაური** წარადგინა.

იმავე დღეს წარადგინეს გარდაბნის რაიონის მერობის კანდიდატი **დავით კარგარეთელი**.

- 13 აგვისტოს ლაგოდეხის მერობის კანდიდატი **ჯონდო მდივნიშვილი** წარადგინეს.

იმავე დღეს მოხდა ახმეტის რაიონის მერობის კანდიდატის **ალექსი ფიცხელაურის** და თელავის მერობის კანდიდატის – **ლევან ანდრიაშვილის** წარდგენა.

- 14 აგვისტოს გურჯაანის მერობის კანდიდატი – **ზურაბ უტიაშვილი**, სიღნაღის მერობის კანდიდატი – **მალხაზ ბეგიაშვილი**, საგარეჯოს მერობის კანდიდატი **ავთანდილ გულიკაშვილი** წარადგინეს.
- 17 აგვისტოს მოსახლეობას წრუდგინეს ხელვაჩაურის მერობის კანდიდატი **ზაზა დიასამიძე**, ქობულეთის მერობის კანდიდატი **ლევან ზოიძე**, ბათუმის მერობის კანდიდატი **არჩილ ჩიქოვანი**.
- 18 აგვისტოს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ გუნდმა საზოგადოებას ქედის მერობის კანდიდატი **როლანდ ბერიძე**, შუახევის მერობის კანდიდატი **ომარ ტაკიძე** წარუდგინეს.
- 19 აგვისტოს გურიის მოსახლეობას ლანჩხუთის მერობის კანდიდატი **ალექსანდრე სარიშვილი**, ჩოხატაურის მერობის კანდიდატი **დავით შარაშიძე**, ოზურგეთის მერობის კანდიდატი **ავთანდილ თალაკვაძე** წარუდგინეს.
- 25 აგვისტოს მოხდა მესტიის მერობის კანდიდატის **კაპიტონ ჟორჟოლიანის** და ზუგდიდის მერობის კანდიდატის **მამუკა წოწერიას** წარდგენა.
- 26 აგვისტოს წარადგინეს ჩხოროწყუს მერობის კანდიდატი **დათო გოგუა**, მარტვილის მერობის კანდიდატი **თორნიკე ჯანაშია**, წალენჯიხის მერობის კანდიდატი **გოგა გულორდავა**, სენაკის მერობის კანდიდატი **ვახტანგ გადელია**. მომდევნო დღეს ხობის მერობის კანდიდატი **დავით ბუკია**, ფოთის მერობის კანდიდატი **ბექა ვაჭარაძე**, აბაშის მერობის კანდიდატი **გიგა გაბელაია**.



## პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მდივნის შალვა პაპუაშვილის განცხადება

დღევანდელ ბრიფინგზე მინდა შევაჯამო წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა.

საარჩევნო კამპანიის ვადის ნახევარი უკვე გავიდა. „ქართულმა ოცნებამ“ ამ პერიოდში ყველა მუნიციპალიტეტში დაასახელა საკუთარი კანდიდატები, შეიმუშავა რეალისტური საარჩევნო პროგრამა და აქტიურად მუშაობს, რომ მიუხედავად მსოფლიო პანდემიისა, საზოგადოებამდე მიიტანოს ის გეგმები და მიზნები, რომლებსაც არჩევნებში გამარჯვების შემდეგ განახორციელებს თვითმართველი ორგანოების მეშვეობით.



კოვიდ-რეგულაციების დაცვით ხდება ყოველდღიური შეხვედრები მოსახლეობასთან, თემატურ ჯგუფებთან, თითოეული სოფლის და უბნის დონეზე ხდება პრობლემების აღრიცხვა და მათი გადაწყვეტის გზების მოძიება.

ამის პარალელურად, ყველა ვხედავთ, რომ ოპოზიცია, ფაქტობრივად, არ აწარმოებს საარჩევნო კამპანიას, არ საუბრობს რეგიონის მოსახლეობის საჭიროებებზე, და არ აქვს რაიმე თუნდაც პროგრამის მსგავსიც კი. ისინი მოსახლეობას არ სთავაზობენ არაფერს, გარდა დეზინფორმაციისა და ზიზღის კამპანიისა.

• მეტიც – ისინი არ იყენებენ გარე რეკლამისთვის განკუთვნილ სივრცეებს, მათ შორის არ აქვთ სარეკლამო ბილბორდები, რაც ერთადერთ მიზანს ემსახურება, რომ არჩევნებზე დამარცხების შემდეგ ისაუბრონ, თითქოს, კამპანია არათანაბარ პირობებში მიმდინარეობდა და ამის არგუმენტად სარეკლამო სივრცეების თანაფარდობა მოიყვანონ.

• ოპოზიცია არ იყენებს ფასიან საეთერო დროს თავისი საარჩევნო რგოლების გასაშვებად. იყენებენ მხოლოდ საარჩევნო სუბიექტისთვის განკუთვნილ უფასო სარეკლამო დროს, რათა არჩევნებში მათი გარდაუვალი მარცხის შემდეგ ითქვას, რომ წინასაარჩევნოდ არათანაბარი და არაკონკურენტული გარემო იყო შექმნილი; ეს იმ პირობებში, როდესაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებზე ოპოზიციამ მარცხის მიუხედავად უფრო მეტი თანხა დახარჯა ვიდრე „ქართულმა ოცნებამ“.

• ოპოზიცურმა პარტიებმა მუნიციპალიტეტებში არ დააყენეს ისეთი კანდიდატები, რომლებსაც გამარჯვების მინიმალური შანსი მაინც ექნებოდათ, რათა, არჩევნებზე დამარცხების შემდეგ ისაუბრონ, თითქოს, ადგილი ჰქონდა მანიპულაციას და მათი წარმომადგენლები სწორედ ამიტომ დამარცხდნენ ყველა სოფელსა და ქალაქში.

• ამ პოლიტიკურმა ძალებმა მონაწილეობა არ მიიღეს საოლქო და საუბნო კომისიების პროფესიული წევრების დაკომპლექტებაში, რათა არჩევნებზე დამარცხების შემდეგ ისაუბრონ, თითქოს, კომისიების პროფესიული წევრები მიკერძოებულები იყვნენ.

ყველა ეს გარემოება მიანიშნებს იმაზე, რომ ოპოზიცია შეგუებულია არჩევნებში გარდაუვალ მარცხს და არა 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის, არამედ არჩევნების მეორე დღისთვის და არეულობისთვის ემზადება.

დიდი ალბათობით, ჩვენი მოსახლეობა ოპოზიციის მხრიდან უპრეცედენტო დეზინფორმაციისა და ზიზღის კამპანიის მოწმე გახდება, ვინაიდან, ამ ძალების მხრიდან, ერთადერთი პოლიტიკური ტაქტიკა პანიკის დათესვაზე, ადამიანური ტრაგედიებით მანიპულაციასა და ამით პოლიტიკური დივიდენდების ჩაწერის მცდელობაზე გადის. სწორედ ამიტომ, ჩვენ უკვე ვხედავ მათგან მძიმე პროვოკაციების მოწყობის მცდელობებს, რაც მაღალი ალბათობით, არჩევნებამდე დარჩენილ ერთ თვეში კიდევ უფრო რადიკალურ ფორმებს მიიღებს. ვინაიდან, მათი გზა არა საკუთარი პროგრამით ჩვენი მოქალაქეების დარწმუნება და მათგან დემოკრატიული ლეგიტიმაციის მიღება, არამედ ზიზღის გაღვივებით, ისტერიის დათესვით და არეულობით განუყოფელი ძალაუფლების დაბრუნებაა.

ეს არის ის ტაქტიკა, რომელსაც უკვე წლებია, ეს ძალები იყენებენ და ეს არის ის ტაქტიკა, რომლითაც ისინი წლიდან წლამდე მარცხდებიან.

ოპოზიციის მიზნებისა და დესტრუქციული დღის წესრიგის მიუხედავად, ჩვენ წინასაარჩევნო კამპანიას წარვმართავთ მშვიდ, საქმიან გარემოში, მოსახლეობას ვესაუბრებით კონკრეტულ საქმეებზე და პროექტებზე, არჩევნებს ჩავატარებთ თავისუფალ და კონკურენტულ გარემოში და არჩევნების მეორე დღესაც არავის მივცემთ ამომრჩეველთა ნების წინააღმდეგ წასვლის შესაძლებლობას.

# ანზორ მელიას პოლიტიკური ზმანებანი

## პოლიტიკური ნოველა





ანზორმა ტაშტიდან ფეხები ხვნეშით ამოალაგა, რაღაცნაირად ეამა ნელ-თბილი წყალი. მამულის გამო გულზე შემოწოლილი ტკივილიც განუქარვდა და დაუცხრა. მართალია, დროებით, მაგრამ ესეც ხომ დიდი შვებაა? დივანზე გადაწვა, თავი საზურგეზე გადადო, ჭერს მიაჩერდა, სამი ცალი გარინდებული ბუზი შეამჩნია, არ იძვროდნენ. კარგახანს უყურა, ფიქრებში წავიდა, ნეტა ამ სამი ბუზიდან რომელი შეიძლება იყოს მამალი? არა, სამიდან ერთი ნაღდად მამალია, მაგრამ საკითხავი ის არი, რომელია? ტელეფონი რეკავს... უფრო სწორად, ტელეფონზე ვიღაც რეკავს. დახედა. შვილია, ისა, ნიკანორი, გმირი.

— ალიოოო, — რაღაცნაირი სინაზით პასუხობს ბატონი ანზორი.

— დიდი მადლობა, მამა! — გაისმა გმირული ინტონაცია.

— რაზე მიხდი, შვილო, მადლობასა?

— იმაზე, რომ გამაკეთე, ფეხები დაიყვლიფე, „ნანინა“ მიმღერე, ფაფა მაჭამე, ამსიგრძე გამზარდე, დამავაჟკაცე, „ლაგარტკასავით“ მომზიდე, სააკაშვილის ხმალივით ამლესე, „გამშკურკე“, გამაპრიალე!

— ვაჰ, შენ გენაცვალე იმაში!

— რაში?

— იმაში!

— დიდი მადლობა, მამა, რომ არ მიმატოვე ძნელბედობის ჟამს, გადამწყვეტი ბრძოლის დროს, ახალი ეპოქის დასაწყისის დროს!

— აბა, რა ეგონა ბიძინა ივანიშვილსა?! — წამოხტა დივნიდან ბატონი ანზორი და ხუთიოდ წამში ისევ დაუბრუნდა მჯდომიარე მდგომარეობას, წელკავმა გააზსენა თავი.

— მამა, რაღაც უნდა გითხრა... გთხოვ, არ აღელდე.

— არა, ნიკანორ, რაღა დროს ჩემი აღელვებაა, ბიჭო?

— მე ვამაყობ შენით!

— ჰმ... და მეუბნები, არ აჰღელდეო? ეს ხომ სასიამოვნო ღელვაა? — დაეწყო თვალთაგან ცრემლდენა ბატონ ანზორს.

— მამა.

— ჰო, შვილო.

— გამაგრდი.

— რამეს მიმალავ?

— არა, შენ ხომ ბავშვობიდანვე შთამაგონებდი, ადამიანებს და მით უფრო ელექტორატს არაფერი დაუმალოვო? მოკლედ, ზუგდიდში უნდა წაზვიდე მერად, უარი არ მითხრა, შენ ხარ ერთადერთი, ვინც სამეგრელოში ბიძინა ივანიშვილს მოუგებს და „ქართულ ოცნებას“ დაამარცხებს. შენ ეს შეგიძლია, მამა, დამიჯერე, მეგობრებმა ასე გადავწყვიტეთ.

დუმილი. ბატონი ანზორი დადუმდა. არა, რაღაც ახლის დასაწყისს კი ელოდა, მაგრამ მთლად ასეთ მნიშვნელოვანსაც არა, საქმე სახელმწიფოს გადარჩენას ეხება, წარმოგიდგენიათ? დიახ, ეს დუმილიც რაღაცნაირად ჟღერდა. გსმენიათ, როგორ ჟღერს ხოლმე დუმილი? ეგ ძალიან საინტერესო მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში.

— ვიცოდი, რომ ასეთი პრინციპული დღე აუცილებლად დადგებოდა... კი დააგვიანეთ ცოტა, წლები მომემატა, მაგრამ როგორც დიდმა მიხეილ სააკაშვილმა ბრძანა, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ანუ სჯობს ზეგ, ვიდრე გუშინ.

— მადლობა, მამა... ესე იგი, თანახმა ხარ?!

— რაზეა ბაზარი, შვილო?

— კიდევ ერთხელ მადლობელი, მამა, ხვალ გამოგიყვან სცენაზე და თავს დაგაკვრევინებ მოსახლეობის წინაშე, ტელევიზორში გნახავს სრულიად საქართველო და არა მხოლოდ საქართველო, გნახავენ შენი ყოფილი ძმაკაცები ტუნდრიდან... გახსოვს, მასკოვში რომ სწავლობდი და პადმასკოვიეში კიდე ცხოვრობდი?

— ეჰ, როგორ არ მახსოვს, ტუნდრელ იურას რა დამავიწყებს?

— იცოდე, მოსკოვი არსად ახსენო, თორემ დავიღუპებით, ველარ გავიმარჯვებთ.

— კარგი, როგორც მეტყვი, იმნაირათ მოვიქცევი, ეხლა თავი უნდა დავდო მუთაქაზე, ტვინი გამიცხელდა, შეიძლება მოკლე ჩართვა დემემართოს.

— მუთაქაზე არა, ბალიშზე დადე!

— არა, მუთაქა ყურის ძირში კარგადა ჯდება, ტვინის უჯრედებს მჭიდროდ აწვება და ეგრევე აყუჩებს.

ზუგდიდის მომავალი მერი გრძელ ტახტზე გადახოხდა, თავზე პირსახოცი შემოიხვია და მუთაქაზე ფაქიზად დადო. ტელევიზორის პულტს შუა თითით მისწვდა, თავისკენ მიიჩოჩა, წითელ „კნოპკას“ დააწვა და ჩაირთო: გვარამია ლაპარაკობდა, მელია, მელიას, მელიამო, ათასნაირ ბრუნვაში ახსენებდა მის ვაჟკაცს. განა, სულ მცირე, ამის გამო არ ღირდა ამ დუნიაზე მოვლინება? დიახაც, ღირდა და ძალიან დიდადაც საამაყოა, ვის გაუზრდია კიდევ მსგავსნი გმირნი? არაფერს ამბობს 300 არაგველზე, 9 ძმა ხერხეულიძეზე, ის დრო წავიდა, გაქრა, ეხლა სხვა ეპოქაა, ერთი გმირის გაკეთება-გაჩენა-გაზრდას იმაზე მეტი ენერგია და ოფლისღვრა სჭირდება, ვიდრე უწინ 9 ძმის გაკეთებას და გაზრდას სჭირდებოდა.

ანზორს თავი მარჯვნივ გადაუგორდა, პულტი ხელიდან გაუვარდა, მარცხენა ფეხი რაღაცნაირად გაჭიმა და ეგრევე ჩასთვლიმა. გეგონება კინო დაიწყოვო... ანზორ მელია იქ იდგა, ზემოთ, ტრიბუნაზე, ქვემოთ მიმავალ მშრომელთა მასებს თავის დაკვრითა და ხელის ქნევით ესალმებოდა. ძნელი გასარკვევი იყო, 7 ნოემბრის „პარადი“ იყო თუ 1-ლი მაისისა. ტრიბუნაზე მდგომს იმნაირი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ზუგდიდის რაიკომის მდივანი გახლდათ და სადაცაა ედუარდ შევარდნაძეს უნდა დაერეკა, თბილისიდან ზარს ელოდებოდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მშრომელთა მასები მწყობრი ნაბიჯით, მოჰქონდათ და მოჰქონდათ ტრანსპარანტები, წითელი ლოზუნგები, ბუშტები, დროშები... ყველგან ეწერა: „გაუმარჯოს მელიების დინასტიას“! „დიდება მელიებს“! „ჩვენ უნდა მივყვეთ მელიათა იდეალებს’’! „გაუმარჯოს რევოლუციას“!

ტრიბუნაზე ასულ ანზორს ტუჩები ყურებამდე გადასჩაჩვოდა. ეს გახლდათ სასიხარულო გადაჩაჩულობა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ასეთ სასიამოვნო განცდას აღარ ელოდა. ზუგდიდი მის ფეხქვეშ იყო გართხმული, ყველა მზად იყო, მისი ნება აღესრულებინა. უცებ გულში უცნაურმა აზრმა გაჰკრა, ტრიბუნიდან მარჯვედ ჩამოხტა, მშრომელთა მასებს მიუახლოვდა და ყველას დაუწყო ხელის ჩამორთმევა. თუ გინდა, რომ ღირსეული ლიდერი იყო, თითოეულ ადამიანს უნდა მოეფერო. ომის ვეტერანების შემდეგ პიონერებმა ჩამოიარეს, ანზორს გული გადაეფურჩქნა, იგი ჭკუას კარგავდა მოზარდებზე. მზად იყო, თითოეული მათგანისთვის გურჯაანის ნაყინი ეყიდა, მაგრამ მალევე გადაიფიქრა. განა წაიწუწურაქა? განა არ გეემეტა? არა, უბრალოდ ზუგდიდის ეკონომიკაზე განეფიქრა და სწორედაც განეფიქრა: აბა, დაუკვირდით, თუ ის იყიდდა ორას, თუნდაც სამას ან ოთხას ნაყინს, დაახლოებით 300 ლარი წავიდოდა გურჯაანში. კი, ბატონო, სადღაც 150–200 ლარი სამეგრელოში დარჩებოდა, მაგრამ სად 300 ლარი და სად — 150 ან 200 ლარი? ამ შემთხვევაში ხომ გურჯაანის ეკონომიკა უფრო განვითარდებოდა?

არნახულად განიხარა ანზორ მელიამ, ლამის მთელი ქვეყნის სვებედს განაგებდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მომლოცველები. ერთი ეგ იყო, მომლოცველებს სახეზე ველარა სცნობდა. ყველანი რატომღაც შეცვლილიყვნენ თუ გადაკეთებულიყვნენ. თუმცა რამოდენიმე იცნო, მთლად ეგრეც არ იყო საქმე... აგერ, მისი უბნელი გრამიტონა, წინა საუკუნეში მოკვდა, ნეტავ „პარადზე“ რა უნდა?

— მამა, გაიღვიძე, ადექი, გვაგვიანდება! — შეანჯღრია ნიკანორმა ანზორი.

— ჰა, რა? სად გვაგვიანდება?! — იკითხა დამფრთხალმა ანზორმა.

— დაგავიწყდა? ზუგდიდის მერად უნდა წარგადგინო!

— ვიცი, ძალიან სასიამოვნო რამე მეზმანა, თითქოს უკვე ვიყავი ზუგდიდის თავი.

— იქნები, მამა, „ოცნების“ კანდიდატს მხოლოდ 3 პროცენტი აქვს, შენ კიდე 97, არც კი მეგონა, სამეგრელოში ასეთი პოპულარული თუ იყავი.

— ეეე... შენ არც კი იცი, რა საქმეები მაქვს ნაკეთებ-ნატრიალები სამეგრელოში. მართალია, არც ერთი საქმე აღარ მახსოვს, მაგრამ სხვებს ემახსოვრებათ, რა დაავიწყებდათ? შვილო, ნიკანორ, იქნებ არ ღირს? — უცებ გაიღვიძა ანზორის ორგანიზმში წინაალმდეგობრივმა რეაქციამ.

— მამა, ეს ღალატი იქნება... ახლა, როცა ქართველი ხალხი გამარჯვების ფინიშს მიადგა, შენ მეუბნები, იქნებ არ ღირსო?!

— არა, ასაკი ვიგულისხმე, ხო იცი, ჭაბუკი აღარ ვარ.

— დიახაც, ჭაბუკი ხარ!

— კარგი, დამტოვე ჩემს სიჭაბუკესთან ერთად ცოტა ხნით, მოვემზადო. ისა და... გალსტუკი შევიბნიო?

— არა, ამ არჩევნებზე... უფრო სწორედ, რეფერენდუმზე გალსტუკებს არ ვხმარობთ.

— ყოლისფერი გავიგე ერთის გარდა, თუ არჩევნებია, რეფერენდუმს რეიზა უძახით?

— არ ვიცი, დიდმა მიხეილმა ინდომა ასე.

— ააა... თუ დიდმა მიხეილმა ინდომა, მაშინ მაგ სიჭკუიანეს ჩვენ საუკუნეების შემდეგ გავიგებთ. ბიჭო, ნიკანორ, დედაშენს რა ვუთხრა? — ისევ შეფიქრიანდა ანზორი.

— რა უნდა უთხრა? — დაიბნა ნიკანორი, იფიქრა, ეხლა ამას თავი ჯარისკაცის მამა ჰგონია, თუ ადგა და ფრონტზე წავიდა ჩემ საძებნელად, მერე ვნახავთ სეირსო.

— რა ხდება, იცი? დედაშენმა მთხოვა, ამ საღამოს არსად წახვიდე, ბაზრიდან ღოღონოშო უნდა მოვიტანო, საწებლის გაკეთებაში მომეხმარეო.

— დავურეკავ და ვეტყვი, რომ დღეს არ მოიტანოს, ხვალისთვის გადადოს.

— დაურეკე, მე რომ ვუთხრა, არ დაიჯერებს, ხო იცი, როგორი ჯიუტია.

— კარგი, შენ მაგაზე არ ინერვიულო, მე მივხედავ.

— ისე, ძაან კაია, ზუგდიდის მერი რომ ხარ და სარდაფში ღოღონოშოს საწებელიც გეგულება.

— მიშას უყვარს ძალიან, სუ იძახის, დედაშენის გაკეთებული ღოღონოშო მომენატრაო. ამას წინებზე რო ვიყავი, ორი ბოთლიღა იყო დარჩენილი, წავუღე, თავზე დაისხა.

— თავზე?

— ჰო, ეს იგეთი რამეა, ნელ-ნელა უნდა ვწრუპოვო.

— გენიოსია ეგ ბიჭი, ოღონდ შენს მერე.

— ეგ აღარსად წამოგცდეს, თორემ მიუტანენ ამბავსა და გედემეკიდება, ხო იცი, ზოგჯერ როგორი უხასიათოა.

— ჰმ... მაგის უხასიათობაშიც კი ჩანს გენიოსობა, სამედიცინო ენაზე რომ ვთქვათ, მიშას ახასიათებს უხასიათო გენიოსობა.

— მოკლედ, მე წაველი, გელოდები საღამოს 6-ზე იქა.

— სად იქა?

— კახეთის ტრასაზე.

— ააა, გასაგებია, — მოიქექა თავი ანზორმა და ისევ გუშინდელივით ჩაჰკიდა თავი.

●

როლანდ ახალაიას ეგიდით ჩატარებულმა შიდა გამოკვლევებამ აჩვენა, რომ ადგილობრივ არჩევნებში „ნაცმოძრაობისა“ და ოპოზიციის საერთო კანდიდატ ანზორ მელიას 39%-იანი მხარდაჭერა აქვს, „ოცნების“ კანდიდატს — 32%“.

როგორც ავი ენები ამბობენ, ბატონ ანზორს უფრო მეტი ამოუვიდა, მაგრამ ამ ეტაპზე არ ეუბნებიან, პოლიტსაბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს, ნელ-ნელა შეაპარონ, რათა სიხარულისგან ორგანიზმის რომელიმე უბანზე პრანჭვა არ დეემართოს.

თამარ კორძაიას მტკიცებით, სჯობს, მხცოვან კანდიდატებს ნაწილ-ნაწილ შევაპაროთ, ვიდრე ერთბაშად მივახალოთ.

სწორი გადაწყვეტილებაა, ჩემმა მზემ.

ნოველა რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით დაწერა

**გელა ზედელაშვილმა**

555 48 48 61

# ჩვენ ერთადერთი გამოსავალი გვაქვს – საქართველომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ქვეყანამ რეგიონული შვეიცარიის სტატუსი მიიღოს

*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ:*

**— ბატონო დიმიტრი, ყირიმის პლატფორმას, 40 ქვეყანასთან ერთად, საქართველოც შეუერთდა. რამდენად მისაღებია ჩვენი მონაწილეობა ამ პლატფორმაში და ეს რა საფრთხეებს შეიცავს?**

— ეს არ გახლავთ მუდმივმოქმედი პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც რაიმე, განსაკუთრებულ, მნიშვნელობას ატარებს. ვინაიდან, პლატფორმების სახით არსებობს გარკვეული ინსტიტუციური მიდგომები, რომლებიც საპარლამენტთაშორისო ასამბლეების, სხვადასხვა პოლიტიკური და სამხედრო ბლოკების დონეზე იქმნება. ხოლო, ყირიმში რაც ვიხილეთ, ეს იყო, ერთგვარი, პოლიტიკური პერფორმანსი, რომელიც კონკრეტულად რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული. „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია“-ს პრინციპით, რა თქმა უნდა, მიიწვიეს ყველა ასპირანტი ქვეყანა, მათ შორის, მოლდოვა, უკრაინა და საქართველო. ბუნებრივია, ამ პროცესში მონაწილეობის არმიღება, ჩვენი ქვეყნის მხრიდან, გამორიცხული იყო, რადგან არსებობს გარკვეული ინერცია, რაც საქართველოსთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში არსებული ვალდებულებებიდან მომდინარეობს. აქ, მნიშვნელოვანია შემდეგი: როგორც მოგახსენეთ, ყირიმის პლატფორმა, პოლიტიკური თვალსაზრისით, ძალიან სუსტია. მას არ გააჩნია, რაიმე, ზემოქმედების ბერკეტი. ის უფრო დეკლარირების ერთგვარი ფორმაა, რომელიც რეალური ბერკეტის გამოყენების შესაძლებლობას, მით უფრო ყირიმთან მიმართებით, მოკლებულია.

ყირიმის პლატფორმას ჰქონდა უფრო შოუს ეფექტი, ვიდრე რეალური ქმედების ძალა. აქვე, ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალიც უნდა აღინიშნოს: ყირიმის პლატფორმას ესტუმრა მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი, რომელიც მხარს უჭერს რუსეთის საპატრიარქოსგან უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის დამოუკიდებლობას, რაც სრული ნონსესია. ბართლომეოსი პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქნა გამოყენებული. ერთგვარად, მსოფლიო პატრიარქის ვიზიტით, ამ პოლიტიკურ პერფორმანსს, მარილი მოაყარეს.

**— ფორუმს, საქართველოს პრემიერ-მინისტრიც ესწრებოდა.**

— დიახ, რა თქმა უნდა, საქართველოს პრემიერისთვის ძალიან რთული პლიტიკური ამოცანა იყო ერთი მხრივ, უკვე, აღებული ვალდებულებებისა და დეკლარირებული პასუხისმგებლობის ფარგლებში ფორუმზე დასწრებით ვალი მოეხადა, მეორე მხრივ, განეხორციელებინა იმ ტიპის რიტორიკა, რაც დასავლეთთან მიმართებით გაჟღერდა.

ვფიქრობ, ღარიბაშვილმა ძალიან კარგად გაართვა მისიას თავი. მან, ამ საკითხზე, სპეკულაციებს წერტილი დაუსვა. მან, იქ, ძალიან საინტერესო განცხადება გააკეთა, ფაქტობრივად, თქვა ასეთი რამ: თუკი ევროკავშირის საპარტნიორო მისია, ჩვენთან მიმართებით, ქმედითი არ იქნება, მაშინ იგი, საქართველოში წინააღმდეგობებს, მუდმივად, წააწყდებაო. აქ, ამ შემთხვევაში, შიდა, დაძაბული პროცესი იგულისხმება, რაც კოაბიტაციის შემდეგ შეიქმნა — პროცესი რომელსაც ადგილი ჰქონდა 5 ივლისსაც, როდესაც საქართველოში ახალმა იდეოლოგიის პლატფორმამ გამოანათა. ამას, როგორც ჩანს, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში თავისი მნიშვნელოვანი გასაქანი და როლი ექნება.

**— პირდაპირ, 2024 წლის არჩევნები ახსენეთ. ვადამდელი არჩევნების მოლოდინი არ გაქვთ?**

— დიახ, მე, ახლა, ენამ როდი მიყივლა. აშკარაა, რომ საქართველოში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ იქნება. ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში „ნაცმოძრაობა“ და მისი გეი-პარტიები, დიდ ფიასკოს განიცდიან და საბოლოო ჯამში, არჩევნები 2024 წელს ჩატარდება. ჩვენ, გვაქვს აქტიური ორი წელი და რვა თვე იმისთვის, რომ ქვეყანაში კონსერვატიული პლატფორმა შეიქმნას. გეგმაზომიერად, მიზანმიმართულად, მეთოდურად უნდა ვიმუშავოთ, რათა ამ პლატფორმას სათავეში ქვეყნისთვის ცნობილი და ამავე დროს, კომპეტენციით გამოკვეთილი ლიდერები ჩაუდგნენ. ეს ჯგუფი რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიქმნას, რა მიმართულებითაც მუშაობა თვითმმართველობის არჩევნების დასრულებისთანავე უნდა დავიწყოთ. კოვიდ-პანდემიით გამოწვეული ზიანის მასშტაბებს თუ გავითვალისწინებთ, მივხვდებით, რომ მსოფლიოს ხვალინდელი დღე, სრულიად, არაპროგნოზირებადია — არავინ იცის, რა მოხდება. მაგრამ მიუხედავად ამისა, რა საფრთხის წინაშეც არ უნდა აღმოვჩნდეთ, დადგა დრო საქართველოში კონსერვატიული პლატფორმა ჩამოყალიბდეს, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ დანაშაულებრივ რეჟიმს, რომელსაც ხელები სისხლში აქვს გასვრილი, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაალმდეგ დანაშაულები აქვს ჩადენილი, უბრალოდ, დასაშვებ თუ დაუშვებელ კოაბიტაციაზე, თანაარსებობის არანაირი შესაძლებლობა აღარ ექნება. ეს, აბსოლუტურად, წარმოუდგენელი იქნება და მომავალი საპარლამენტო რაკურსი მთლიანად შეიცვლება. ამას ვვარაუდობ, სწორედ, 2024 წლიდან, როცა საქართველოს შესაძლებლობა ექნება მკვდრადშობილი პოლიტიკა პრაგმატულით შეცვალოს, რაც გულისხმობს მყარი ხიდის ფუნქციის შესრულებას აღმოსავლეთსა და დასავლეთს, სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. ანუ, გზა რომელიც პოლიტიკურ დონეზე საქართველომ უნდა განახორციელოს, ეს გახლავთ რეგიონალური შვეიცარიის სტატუსის მიღება. ვფიქრობ, რესურსის და პოტენციალის გათვალისწინებით, საქართველოს ძალუძს რეგიონალური შვეიცარიის როლი და ფუნქცია იტვირთოს, რაც პირველ რიგში, შესაძლებლობას მოგვცემს, ყველაზე უფრო მტკივნეული — დეოკუპაციის საკითხი გადავწყვიტოთ. ასე თუ არ მოვიქეცით, საქართველოსგან აღარაფერი დარჩება. ვგულისხმობ, ერს, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრიობის მთავარი საფუძველია.





**— ბატონო დიმიტრი, ისევ, ყირიმის თემას დავუბრუნდეთ. მუდმივად გვესმის: ყირიმი უკრაინას უნდა დაუბრუნდესო, მაგრამ რატომ? ახლა, თურქეთიც ალაპარაკდა: რუსეთი ყირიმიდან უნდა გავიდესო. რეალურად, ვის ეკუთვნის ყირიმი?**

— ყირიმი უკრაინის შემადგენლობაში 1954 წელს შევიდა. მანამდე, მისი სტატუსი ბოლომდე გარკვეული არ იყო. უკრაინისადმი ყირიმის მიკუთვნების ერთადერთი პრაგმატული გადაწყვეტილება, ხრუშჩოვის დროს, ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულის მართვის ხელსაყრელობიდან გამომდინარე იყო განპირობებული, რაც შემდეგს გულისხმობდა: ეკონომიკური გათვლებიდან გამომდინარე, მისი ყოფნა უკრაინის შემადგენლობაში, უფრო ეფექტური იქნებოდა. პოლიტიკურად, რა თქმა უნდა, იმდროინდელი ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს შემადგენლობის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება, ძალიან სერიოზული შეცდომა იყო. შეიძლება, ეს, შეგნებულად ჩადებული ნაღმიც იყო, რაც არაერთ რესპუბლიკაში ხორციელდებოდა მოსაზღვრე რესპუბლიკიდან არსებული საფრთხეების კულტივაციისა და ქაოსის გამოწვევის მიზნებიდან გამომდინარე. იგივე ხდებოდა ბალტიისპირეთში, შუა აზიის რესპუბლიკებში, კავკასიაში. ლოკალური დაპირისპირებები და უთანხმოებები, მეზობელ სახელმწიფოებს შორის, დღესაც არსებობს. ყირიმთან დაკავშირებით რაც მოხდა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს იყო ძალიან გვიან პერიოდში მიღებული გადაწყვეტილება — 1954 წელს. აღსანიშნავია, რომ არც მანამდე და არც მის შემდეგ ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ყირიმი რუსეთის იმპერიის მიერ სისხლით და ომით მოპოვებული ნადავლია, რაც მან თურქეთის იმპერიას ხელიდან გამოგლიჯა. ეს არის ფაქტი — ომით მიღებული მონაპოვარი. ახლა, ძნელია ვინმეს ედავო, რომ ეს იყო რუსეთის იმპერიის ორგანული შემადგენელი ნაწილი. ის, რომ იგი, შემდგომში, უკრაინის შემადგენლობაში აღმოჩნდა იყო მხოლოდდამხოლოდ დროის გამოისობით განხორციელებული გარკვეული ქმედება იყო, ერთიანი სახელმწიფოს შიგნით, რასაც საბჭოთა კავშირი ეწოდებოდა. საბჭოთა კავშირი იყო ერთიანი საერთაშორისო სამართალს სუბიექტი, რომელშიც 15 რესპუბლიკა შედიოდა. შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ მის დაშლაზე და სწრაფ ტრანსფორმაციაზე არავინ ფიქრობდა, იმის შიშიც არ არსებობდა, რომ შემდგომში, ყირიმი საჯილდაო ქვა გახდებოდა და მის გარშემო ასეთი ვითარება შეიქმნებოდა. არსებობს ისტორიული რეალობა, რასაც ვერავინ გაექცევა. ის, რომ რუსეთის სამყარო ყირიმს თავის ორგანულ ნაწილად თვლის, ეს ეჭვქვეშ არ დამდგარა არც მე-19 და არც მე-20 საუკუნეში ომიანობის პერიოდამდე. უკრაინისადმი ტერიტორიული ერთეულის მიკუთვნება გარკვეული ეკონომიკური პრაგნატული მოსაზრებებიდან გამომდინარე მოხდა. შესაბამისად, რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულზე რეფერენდუმი ჩაატარა, რაც პირდაპირი, დემოკრატიის გამოვლინებაა და გადაწყვეტილების მიღებაც ისე მოხდა.

ყირიმის პლატფორმის შექმნა, გლობალური დასავლეთისთვის იყო შესაძლებლობა, რუსეთის ფედერაციისთვის კიდევ ერთხელ დარტყმა მიეყენებინა. როგორც მოგახსენეთ, შემთხვევითი სულაც არ იყო ის, რომ ყირიმის პლატფორმაზე მსოფლიო პატრიარქიც იახლეს დასტურად და ნიშნად იმისა, რომ ამ პოლიტიკურ პროცესთან ერთად, ისინი, კვლავ აქტიურად განიხილავენ უკრაინის ეკლესიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხს, რასაც საეკლესიო კანონიკასთან კავშირი არ აქვს.

**— რუსეთმა და უკრაინამ ხომ შეიძლება ყირიმის საკითხი თავად გაარკვიონ?**

— შეკითხვის არსი, აბსოლუტურად, სწორად მესმის. ჩემთვის, ძალიან ადვილია ამ კითხვაზე გიპასუხოთ: საქართველოს ყირიმის ფორუმში მონაწილეობა არ უნდა მიეღო. მაგრამ ასეთი რამის გაკეთება, პრაგმატული პოლიტიკიდან გამომდინარე, არასწორი იქნებოდა. ჩვენთვის, ახლა, საყურადღებოა თვითმმართველობის არჩევნების შემდგომი პერიოდი საპარლამენტო არჩევნებამდე. ამ სამი წლის განმავლობაში პოლიტიკური სივრცის მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია თუ არ მოხდა, ახალი აქტორები არ გამოიკვეთა და საზოგადოებამ არ გადაწყვიტა: რა გვჭირდება იმისთვის, რომ ხელისუფლება ეკონომიკური სტაგნაციიდან გამოვიდეს, არაფერი გვეშველება. მეორე მხრივ, კომპასდაკარგული გემივით ვართ, რომელიც ტალღებს აწყდება და ნაპირისკენ ვერ მიდის. ეს ვითარება უნდა შეიცვალოს, რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24







# მიხას დირექტივა გადადება-გადმოდების თაობაზედ

## ანუ ბუბა პაპას ფისი-ფისი უნდა!

წინა კვირის ერთ-ერთ დღეს (მნიშვნელობა არ აქვს) სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია გამოკუსკუსდა ტელევიზორში და განაცხადა: „70-ზე მეტი გარდაცვლილი გვყავს დღის განმავლობაში. რას უნდა ველოდეთ, რომ უფრო მკაცრი რეგულაციები იყოს შემოღებული? ან რატომ არავინ მსჯელობს? მე ოპოზიციასთანაც იგივე პრეტენზია მაქვს – შეიძლება თუ არა ასეთ ვითარებაში არჩევნების ჩატარება? რა უნდა ხდებოდეს ქვეყანაში უფრო საგანგაშო და სავალალო? შარშან ხომ კარგად ვნახეთ, არჩევნების შემდეგ როგორ დამძიმდა ეპიდვითარება? ვერც ერთი პოლიტიკური ძალის მხრიდან ვერ ვხედავ ამ საკითხის სადისკუსიოდ წამოწევას"!

ჩვენ რომ არ ვიცნობდეთ, როგორი „ჰაიჰარა" სახალხო დამცველი გვყავს, ამ განცხადებას როგორც გულისტკივილს ისე მივიღებდით,







გვეგონებოდა, „ენჯეოშნიკი" ქალი მოსახლეობაზე ზრუნავსო. სურვილიც გვაქვს, მომავალში მართლაც მზრუნველი ადამიანი ვიხილოთ ამ თანამდებობაზე, მაგრამ რა ვიცით, ვის რა აზრი მოეხარშება იქ, ზემოთ და რომელ ოხერსა თუ ტიალს დაგვისვამენ, რომელი „ბედნიერი" (მართლაც ბედნიერი) აიღებს ასი ათასობით ლარს ჯამაგირად არაფრის კეთებაში და თვეში 30 ათას დოლარს გადაიხდის ოფისის ქირაში?! ისე, დემოკრატიულ „იდეალებს" რა ვუთხარი, მუდმივად მსხვერპლს რომ ითხოვს, თორემ რა საჭიროა მუქთახორული თანამდებობა, რომლის სკამზე მჯდომი მახათსაც კი ვერ იყრის, საქმეში მაინც რომ ჩაეთვალოს? კაი, დავანებოთ ამ თემას თავი, სამომავლოდ გადავდოთ, ახლა იმაზე ვიმსჯელოთ, რატომ დასჭირდათ მიხეილ სააკაშვილს და მის ბიძას, თეიმურაზ ალასანიას ე.წ. მორიგი ანკესის გადმოგდება? აშკარად ჩანს, ესენი და ამათი მფარველები ადგილობრივ არჩევნებში ფულს არ ხარჯავენ, აზრი არ აქვს, ამ არჩევნებით ხელისუფლებას ვერ შეცვლი. ჯერ ერთი, არჩევნებს დაარქვეს რეფერენდუმი, რათა საზოგადოების გაუთვითცნობიერებელ ნაწილს არეული ტვინი კიდევ უფრო აურიონ და მეორეც – ემებენ გამოსავალს, რათა როგორმე სიტუაცია არიონ. მიხეილ სააკაშვილმა ე.წ. წინადადება შემოაგდო ომბუდსმენის პირით, რომელიც იმ წუთასვე დაადასტურა „ავტორიტეტულმა" მიშა მშვილდაძემ. ან ერთი ვის დაჰკარგვია, ან მეორე, მაგრამ „იდეა" ხომ გაზმოვანდა? დავუშვათ, გადაიდო ერთი თვით, ორი თვით, სამი თვით, თუნდაც ერთი წლით, მერე რა, ე.წ. ოპოზიციას რა ხეირი? არაფერი, შეიძლება უჭურა-პუჭურა პარტიებმა ის 2–2%-იც ვერ მიიღონ, ამ წუთას რომ უწერენ ე.წ. შიდა კვლევებში. მიხვდა რა „სტრატეგოსი" მიხეილი, ამ საქმიდან (გადადებიდან) ვერც „ნაცმოძრაობა" მიიღებდა ვერაფერს – ვერც მიტინგებს, ვერც მრავალათასიან აქციებს, ვერც რევოლუციას, ვერც ჩემ ფეხებს, უცებ „დაზადნა", რას ამბობთ, პირიქით, არჩევნები იქით კი არ უნდა გადავდოთ, აქეთ უნდა გადმოვდოთ, რაც შეიძლება მალე უნდა გავუშვათ ესენი ხელისუფლებიდანო. „ჭუტრუკვიზიაში" (ე.წ. „ტვ პირველი") ბუბა პაპა კიკაბიძემ იგეთები ილაპარაკა, ვიფიქრე, დილით ქვა ქვაზე აღარ დამხვდება-მეთქი. ხალხი იხოცებაო, მორჩაო, შიმშილია ჩამოვარდნილიო, საქონელი და ფრინველი გაიჟუჟაო, უკვე უდაბნოში ვცხოვრობთო, აღარავინ დარჩება მთავრობის გარდაო. ღმერთმა ნუ ქნას, ეგ არ მოხდება, მაგრამ თუ მაინც მოხდა, თუ ისევ ამათ გაიმარჯვეს, ამოვწყდებითო.

თუმცაო... ამათი საქმე დამთავრებულიაო, 2 ოქტომბერს კოალიციური ხელისუფლება ჩამოყალიბდება და ხალხიც ამაისუნთქავსო, 3 ოქტომბრიდან გვეშველებაო, 4-ში შვებას ვიგრძნობთო.

თქვენ გახარებას, თუ ვინმეს ხმა მიგიწვდებათ, უთხარით დეპუტატ ბუბა პაპას:

1. პარლამენტში გაკვეთილებზე რო არ დადის, ამიტომაც არ იცის, რანაირი არჩევნებია ოქტომბრის 2-ში. კოალიცია არა, ლარისა ივანოვნას ნიფხავი!

2. ერთი საკანონმდებლო ორგანოს წევრად რო ჩაწერა მიხამ და კაი ხელფასზე უარს არ ამბობს, ვის სინდის-ნამუსზე ლაპარაკობს? ბავშვები შიმშილით იხოცებიანო... ჯერ ერთი, საქართველოში ბავშვებს არავინ აშიმშილებს და მეორეც – თუ ასეთი ვინმე გეგულება, დაეხმარე, საპარლამენტო ჯამაგირიდან ერთი-ორი ცალი პური უყიდე, ამ ქვეყანაში ყველაფერი ერთმა კაცმა უნდა აკეთოს?!

3. მაგან სინდისი 1990-იან წლებში დაკარგა. აღარ გაგახსენებთ, ჩემზე უკეთესად იცით. აღარც ტრაკი აქვს, აღარც დროა ისეთი, თორემ ისევ ირბენდა აღმა-დაღმა „ჩერეზ" მოსკოვი!

ამ ყველაფერს რომ ეტყვით, ისიც დააყოლეთ: ბუბა პაპავ, არც დეპუტატობაა შენი საქმე, არც პოლიტიკა... მიდი, კოჭი გააგორე, ტელევიზორი ჩართე, გამოყ...ევებულ გვარამიას და ავნოდარას უყურე, ფაფა ჭამე, ფისი ქენი, ფლოსტები კედელზე მიაყუდე, დაიძინე, 3 ოქტომბერს გაგაღვიძებთ-თქო!

მეც კაი ტიპი ვარ, წამდაუწუმ გამექცევა ხოლმე კლავიატურა... მოკლედ, მას შემდეგ, რაც მიხეილმა თქვა, კი არ უნდა გადავდოთ, აქეთ უნდა გადმოვდოთო (ეტყობა, გადადებული ფეხის გადმოდება იგულისხმა, თორემ რაღა უნდა გადმოვდოთ, როცა კარსაა მომდგარი?), „ნაცმოძრაობაში" გადადებას არ ეთანხმებიან მხოლოდ ერთი მიზეზით (უკვე გითხარით), რაც შეიძლება მალე უნდა ჩატარდეს არჩევნები, ზუსტად იმიტომ, რომ 2 ოქტომბრის რეფერენდუმზე გადაირჩიონ ეს ხელისუფლება და მოვიდეს კოალიციური მთავრობა. გამოდის, მარტო ბუბა პაპა კი არ ურევს ვირეშმაკურად, ყველა „ნაციონალი" ერთ ტალღაზეა მომართული. აი, დაიმახსოვრეთ, რაც არ უნდა მოხდეს, როგორი საერთაშორისო ანგარიშიც არ უნდა დაიდოს, 2 ოქტომბრის ღამეს, სანამ ბიულეტენები დაითვლება, ესენი დაიწყებენ მოძრაობებს, პროვოკაციებს მოტივით, რომ „ქართულმა ოცნებამ" რეფერენდუმი გააყალბა.

არჩევნების გადადებაზე ასევე უარი თქვეს „ლელოელებმა". ყველა პარტიის შიდა კვლევების თანახმად, შეიძლება „ლელომ" ბარიერიც ვერ გადალახოს, რა რესურსებსა და რა შესაძლებლობებზე იბრიქებიან? იმისი არ იყოს, შალიკო ნათელაშვილისა, 0,7% პროცენტი აქვს რეიტინგი, ოჯახის წევრებიც აღარ აძლევენ ხმებსა და მაინც იჭაჭება აქუს უბორნიაში, ქვეყანა მანდეთ, ამ არჩევნებში უმრავლესობით მოვდივარო. რა უმრავლესობით მოდიხარ, შალო, პარტიაში ორი ქალი გიზის, ორივეს სძინავს, კაცი აღარ გყავს, ოფისიდან მარტო შენი ხმაღა გამოდის!

არჩევნების გადადების წინააღმდეგია „ევროპული საქართველოც", მორიგი გარდაცვლილი პარტია, სადაც ჭირისუფლებად დარჩნენ გიგა ბოკერია და მისი კნეინა თამარ ჩერგოლეიშვილი. კართან წერაქვით ზის კაკოიე ბობოხიძე, თოფს აღარ ანდობენ, 1990-იან წლებში ავტომატით რომ დარბოდა, კინაღამ ყვერებში გაირტყა, ეგ ამბავი ბუბა პაპას ემახსოვრება კარგად.

„ევროპული საქართველოს" პოზიცია ემთხვევა „ნაცმოძრაობისას" – რაც შეიძლება მალე უნდა ჩატარდეს არჩევნები და ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ პირწმინდად დამარცხდეს „ქართული ოცნება". მეგობრებო, აქ ერთი მომენტია, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება" შარლ მიშელის ხელშეკრულებიდან გამოვიდა და შესაბამისად, აღარც 43%-იანი ე.წ. დაპირება მოქმედებს, ბოკერია მაინც ცდილობს, მოსახლეობა შეცდომაში შეიყვანოს – ჩვენაო, რაც შეიძლება მალე უნდა მივაღწიოთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს და რაც შეიძლება მალე ჩამოვაშოროთ „ქართული ოცნება" ხელისუფლებასო. დიახ, ამას ამბობს 00,01%-იანი პარტიის „ლიდერი". ისე, „რამფერი" თანამედროვეული ტერმინოლოგოები შემოიღეს ამ დამთხვეულებმა, დაარეგისტრირებენ სამკაციან ჭუჭულიკა პარტიას, ან შემოაჯდებიან მკვდარ ორგანიზაციას და მიცხადებენ, ლიდერი გახლავთო. ჰა, ჰა, ჰა... ლიდერიო, კაცოოო, მაგ გაგებით თაკო ჩარკვიანიც ლიდერია, ეკა ბესელიაც, დავით ჭიჭინაძეც, გიგა ბოკერიაც და ვინღა არა? ვინც „ქართული ოცნებიდან" გაიქცა, ან „დააპაშოლეს", ყველა ლიდერად იშვა, აღარაფერს ვამბობ „ნაცებზე", იქ ყველა ტალანტია.

დამოუკიდებელი დეპუტატის (ეს ისეა დამოუკიდებელი, როგორც მე ვარ ჩინეთის იმპერატორის სიძე), თამარ კორძაიას თქმით, ოპოზიცია არ ატარებს ხალხმრავალ შეხვედრებსა და კონცერტებს, არც უფლებამოსილია, არჩევნები გადადოს. გაიგონეთ, სად გაჰკრა კბილი ყოფილ თანაგუნდელებს? ხელისუფლება ხალხმრავალ შეხვედრებსა და და კონცერტებს ატარებს, ჩვენ კი, ვინაიდან მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ვზრუნავთ, მოკრძალებულად ვმოქმედებთო. ეს ქალი მუდამ გამოირჩეოდა ორიგინალური სიტყვაპასუხით, აშკარად ეტყობა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" განათლებულობა (ისევ ვხუმრობ, ისევ პირიქითაა, პირიქით).

ამ მხრივ, მეგობრებო, ყველაზე ალღოიანი აღმოჩნდა ყოფილი „ნაციონალი", „გამოლელოებული" სალომე სამადაშვილი, ხელისუფლება იმედოვნებს არჩევნების ჩაატარებას ეპიდემიოლოგიური ვითარების პიკზე, რათა ხალხი არ მივიდეს და შემდეგ შეზღუდვების დაწესებას, რაც ქართველი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ვერ მიხვდით? აგიხსნით: ესე იგი, ხელისუფლებას აწყობს, საარჩევნო უბნებზე ხალხი არ მივიდეს და შემდეგ დააწესოს შეზღუდვებიო. ასეთი დასკვნა რომ დადო, ალბათ მთელი ღამე არ უნდა გეძინოს, მოფიქრება ხომ უნდა?!

მოკლედ, როგორც ზემოთ გითხარით, „ნაცებმა" ე.წ. ანკესი გადმოაგდეს, შემდეგ რამსები თავადვე აერიათ, ნახეს, ვერაფერი ხეირი იქნებოდა და „წეიღეს" უკან. ის კი არა, ეს უბედურები ისე დაიბნენ, ზოგიერთმა გამოაცხადა, ესენიო, რომლებმაც ეს აზრი „გააჟღერეს" ბიძინა ივანიშვილმა მოისყიდაო. ესე იგი, მიშა მშვილდაძე, ყბები რო აქ გახევაზე, ივანიშვილმა მოისყიდა, ფული გადაუხადა, ერთი შენ გახარებას, არჩევნების გადმოდება „გამიჟღერეო". დიახ, ასეთი მოხსენებით წარსდგა მედიკამენტების მაგნატი კახაბერ ოქრიაშვილი – ეგენი ყველანი მოსყიდულები არიანო.

მას შემდეგ, რაც კიევიდან „ნაცმოძრაობაში" დეპეშა მიიღეს, გადადების ამბავი ჩაიშალა, იმოქმედეთ გეგმა „ჭ"-თიო, ნიკა მელიამ „დაგვამშვიდა" ოპოზიციას არჩევნების გადადების სურვილი არ აქვსო.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გასაგებად გამოაცხადა, არავითარი გადადება არ იქნება, არც ვადამდელი იქნება, 2024 წლამდე მაგ მხრივ ვისვენებთო. ძნელი კია კიდევ 3 წელიწადი ე.წ. ოპოზიციონრების ყურება, მაგრამ სხვა რა გზაა? ისე, შეიძლება არც მოგვიწიოს ამათი ყურება, როგორც ვატყობ, ბევრს ჩააცმევენ ზოლიან ხალათს უკუღმა და გაუყენებენ გაჩიანის გზას „ვარხალალოს" თანხლებით.

**გელა ზედელაშვილი**
555 48 48 61

# საქართველოს, მრეწველობასთან ერთად, დიდი სიყვარული, ეროვნული თანხმობა და ერთიანობა გადაარჩენს!

## თბილისს კახა კალაძეზე უკეთესი მერი არასდროს ჰყოლია

**კახა კალაძეს შესანიშნავი თანამებრძოლები ჰყავს. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა გიორგი ტყემალაძე, საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე, ვაკის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატი, საქმიანი, წესიერი, თავმდაბალი პიროვნება, რომელიც უხმაუროდ, მაგრამ თავდადებით ემსახურება ქალაქს**

**გოგი თოფაძის სახელი დიდი ხანია კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის.**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე ეროვნული და საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, მეწარმე, ბიზნესმენი, მეცენატი, პოლიტიკოსი.**

**მისი ინტერესებისა და საქმიანობის წრე უაღრესად მრავალფეროვანია, რა საქმესაც არ უნდა მოკიდოს ხელი, მუდამ ერთი პრინციპი ამოძრავებს — თავისი წვლილი შეიტანოს ისეთი სახელმწიფოს მშენებლობაში, რომლის მოქალაქეობაც საამაყოდ გვექნება ყველას...**

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ გოგი თოფაძე ქართული ბიზნესის დრამატიზმით სავსე თავგადასავლის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი და მისი მემატიანეა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საძირკველი დამოუკიდებლობის გზაზე ახლადფეხშედგმული ქვეყნის ადგილობრივ მრეწველობას.**

**გასული საუკუნის 90-იან წლებში სამოქალაქო დაპირისპირების შედეგად გაპარტახებულ და იავარქმნილ ქვეყანაში, უმძიმეს და უაღრესად სახიფათო პირობებში, მან პირველმა გაბედა და წარმატებით მოახერხა გამოეშვა ქართული პროდუქცია, რითაც უდიდესი სტიმული მისცა ადამიანებს.**

**ბატონ გოგის თავის თანამოაზრეებთან ერთად ბევრი ომი აქვს გადატანილი უვარგისი კანონების, არაკეთილსინდისიერი მეწარმეების, ქვეყნის ეკონომიკის მნგრეველების წინააღმდეგ, არაკონკურენტუნარიანი ბიზნესგარემოს შესაცვლელად.**

**ვფიქრობთ, გოგი თოფაძესთან საუბარი, მისი პოზიციები და შეფასებები უაღრესად საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველისთვის.**

**გვესაუბრება ბიზნესმენი გოგი თოფაძე.**





**— ბატონო გოგი, რომ იტყვიან, ბევრი ქარტეხილი გაქვთ გამოვლილი. თითქმის მთელი ცხოვრება საქართველოს ეკონომიკური გაძლიერებისთვის იბრძოდით. როგორია ამ ბრძოლის შედეგები დღევანდელი გადმოსახედიდან?**

— მრეწველობის აღორძინებისთვის, საქართველოს ეკონომიკური სიძლიერისთვის ვიბრძვი ნახევარი საუკუნეა. ვინ მოთვლის, რამდენ შემოტევას გავუძელი. რამდენ ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, გადალაგებას, ცვლილებებს და ამ გადასახედიდან მაინც გულისტკივილით უნდა ვთქვა, რომ სასურველი შედეგები, ქვეყნის ფეხზე დაყენება და მისი გაძლიერება, ჯერჯერობით მაინც ვერ მოვახერხეთ.

ან როგორ შევძლებდით უკეთესად ყოფნას, როცა ჩვენი ხელით დავანგრიეთ აწყობილი სამრეწველო-ეკონომიკური სისტემა, ჯართად გავიტანეთ ქვეყნიდან უნიკალური მანქანა-დანადგარები, რომლითაც ახლა თურქეთში ქარხნები და ფაბრიკები ფუნქციონირებს. გავყიდეთ მიწები, გავანადგურეთ ყველაფერი.

სოციალიზმის დროს შექმნილ სიკეთეებზე ლაპარაკი ახლა, რატომღაც, დიდ ცოდვად ითვლება, თუმცა არ შემიძლია არ ვთქვა, რომ 1953–73 წლებში საქართველოს ჰყავდა მართლაც უნიკალური მმართველი — ვასილ მჟავანაძე, რომლის დროსაც, იმ 20 წელიწადში, საქართველო აყვავდა და აღორძინდა.

დიახ, კომუნისტი იყო მჟავანაძე, მაგრამ პატრიოტი გახლდათ და მისი გაკეთებული ბევრი სიკეთით დღესაც სარგებლობს თბილისი და საქართველო.

2012 წლამდე მართლაც უმძიმესი პერიოდი გავიარეთ – ნელ-ნელა მცირდებოდა სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამები, ნადგურდებოდა სახელმწიფო ქონება, უკანონოდ აპატიმრებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას.

სანამ „ქართული ოცნება" მოვიდოდა ხელისუფლებაში, ქართულმა ბიზნესმა ურთულესი და უმძიმესი გზებით იარა.

90-იანი წლებიდან 2012 წლამდე, 20 წლის განმავლობაში, მუდმივ ჭიდილსა და დაპირისპირებაში ვიყავი სახელისუფლო სტრუქტურებთან, არა იმიტომ, რომ რაიმეს ვაშავებდი ან კანონებს ვარღვევდი, არამედ იმიტომ, რომ სახელმწიფო სტრუქტურები ნორმალური მუშაობის საშუალებას არ მაძლევდნენ და მუდმივი წნეხის და ზეწოლის ქვეშ მამყოფებდნენ.

ბიზნესსაქმიანობა, ბიზნესის კეთება ურთულესი საქმეა, რომელიც მუდმივ ყურადღებას, კონტროლს, სიფხიზლეს მოითხოვს და ამ დროს, როცა ხელისუფლების მხრიდან მეორე ფრონტი გაქვს გახსნილი და მოგერიების რეჟიმში გიწევს საქმიანობა, წარმატების მიღწევა ძალიან ძნელია, თუმცა წარმატებებს მაინც ვაღწევდი, მაგრამ მერე უკვე ღია რეპრესიების პერიოდი დაიწყო და უამრავი ობიექტი წამართვეს, უამრავი ბიზნესი გამიჩერეს.

ასე მივედი 2012 წლამდე.

„ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესისადმი მიდგომა აბსოლუტურად შეიცვალა.

„ქართული ოცნება" მეცხრე წელია, რაც ხელისუფლებაშია და ამ ხნის განმავლობაში ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ფაქტს, რომ ვინმესთვის ბიზნესი წაერთმიათ, ვინმე დაეჩაგრათ, ან ხელი შეეშალათ ბიზნესსაქმიანობაში. პირიქით, სახელმწიფო ბიზნესის ერთგული მხარდამჭერი და პარტნიორი გახდა.

ეს არის სიმართლე და ვისაც ამ სიმართლის დანახვა არ უნდა, ის არ არის კეთილსინდისიერი ადამიანი.

ისიც სიმართლეა, რომ ეს ყველაფერი, ბიზნესისთვის იდეალურთან მიახლოებული პირობების შექმნა, ადამიანებისთვის თავისუფალი მოქმედების და საკუთარი ნიჭიერების სრულად გამოვლენის შესაძლებლობა, ერთი კაცის, ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა.

ბატონ ბიძინას უდიდესი მასშტაბების საქმეები აქვს გაკეთებული საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის.

ამის არდანახვა და არდაფასება, ამის არად ჩაგდება, მე თუ მკითხავთ, ძალიან დიდი ბოროტება და მავნებლობაა, რადგან ამით არა მარტო ბიძინა ივანიშვილს ვტკენთ გულს, არამედ სხვებს, ათასობით და ათიათასობით ადამიანს ხალისს და მოტივაციას ვუკარგავთ, აკეთონ სიკეთე უანგაროდ, ემსახურონ სამშობლოს და ხალხს.

ქართველები ავკარგიანი, სიკეთის დიდად დამფასებელი და დამნახავი ხალხი ვართ, სისხლში გვაქვს გამჯდარი შეგონება: „კარგი ქენი, ქვაზე დადე, გაივლი და წინ დაგხვდება".

ასეთ ხალხს ზნისა და ბუნების გამოცვლას რომ დაუსახავ მთავარ ორიენტირად, ეს უკვე ძალზე სახიფათო და საშიში დანაშაულია და საბოლოოდ, ადამიანების სულიერ გახრწნას და გადაგვარებას ისახავს მიზნად.

**— ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა კარზე მოგვიკაკუნა, თქვენ თბილისის ბევრი ხელმძღვანელი გახსოვთ, რას იტყვით ახლანდელ მერზე, როგორ ხედავთ დედაქალაქის პერსპექტივებს?**

— უკვე გითხარით, შევარდნაძიდან მოყოლებული, ყველა მერთან მიმუშავია, ყველა მათგანი კარგად მახსოვს და მინდა გითხრათ, რომ ქალაქის ასეთი ხელმძღვანელი, როგორიც კახა კალაძეა, აქამდე არ გვყოლია.

გაიხედ-გამოიხედეთ გარშემო — ქალაქი გალამაზდა, სწრაფი ტემპებით ვითარდება ისე, რომ კიდევ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ევროპულ ქალაქებსაც აჯობებს.

რაც კახა კალაძემ გასული ოთხი წლის განმავლობაში გააკეთა, ამას ბევრი ათ წელიწადში ვერ მოახერხებდა.

უცხოეთიდან სტუმარი ჩამომივიდა ამასწინათ. ის ადრეც იყო ნამყოფი თბილისში. გაოცებული და გაკვირვებული დარჩა — როგორ შეცვლილა თქვენი ქალაქი, როგორი სხვანაირი გამხდარაო.

ჩვენ, რადგან აქ ვართ და რადგან ჩვენს თვალწინ ხდება ეს ყველაფერი, სასიკეთო ცვლილებებს ვერ ვამჩნევთ. უცხო თვალმა კი იმწამსვე დაინახა.

ჩვენს მერს კახი კალაძეს ჰყავს შესანიშნავი გუნდი. ირაკლი ხმალაძე გამახსენდა ახლა, უცებ — შესანიშნავი ახალგაზრდა. ენერგიული, საქმის მკეთებელი გუნდი ჰყავს კახის შემოკრებილი. დღე და ღამე არ ისვენებენ, რადგან ძალიან ბევრი პრობლემა დახვდათ ამ ქალაქში.





სამეურნეო პრობლემების გარდა იდეოლოგიური მოწინააღმდეგეებიც არ აძლევენ საშველს და მოსვენებას და საქმის კეთება ექსტრემალურ ვითარებაში უწევთ.

ქალაქი, ცხადია, არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურა, ან ტრანსპორტი. თბილისში უამრავი გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი ადამიანი ცხოვრობს. მათ პატრონობა სჭირდებათ. ზოგს დაბინავება, ზოგს — გამოკვება, წამალი, რა ვთქვა — თბილისი პრობლემებით სავსე ქალაქია — სოციალურად დაუცველები, მარტოხელები, მოხუცები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები თბილისში კალაძემდეც იყო, მაგრამ არავის იმდენი ყურადღება არ მიუქცევია მათთვის, როგორც ეს ბატონმა კახა კალაძემ გააკეთა, ყოველივე ამისგან კი ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება — კახა კალაძე და მისი გუნდი ადამიანებზე, თბილისის მცხოვრებლებზე არიან ორიენტირებული და მათი კეთილდღეობისთვის შრომობენ და ზრუნავენ.

რა ჰქნას კახა კალაძემ, კაცმა, რომელსაც ახლანდელ არჩევნებში კონკურენტი არ ჰყავს, თავზე ნაცარი დაიყაროს და ნებაყოფლობით წააგოს?

**— კალაძემ რომ თავისი ნებით დათმოს პოსტი, ეს უნდათ ოპონენტებს?**

— „ნაცმოძრაობა“, მისი მხარდამჭერები და სხვა ოპოზიციური პარტიული გაერთიანებები არჩევნებისთვის კი არ ემზადებიან, არამედ არეულობისთვის, რადგან მშვენივრად იციან, არჩევნებს ვერ მოიგებენ და სამარცხვინოდ ჩაფლავდებიან.

აქვე არ შემიძლია არ ვთქვა რამდენიმე სიტყვა ქალაქის საკრებულოს ხელმძღვანელობაზეც. საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე, საქმიანი, მაგრამ უხმაურო კაცია. არც ტელეკამერების წინ ჩნდება და პრესასაც თავს არიდებს, არ უყვარს საკუთარი ნამოქმედარის გამომზეურება, მაგრამ მის მიერ გაკეთებული საქმეები თვითონ ლაპარაკობენ გიორგის ტყემალაძის პიროვნებაზე.

გიორგი კარგი ორგანიზატორია, წესიერი, ყურადღებიანი. მთავარია, ვინმეს გასაჭირი მის ყურამდე მივიდეს, გადაატრიალებს ყველაფერს და თუ საკითხი მოსაგვარებელია, აუცილებლად მოაგვარებს.

ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ დაბალანსებული მმართველია. საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებიც არიან, მაგრამ ვინმეს ახსოვს, რომ ურთიერთდაპირისპირება ან შეხლა-შემოხლა ყოფილიყო საკრებულოში? გიორგი ყველასთან აზერხებს საერთო ენის გამონახვას და აყალმაყალის გარეშე აგვარებს პრობლემურ საკითხებს.

თუმცა ვერც საკრებულო და ვერც მერია დამოუკიდებლად ვერ იარსებებენ, ორივე მათგანის ეფექტური მუშაობა კონსოლიდირებულ, ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებებზეა დამოკიდებული და ეს განაპირობებს წარმატებულ ეფექტს. თბილისიც ასე ვერ დამშვენდებოდა, ასეთი სწრაფადგანვითარებადიც ვერ იქნებოდა, მერია და საკრებულო შეთანხმებულად რომ არ მოქმედებდნენ და ამას აქვს, დამეთანხმებით, დიდი მნიშვნელობა.



ეს ურთიერთობა უნდა შენარჩუნდეს.

**— გიორგი ტყემალაძე ვაკის რაიონის მაჟორიტარი კანდიდატია, ხომ?**

— მისი მხარდაჭერა ვაკელებისთვის ყველაზე დიდი გამარჯვება იქნება. მე მჯერა, თუკი თბილისის ყველაზე დიდ რაიონში — ვაკეში გიორგი ტყემალაძე გაიმარჯვებს, ჩავთვლი, რომ ვაკეს გაუმართლა.

**— ბატონო გოგი, ამასწინათ ერთ შეხვედრაზე „ნაცების რისხვა“ — კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი მოვიდა თქვენთან და გულთბილად გადაგეხვიათ. მეგობრობთ მასთან?**

— თეა არის ვაჟკაცი ქალბატონი. დიდი დრო არ გასულა მას შემდეგ, რაც ის კულტურის მინისტრად დაინიშნა, მაგრამ ქალაქის კულტურულ ცხოვრებას მკვეთრად დაეტყო მისი ხელი.

სპორტსაც აქტიურად ქომაგობს.

ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მე მის კიდევ უფრო წინსვლას და მეტად მაღალ თანამდებობებზე ხილვას ვისურვებდი.

აქვე არ შემიძლია არ ვისაუბრო ჩვენს პრემიერ-მინისტრზე ირაკლი ღარიბაშვილზე.

კარგად ვიცნობ მის ოჯახს, მის მამას, კაცს, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ბევრი ადამიანისთვის.

თავად ირაკლი ღარიბაშვილი ნიჭიერი და დიპლომატი კაცია. ხომ ხედავთ, წყობილებიდან ვერ გამოჰყავთ ნაციონალებს იმის მიუხედავად, რომ თავდაუზოგავად ლანძღავენ და ათას სისაძაგლეს აბრალებენ.

ირაკლი ღარიბაშვილი პატრიოტი კაცია და ეს ძალიან მნიშვნელოვანია დღეს.

ეს ე.წ. ოპოზიციონერები ბიძინა ივანიშვილის სახელს უკავშირებენ ირაკლი ღარიბაშვილს, რომ, ვითომ, აი, ბიძინა ივანიშვილმა აღაზევაო. სინამდვილეში, ირაკლი არის დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი, პრინციპული კაცი, რომელმაც შესანიშნავად იცის, რაც უნდა გააკეთოს. მისთვის მთავარი არის ქვეყნის ინტერესები და ხალხის კეთილდღეობა. რაც მან თქვა 5 ივლისს — საქართველო ლგბტ პრაიდს არ მიიღებსო, იცოდა, მთელი მსოფლიოსგან წინააღმდეგობას რომ წააწყდებოდა, მაგრამ არ იკადრა უკან დახევა და რაც თქვა, გააკეთა.

პირადად მე დიდი იმედი მაქვს ირაკლი ღარიბაშვილის და მჯერა, რომ ის გაგვიყვანს სამშვიდობოს. ოღონდ გვერდით უნდა დავუდგეთ.

81 წლის კაცი ვარ, ბევრ ქარტეხილებგამოვლილი და რასაც ვამბობ, მგონი, დამეჯერება.

**— ბატონო გოგი, ოპოზიციონერები აცხადებენ: უკეთესი იქნება, თუ არჩევნები გადაიდება — პანდემიის პირობებში ვცხოვრობთ და იმიტომო...**

— მაგათ 2020 წლის არჩევნებში რომ ვერ გაიმარჯვეს, ყიჟინა მორთეს — გაყალბდაო. მიზეზები არ ელევათ, თითქოს პანდემია ჩემი, თქვენი ან მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილის გამოწვეული იყოს.

ბიძინა ივანიშვილის გახსენებაზე რომ ტანში აჟრიალებთ, ეს ცალკე საკითხია — კაცი ოფიციალურად წავიდა პოლიტიკიდან და მაინც მისი აჩრდილი ელანდებათ.



კარგი, დავანებოთ ამას თავი, მოლანდებები აქვთ და ჩვენ ვერაფერს გავხდებით, მაგრამ „ქართული ოცნება“ მკვლელების პარტია რატომ არის, როგორც ესენი მოიხსენიებენ, ეს არ ვიცი. მკვლელობაში ეჭვმიტანილები ნაცებში ბევრნი არიან და როგორც ესენი იქცევიან, ეს რომ არ არის პოლიტიკური პარტიის ქცევა და სახე, ეს ცხადია.

ამას ხვდება გონიერი ქართველი ხალხი, ხვდება ყველა, ვისაც საღი გონება აქვს შერჩენილი და რა ჰქნას „ქართულმა ოცნებამ“, თუკი მას მხარს ერის ჯანსაღი ნაწილი უჭერს? იმის გამო, რომ ნიკა მელიას თანამდებობა უნდა, დაუთმოს „ქართულმა ოცნებამ“ პოსტები? არადა, ძალადობენ და ამ გზით უნდათ ხელში ჩაიგდონ მმართველობა და ძალაუფლება. კატეგორიულად მიუღებელია ეს.

ერთი ქალბატონი ქუთაისიდან გაჰკივის — მოგებული მაქვს არჩევნებიო. გიგი უგულავა იძახის — მე ფოთის მერი უნდა ვიყოო. კი, მაგრამ, რატომ უნდა იყოს უგულავა ფოთის მერი, რა დამსახურებისთვის, რა კავშირი აქვს უგულავას ფოთთან? — გასაკვირია, ღმერთმანი.

აღარ მინდა ერთი და იგივე ვიმეორო — მაგათი მმართველობის დროს რა უბედურებებიც გადახდა ჩვენს ქვეყანას. მარტო აგვისტოს ომი კმარა ნაცების მმართველობის „სავიზიტო ბარათად“. „ქართულ ოცნებაზე“ კი სალაპარაკო მართლაც ბევრია. რაც 2012 წლიდან დღემდე გაკეთდა, უდავოდ აღსანიშნავია. მართლაც საოცრებები განხორციელდა. რაც მახსენდება ახლა, აი, აჭარაში ექვსივე მაღალმთიან რაიონში სათხილამურო ტრასები გაკეთდა, აშენდა ტურისტებისთვის დასასვენებელი კოტეჯები, გაცოცხლდა იქაურობა, დასაქმდა ხალხი, სავსეა აჭარა ტურისტებით. ამას გარდა, უამრავი რამ. უცხოც ხედავს ამას და შინაურიც, მაგრამ ესენი არ იმჩნევენ...

**— ბატონო გოგი, კახა კალაძემ წინასაარჩევნოდ დედაქალაქში ე.წ. საველე პუნქტები გახსნა, სადაც ყველა ადამიანს შეუძლია მივიდეს და თავისი იდეა შესათავაზოს მომავალ მერს. თქვენ რას შესთავაზებდით, რა არის თბილისში გადასაწყვეტი პირველი რიგის ამოცანა?**

— ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: კახა კალაძემ რაც 4 წელიწადში გააკეთა, ბევრი იმას ვერ შეძლებდა, მაგრამ მაქვს ერთი სურვილი — დედაქალაქმა უფრო მეტი კომუნიკაცია უნდა იქონიოს სოფელთან და ახლავე გეტყვით, რას ვგულისხმობ ამაში.

ჩვენ გვქონდა მაღაზიათა ქსელი „პატრიოტი“, რომელიც, ძირითადად, ადგილობრივი პროდუქციით ვაჭრობდა. ასე უნდა მოხდეს ახლაც. თურქული თუ სხვა ქვეყნის პროდუქცია კარგია, მაგრამ თბილისში ქართველი გლეხის მიერ მოწეულ პროდუქტსაც უნდა ჰქონდეს ღირსეული ადგილი.

როგორც ზემოთაც გითხარით, 110 ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი ქარხანა მუშაობდა საქართველოში, ახლა თურქეთიდან მოაქვთ ყველანაირი პროდუქცია და მათი უმრავლესობა უვარგისია.

მაღაზიათა ქსელი „პატრიოტი“ სააკაშვილის პერიოდში განადგურდა, მაგრამ ახლიდან შეიძლება ყველაფრის ორგანიზება. მერმა ეს ინიციატივები უნდა გამოიჩინოს და არა მხოლოდ, ვთქვათ, მე, არამედ ყველა საქმიან ადამიანს უნდა შეუწყოს ხელი მსგავსი პროექტების განხორციელებაში. ეს, ქალაქის ნატურალური პროდუქციით მომარაგების გარდა ქალაქისა და სოფლის დაახლოების, მეტი ინტეგრირების საუკეთესო პრეცედენტებს შექმნის.

ქართული ჩაის წარმოებას უნდა შეეწყოს ხელი, რომ თბილისის ბაზრებზე ქართული ჩაი გამოჩნდეს.

თურქული, ჩინური, ინდური და სხვა ქვეყნების ჩაი რომ იწონებს თავს დახლებზე, მათზე ნაკლები რით არის ქართული ჩაი? პირიქით, მეტიც არის.

კარგად მახსოვს, საბჭოთა კავშირის ქვეყნების 75% ქართული ჩაით იყო სავსე.

ქალაქის მერზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მაგრამ მერი არ გახლავთ მხოლოდ მეურნე და მშენებელი, ქალაქის მერი არის პოლიტიკური ფიგურა, ის ბევრ პოლიტიკურ ორიენტირს გამოკვეთს თავის საქმიანობაში, იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს და მისასალმებელია, რომ ბატონი კახა კალაძე ნამდვილად არის სერიოზული პოლიტიკური ფიგურა.

ერთი ისტორია გამახსენდა. ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი ხუთი წლის განმავლობაში. იმ პერიოდში კახა კალაძე იტალიაში, მილანის გუნდში თამაშობდა. ერთ-ერთი შეჯიბრების დროს ჩვენც ჩავედით მილანში საგულშემატკივროდ. სტადიონზე იტალიელები გავიცანით, რომლებიც გულმხურვალედ უჭერდნენ მხარს ქართველ ფეხბურთელს. რომ გაიგეს, საქართველოდან ვიყავით და თანაც ქართველები, შემოგვეხვივნენ: საქართველო და ქართველები შეგვაყვარა ამ ბიჭმაო.

ამასაც აქვს მნიშვნელობა. ჩვენ გვყავს მერი, რომელიც მსოფლიოში ცნობილია თავისი კარგი სპორტსმენობით, კარგი ფეხბურთელობით და კარგი კაცობით.

ასე რომ, პირადად მე, თბილისის და საქართველოს გონიერების იმედი და მომავლის დიდი რწმენა მაქვს და მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება!

გახსოვთ, ალბათ, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს! — ასეთი იყო ჩვენი პარტიის მთავარი სლოგანი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა და აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს. დიახ, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და მრეწველობასთან ერთად გადაარჩენს სიყვარული, ქვეყნისთვის თავდადება, ურთიერთთანადგომა, დიდი ეროვნული თანხმობა და ერთიანობა.

**— დიდი მადლობა, ბატონო გოგი, საინტერესო საუბრისთვის. მინდა გითხრათ, რომ თქვენ ქართველ ხალხს ძალიან უყვარხართ.**

**ხართ ლეგენდარული პიროვნება, ქართველი კაცის შეუპოვრობის, სიმტკიცის, გაუტეხლობის სიმბოლო და დიდხანს სიცოცხლეს, მხნეობას, ჯანმრთელობას და კვლავაც ბევრ წარმატებას გისურვებთ.**

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს

1921 წლის 28 თებერვალს რევკომის თავმჯდომარემ შალვა ელიავამ ხელი მოაწერა დეკრეტს, რომლის ძალითაც სერგეევის (ახლანდელი მაჩაბლის) ქუჩაზე მდებარე დავით სარაჯიშვილის (შემდგომში ხოშტარიას) კუთვნილი სასახლე მუდმივ სარგებლობაში გადაეცა საქართველოს მწერალთა კავშირს.

ამის შემდეგ თითქმის ასი წლის განმავლობაში ამ შენობიდან საქართველოს ესმოდა ქართველი მწერლის ომახიანი ხმა.

იცვლებოდნენ მთავრობები და თაობები, მაგრამ არ იცვლებოდა მწერლის ფუნქცია — გუშაგად დადგომოდა ქართულ ეროვნულ ცნობიერებას, დაეცვა ქართული ენა, აღეზარდა თაობები მამულისადმი ერთგულების სულისკვეთებით.

ჩვენი ისტორიის ყველაზე დრამატულ მოსახვევებშიც კი არც ერთ ხელისუფალს აზრად არ მოსვლია მწერლობისთვის ისტორიული სასახლე წაერთმია, უფრო მეტიც, გაეცამტვერებვინა მწერალთა არქივი და ძვირფასი მემორიალური ნივთები, ჩაევლო ხელი მწერლებისათვის და ქუჩაში გამოეყარა.

ეს გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა 2007 წლის 21 აგვისტოს.

მწერალთა სასახლეს ზონდერ-ბრიგადა შეუსია და გაუგონარი ისტორიული დანაშაული ჩაიდაი-



ნა, ხელჰყო ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლი. ბუდე მოუშალა ქართულ მწერლობას.

თოთხმეტი წელია პარალიზებულია საქართველოს მწერალთა კავშირის და მწერალთა აკადემიის საქმიანობა.

„მწერალთა სახლის“ დირექტორად სააკაშვილის მიერ დანიშნული ნატაშა ლომოური, რომელიც „ნაცმოძრაობის“ აქტივისტი გახლავთ, აშკარა პარტიული მიკერძოებით მართავს ამ უწყებას.

თოთხმეტი წელია, არავითარი ფინანსური მხარდაჭერა არ მიუღია საქართველოს მწერალთა ტრადიციულ კავშირს და მის ორგანულ ნაწილს, საქართველოს მწერალთა აკადემიას.

როცა საკითხი დგება წიგნის ბაზრობაზე გასაგზავნი მწერალთა ჯგუფის დაკომპლეტების, ან წიგნის დაფინანსების, ან ლიტერატურული ორგანოსთვის თანხის გამოყოფისა, ნატაშა ლომოური მტკიცე და შეუვალია — ამათ სააკაშვილი არ უყვართ და უარი ეთქვათ.

გამონაკლისი არ არსებობს.

და განზე რჩება ნატაშას მიერ იგნორიორებული ათასამდე ნამდვილი მწერალი მწერალთა კავშირიდან და მწერალთა აკადემიიდან. ამ დროს გალაღებული და წახალისებული არიან ნატაშას მიერ გამოგონილი უნიჭო მწერლები...

ასეთია სამწუხარო რეალობა.

ახლა თქვენთვის შეიძლება ძნელი გასაგები აღმოჩნდეს ის ცინიზმი და ყოველდღიური დამცირება, რაც ვიწვნიეთ ქართველმა მწერლებმა ამ თოთხმეტი წლის განმავლობაში, სააკაშვილის მსუბუქი ხელით და უგუნური ნებით ქუჩაში რომ აღმოვჩნდით.

7 აგვისტოს განთიადის 4 საათზე ზონდერ-ბრიგადას ჯერ კიდევ არ ჰქონდა დამთავრებული თავისი ბნელი საქმე, პრეზიდენტის დედას, გიული ალასანის დავურეკეთ. ბოდიში მოვუხადეთ ადრე გაღვიძებისთვის და მოვახსენეთ, რომ მისი შვილის განკარგულებით მწერალთა სასახლეს არბევენ. ყურადღებით მოგვისმინა და გვაუწყა: „ეგ არ იქნება მართალი, ჩემი შვილი ამას არ მოიმოქმედებდა. ახლავე დავურეკავო“. არ ვიცით, დაურეკა თუ არა, მაგრამ ამ რბევის შემდეგ ქალბატონი გიული მთელი თვის განმავლობაში ჩვენს ზარს არ პასუხობდა.

პრეზიდენტის მიერ ზურგგამაგრებული ნატაშა ლომოური მწერლებისგან ერთგულად იცავდა „ნაცმოძრაობის“ მიერ ოკუპირებულ სასახლეს.

იმ დროს მერიაში კულტურის სამმართველოს უფროსად მუშაობდა ერთი ღვთისნიერი კაცი მამუკა ქაცარავა. მამუკამ (ერთადერთმა) გულთან მიიტანა ჩვენი გასაჭირი და ერთ დღეს გამოგვიცხადად: მერი, როგორც იქნა, დავითანხმე თქვენთვის შენობის დაბრუნებაზეო.

მამუკას მიერ გამოგზავნილ 15 დამლაგებელთან ერთად გათენებამდე, როგორც იქნა, მტვრისგან და სამშენებლო ნარჩენებისგან გავწმინდეთ შენობა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს. დაღლილები დავბრუნდით შინ და ორიოდე საათის შემდეგ რომ მივბრუნდით, კარებში შვიდი პოლიციელი დაგვხვდა. ვეცით ტელეფონს: თურმე მერს სააკაშვილთან არ ჰქონია შეთანხმებული და რომ გაიგო პრეზიდენტმა, ქოში უკუღმა ჰყარა. რით შეაძულეთ ასე თავიო, ტირილით გვითხრა მამუკამ.

გავიდა დრო. ერთხელ კიდევ ჩაგვესახა მწერალთა შენობის დაბრუნების იმედი. ნატაშას ვთხოვეთ, მგონი, შენობის ნაწილს გვიბრუნებენ და კომპიუტერის მაგიდას მაინც შემოვიტანთო. კეთილი და პატიოსანიო, „გულისხმიერმა“ ნატაშამ.

საშინლად წვიმდა. სამმა კაცმა ლერმონტოვის ქუჩიდან ძლივს მოვათრიეთ მაგიდა და კარებში გაავფთრებული ნატაშა დაგვხვდა. არავითარ შემთხვევაში, ცოცხალი თავით აქ მაგიდას არ შეგატანინებთო. სამი დღის განმავლობაში წვიმაში, ქუჩაში იდგა მწერალთა კავშირის მაგიდა, წვიმისგან დალპა და მერე მენაგვეს გავატანეთ. ასე გვექცეოდა მამისტოლა მწერლებს მწერალთა სახლის მრისხანე დირექტორი.

რაკი ხელისუფლებასთან ვერა გავაწყვეთ რა, გადავწყვიტეთ, სასამართლოსთვის მიგვემართა.

და ვიჯექით უსამართლო სასამართლოს წლობით გაჭიანურებულ სხდომებზე ისინი, ვისაც ეს დრო და ენერგია ქართული ლიტერატურის სამსახურისთვის უნდა დაგვეხარჯა.

ბოლოს ილაჯგაწყვეტილი მოსამართლენი თავის სამუშაო ოთახში გვიხმობდნენ და საიდუმლოდ ჩაგვჩურჩულებდნენ: „დიდ პატივს გცემთ, ძალიან გვიყვარხართ, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვა, სააკაშვილს აქვს ტორი დადებული თქვენს სასახლეზეო“.

ეს ჩურჩული ჩვენთან ერთად არაერთგზის მოუსმენიათ: ანა კალანდაძეს, შოთა ნიშნიანიძეს, მუხრან მაჭავარიანს, ჯანსუღ ჩარკვიანს, რეზო ჭეიშვილს, ოტია იოსელიანს და სხვებს.

ისე ჩავიდნენ ისინი საფლავში, რომ მწერალთა სასახლის დაბრუნების ნატვრა თან ჩაიყოლეს.

მერე სასახლის გაყიდვა გადაწყვიტა გალიფრებულმა პრეზიდენტმა.

სადღეღამისო დარაჯობა და საყოველთაო ზარის რეკვა რომ ავტეხეთ, გაყიდვა გადაიფიქრა და მწერლობისადმი უფრო მეტი ზიზღი ჩაიდო გულში; რაკი ეს „პროექტი“ (სასახლის გასხვისება) არ გამატანინეთ, არც თქვენ და არც — მეო.

იარეთ ახლა „დამწვარ სუდში“ და იყავითო.

რა მდგომარეობაა ამჟამად ე.წ. „მწერლის სახლში“?

განადგურებულია მწერალთა კავშირის უმდიდრესი არქივი, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა თაობის მწერლების პირადი საქმეებისგან, მწერალთა კავშირის გამგეობის და პრეზიდიუმის სხდომების ოქმებისგან და პირადი განცხადებებისგან.

არქივში დაცული იყო კოტე მაყაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ლადო ასათიანის, ირაკლი აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, შოთა ნიშნიანიძის და სხვათა გამოსვლები, დღეისთვის რომ უძვირფასეს მასალას წარმოადგენენ ლიტერატურის ისტორიკოსისათვის.

განადგურებულია მწერალთა კავშირის უმდიდრესი ბიბლიოთეკა. ეს ბიბლიოთეკა ძირითადად შედგებოდა სახელოვან მწერალთა



მიერ ბიბლიოთეკისადმი მიძღვნილი ავტოგრაფებიანი წიგნებისგან. რა ბედი ეწია ამ წიგნებს, დღემდე უცნობია.

დღეს მწერალთა კავშირის შვიდას და მწერალთა აკადემიის ოთხმოცდათხუთმეტ წევრს, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ცნობილ მწერალთა საუკეთესო რაზმს, ლიტერატურის სხვა მოყვარულებზე რომ არაფერი ვთვათ, საშუალება არა აქვთ, მოვიდნენ მათთვის ესოდენ ძვირფას, დიდი მეცენატების, სარაჯიშვილისა და ხოშტარიას ნაანდერძევ შენობაში, მიუსხდნენ ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში ფართო მაგიდას და სხვა თუ არაფერი, ლიტერატურულ პრესას მაინც გადახედონ. ან მწერალთა კავშირის ბაღში გავიდნენ და იმ სკამებზე ჩამოსხდნენ, რომლებზეც მათ ათწლეულების განმავლობაში უნახავთ თავიანთი ნეტარხსენებული კოლეგები — გალაკტიონი და გამსახურდია...

ვინ დაუშალათ?

მწერალთა ბიბლიოთეკის გაცამტვერებაზე უკვე მოგახსენეთ; ნატაშა ლომოური როგორ დაუშვებს, რომ მწერლის სახლში მწერალთა მაგიდაზე ლიტერატურული პრესა იდოს და მწერლებმა გადაიკითხონ.

რაც შეეხება მწერალთა კავშირის ბაღს, იქ ნატაშას განკარგულებით ძვირადღირებული რესტორანია გახსნილი და ამ ქესატობის დროს, ისედაც ჯიბეცარიელი მწერალი იმ რესტორნის კლიენტობაზე ვერც იოცნებებს.

მწერალთა სასახლის მესამე სართულზე ნატაშამ გახსნა ხუთნომრიანი სასტუმრო. ეს სასტუმრო საქართველოს რაიონებიდან ან უცხოეთიდან ჩამოსულ მწერლებს უნდა მომსახურებოდა. კონკრეტულად იმათ, ვისაც თბილისში ღამის გასათევი არ გააჩნია. ამჟამად მსგავსი არაფერი ხდება. ბიუჯეტში არ შედის ამ სასტუმროდან არც ერთი კაპიკი. არაფერს ვიტყვით იმ ჭორებზე, რაიც „მწერლის სახლის“ სასტუმროს ირგვლივ ტრიალებს.

იცით თუ არა თქვენ, ქალბატონო მინისტრო, რომ მწერალთა კავშირის ისტორიულ შენობაში თუნდაც ათი წუთით სურათის გადასაღებად შესვლა უბრალო მოქალაქისთვის 350 ლარი ღირს?

ეს რომ გაეგოთ სარაჯიშვილს და ხოშტარიას, ჯავრისგან საფლავში გადაბრუნდებოდნენ.

2007 წლის იმ საბედისწერო ღამეს ზონდერ-ბრიგადამ მწერალთა სასახლის უძვირფასესი მემორიალური ნივთები ქუჩაში რომ მოისროლა, სამუდამოდ დაგვეკარგა გალაკტიონის მხრებით მოტანილი წიგნების კარადა, კონსტანტინე გამსახურდიას სავარძელი, რომელზეც ჩვენი ლიტერატურის ქორა მახვში მარტო თვითონ ჯდებოდა, დავით სარაჯიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი აკაკი წერეთლის მინაწერითურთ: „დათიკო, ეს რა განძი გქონია“, და ა. შ. ასევე დაიკარგა ლადო ასათიანის ლექსების პირველი აკრძალული წიგნი, ცენზურას რომ გადაურჩა და მწერალთა კავშირში სასოებით ვინახავდით. გაანადგურეს და ქუჩაში გადაყარეს „მწერლის გაზეთის“ არქივი.

ვინ აანაზღაურებს ამ დანაკლისს? ვინ დაისჯება ამ გაუგონარი ყაჩაღობისთვის?

დრო ულმობლად გარბის.

მადლობა ღმერთს, ქართველ მწერალთა რიგები დღითიდღე იზრდება, ერის კეთილი მრჩეველი და მესაიდუმლე მწერალი კვლავაც ერთგულად ემსახურება თავის ბედუკუღმართ სამშობლოს, კვლავაც ერთგულად მიჰყვება ილია ჭავჭავაძის ნაჩვენებ გზას, მაგრამ მხატვრული სიტყვის ახალგაზრდა ოსტატთა შორის ცოტა როდია ისეთი, რომელსაც ფეხი არასოდეს შეუდგამს თავის სასახლეში. იმ სასახლეში, რომელსაც ილიას და აკაკის აჩრდილები დღესაც ახსოვს.

სააკაშვილმა მხოლოდ შენობა როდი წაართვა ქართველ მწერლებს. მან ქართული ლიტერატურის ისტორია შეაჩერა. მან ასწლოვანი ტრადიცია გაანადგურა. მან მაჩაბლის ქუჩას ფუნქცია წაართვა. მწერალთა თაობების სვლა შეაჩერა ამ ქუჩით. დიახ, მან სასახლის წართმევით ტრიბუნა წაართვა ქართველ მწერლებს და თქვენი, როგორც კულტურის მინისტრის ისტორიული მისიაა, დაუბრუნოთ ეს ტრიბუნა ათასამდე ქართველ მწერალს.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?

ნუთუ დასასრული არუნდა ჰქონდეს, ქართველ მწერალთა მოთმინების გამოცდას?

უმორჩილესად გთხოვთ, დაუბრუნეთ ქართველ მწერლებს თავიანთი კუთვნილი სასახლე.

თქვენი გულისხმიერების იმედი რომ გადაწურული გვქონდეს, თეა წულუკიანის რომ არ გვჯეროდეს, ამ წერილით არ შეგაწუხებდით.

პატივისცემით და იმედით —

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

**საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია**

## ზაურ ბოლქვაძე



# ლექსები

ჩემს თაობას გაუმართლა — ჩვენ ისეთი ადამიანები დაგვხვდნენ მწერლობაში, რომლებიც არა მარტო დიდებული მწერლები და პოეტები იყვნენ, არამედ დიდებული ადამიანებიც.

ისინი ჩვენ, ახალგაზრდებს, უფროსი ძმებივით გვპატრონობდნენ, გვეხმარებოდნენ, გვერდში გვედგნენ და ამას აკეთებდნენ ისე დელიკატურად, ისე უხმაუროდ და ბუნებრივად, რომ უხერხულობა არ გვეგრძნო.

ამ დიდებული ადამიანებიდან ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო ზაურ ბოლქვაძე — უნიჭიერესი პოეტი, სიყვარულით, სიკეთით, სინათლით სავსე კაცი.

იშვიათად მინახავს ასეთი დიდბუნებოვანი, ბავშვივით სუფთა და სხვის დასახმარებლად მუდამ მზადმყოფი ადამიანი.

მახსოვს, ჯიბექესატ ახალგაზრდა პოეტებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ზაურ ბოლქვაძის ლეგენდარული უჯრა.

— ხომ იცი, ძამა, ჩემი უჯრა ღიაა, აიღე, რამდენიც გჭირდება, — ეტყოდა ბატონი ზაური, თუ ვინმე ფულის სათხოვნელად მიადგებოდა.

ცხადია, ღვინის ან ლუდის სამყოფ მცირე თანხაზე იყო საუბარი.

ერთი ახალაზრდა შეეჩვია ნამეტნავად ბატონი ზაურის უჯრას და ხშირ-ხშირად აკითხავდა ხოლმე.

ერთხელაც მივიდა ეს ახალგაზრდა და რას ხედავს — უჯრა დაკეტილია.

— ვიყავი თქვენთან და უჯრა დაკეტილი დამხვდა, — შესჩივლა ახალგაზრდამ ბატონ ზაურს.

— კი, კი, ცარიელი იყო და დავკეტე. აბა, ცარიელი უჯრის ქექვით ხომ არ შეგაწუხებდიო, — მიუგო ბატონმა ზაურმა.

საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა ზაურ ბოლქვაძეს, თუმცა მისი იუმორიც ისეთივე თბილი და უბოროტო იყო, როგორიც იყო თავად.

ნაადრევად წავიდა ბატონი ზაური ამ წუთისოფლიდან.

წავიდა და დაგვიტოვა დიდი სიყვარული, დიდი მონატრება და, რაც მთავარია, დაგვიტოვა ჭეშმარიტი ნიჭიერებით აღბეჭდილი პოეზია, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.

**ვახტანგ ხარჩილავა**

### დედასაქართველოვ!

დიდი იყავ!..
გფარეთ მკერდით!..
გკვებეთ სისხლით!..
გალბეთ ოფლით!..
დღეს, ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!..

შენი ღვიძლი მიწა-წყალი
ახატია სხვების რუკებს!
წარიტაცა ზოგმა ძალით!..
ზოგს მიჰყიდეს…
ზოგს აჩუქეს!..

და რაც დაგვრჩი,
დაგვრჩი მარად!..
დაგვრჩი ხორცად!..
დაგვრჩი ძვლებად!..
დაღუპვისგან დაგვიფარავს
მარტო შენი დასიზმრება!..

საქართველოს გეტრფით მთლიანს!..
საქართველოს გეტრფით ახალს!..
იცოცხლე და, სულ ერთია,
დიდი ხარ თუ პატარა ხარ!..

უფრო მეტი დაგებადოს -
ერის მშვენი!
ენის მშვენი!..
არ ყოფნიდეს აკვნებადაც
შვილთა შენთა ტყენი შენი!..

დიდი იყავ!..
გფარეთ მკერდით!..
გკვებეთ სისხლით!..
გალბეთ ოფლით!..
დღეს,
ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!..

### ამ საიდუმლოს, ლექსო...

ამ საიდუმლოს, ლექსო,
ვერასდროს მიგიხვდები:
რა შმაგად იწერები,
რა მშვიდად იკითხები?!

ჩემთან მზესავით ნათობ
და სხვასთან იბინდები!
ამ საიდუმლოს, ლექსო,
ვერასდროს მიგიხვდები!

### არის ამ ჩემს ორგანიზმში...

არის ამ ჩემს ორგანიზმში
ყველგან (არა ზოგან) ნისლი:
ყელში — მიბჯენილი სული,
სულში — სევდა მარადისი,
გულში — ჩარჭობილი დანა,
ტვინში — ჩაქცეული სისხლი,
თვალში — ჩაგებული ცრემლი
და უწყვეტი დენა მისი,
პირში — ბურთი ჩატენილი,
მტრობით, სიძულვილით, ზიზღით!..
ვიხრჩობი და ვიღუპები,
რა ვიღონო, აღარ ვიცი!..

### აყვავებულა ალუბლები

სუსხი გარდაცვალების
შემოიჭრა წუხელის,
დაეხუჭა თვალები,
დაეკრიფა გულხელ,
სიხარული დაემხო
და გამეფდა წუხილი,
კარ-ფანჯრები დაიღო,
ატყდა ჭექა-ქუხილი,
ციდან აცრემლებული
ჩამოვიდნენ ღრუბლები,
სულ მთლად დასველებული
ყვაოდნენ ალუბლები!..

### ახლა

ახლა და მხოლოდ ახლა
მინდა, დავკოცნო ბალახი,
მოხუცი დედა ვნახო,
სხვა ნატვრა არ მსურს არაფრის.

მინდა, შიშველი ფეხებით
ჩვენ დიდ ეზოში სირბილი…
მინდა, გავარდეს მეხი და
მიწამ შეიგრძნოს სირბილე.

მინდა, სოფელმა დამღალოს,
მერე სოფელშიც დავტოვო…
დედას მოშორდეს ჭაღარა,
ფიფქად იქცეს და დამთოვოს!

### დაღლილი ცის ფეთქავს მკერდი ..

დაღლილი ცის ფეთქავს მკერდი
და მძინარე მიწის მცველად
კრთის ვარსკვლავი ერთადერთი –
ჩემი საქართველოსხელა!

### დღეს უყოყმანოდ აყვავდა ნუში ..

დღეს უყოყმანოდ აყვავდა ნუში,
ყოყმანობდა კი ძალიან გუშინ…
ისე იცინის ნუშის ყვავილი,
აუცილებლად ჩაიძვრენს სულში.

### ლექსიც ცოცხალი კაცივით ფიქრობს ..

ლექსიც ცოცხალი კაცივით ფიქრობს,
ტირის, იცინის, ღელავს და იწვის…
ამ წიგნის ყველა სიტყვას და სტრიქონს
აცხია ჩემი ცრემლი და სისხლი!..

ლექსი ნატვრაა, ახდომას ითხოვს,
ამ ნატვრის ფასი მკითხველმა იცის…

### გარდა მზისა და გარდა სინათლისა...

გარდა მზისა და გარდა სინათლისა
მე კიდევ მინათებს რაღაც!
გარდა მიწიერი ხმისა,
კიდევ ჩამჩურჩულებს რაღაც.
ჩემში შემოდიან ძალნი იდუმალნი
ჩუმად, უდრტვინველად, ლაღად…
გარდა ცრემლების და გარდა მოწყენისა
კიდევ მაიძულებს რაღაც:
მოგძებნო, ამოვიდე შენთან,
ბედის ბილიკებით, მაღლა…
და მაგ ზღვა თვალებში სული გადავკარგო
მარადის მშფოთვარე ტალღად!..
გარდა თვალთა შენთა მიუწვდომლობისა
ზეცად მომიწოდებს რაღაც,
გარდა სიკვდილის და გარდა უშენობის
მიწისკენ მეძახის რაღაც!..

### მიყვარს გალობა ჩიტების...

მიყვარს გალობა ჩიტების,
სიამოვნებით ვისმენ.
ღმერთს რაღაცაში ვჭირდებით,
არ გაგვაჩენდა ისე!

დგახარ მწვერვალზე დიდების
გაოცებული ისმენ:
ღმერთს რაღაცაში ვჭირდებით,
არ გაგვაჩენდა ისე!

ვდგავარ მწვერვალებზე დიდების
და ჩემსავე ხმას ვისმენ:
ღმერთს რაღაცაში ვჭირდებით,
არ გაგვაჩენდა ისე.

### წეროები

მიფრინავენ!..
ზეცა მოანაღვლიანეს
შემოდგომის მიწურულზე წეროებმა!..
დაუღლელი გზის გამკვლევი დაღლიათ და
სამხრეთის ქარს მთელი მწკრივი ეწირება!..

მიფრინავენ!
ცის სილურჯეს აშავებენ
და ყივილით შველას სთხოვენ აღარავის!..
ემძიმებათ დანისლული გზა-შარები,
დიდი მთები — მარადისად ჭაღარები!..

მიფრინავენ!..
და საფრენი არ ილევა!..
აკავებენ ამოვარდნილ გულებს მკერდით!..
მიფრინავენ და მიჰყვებათ გაფრთხილებად
ჩამორჩენილ წეროს ბედი!..

მიფრინავენ!..
არც იციან: ზეცის გზები
გრძელდებიან, მოკლდებიან?..
შორს კი, შავ ზღვას ის წუთები ესიზმრება,
ქარიშხლით რომ წეროები მოკვდებიან!..



# „ქართული ოცნების“ ციხესიმაგრე



ქართულ პოლიტიკაში ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა.

ასე მოხდა ზვიად გამსახურდიას დროს, ასე მოხდა შევარდნაძის დროს, ასე მოხდა სააკაშვილის დროსაც.

შიგნიდან ჩარაზული ციხის კარები ისევ შიგნით მყოფებმა უნდა გააღონ, თორემ ჩარაზული კარის გაღება გარედან შეუძლებელია.

„ქართული ოცნების“ ციხე ცხრა წელია მყარად დგას და ჯერჯერობით ძვრა ვერავინ უყო, მიუხედავად იმისა, რომ მოიერიშეები ოთხივე მხრიდან განუწყვეტლივ უტევენ.

კი, იყო რამდენიმე მცდელობა ვიღაც-ვიღაცების მხრიდან, „ქართული ოცნების“ ციხე შიგნიდან გაეტეხათ, მაგრამ ეს მცდელობები იმით დამთავრდა, რომ ციხის ნაცვლად სახელი გაიტეხეს, სახელის გატეხვას კი, მოგეხსენებათ, თავის გატეხვა სჯობია.

ნიშანდობლივია, რომ ამ სახელგატეხილებმა, ძალიან რომ იქადნებოდნენ, ახალ პოლიტიკურ პარტიებს შევქმნით და „ქართული ოცნების“ ციხესიმაგრეებს ნაცარტუტად ვაქცევთო, ვერც ვერაფერი შექმნეს, ვერც ვერავის მიეკედლნენ და ისე ჩაიკარგნენ პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში, როგორც ზღვაში ნასროლი კენჭები.

„ქართული ოცნების“ ციხის შიგნიდან გამტეხველებიდან აგერ ერთი დალასლასებს დონ კიხოტივით გალეული და თავის სანჩო პანსებთან და დულცინეებთან ერთად ქარის წისქვილებს ებრძვის და თანაც ხმამაღლა აცხადებს: ნუ გეშინიათ, არავის არ ვერჩი, არავის წინააღმდეგი არ ვარო.

როცა არავის წინააღმდეგი არ ხარ, სწორედ მაშინ ხარ ყველაზე სახიფათო და საშიში, შე მაზაკვალო.

# იბოს ტომის მეფე თბილისის მერად!

„კარენნოი“ თბილისელი ვარ, ძმაო. ჩემი წინაპრები ვერის სასაფლაოზე განისვენებენ. აქედან ორი თავის დროზე ქალაქის თავი იყო. ჰოდა, მე, ამ ნაღდმა თბილისელმა კაცმა, გადავწყვიტე, თბილისის მერის არჩევნებზე ხმა რიჩარდ არინზე ოგბუნუჯუს მივცე.

ვინ არის რიჩარდი?

ვინ არის და გათბილისელებული ნიგერიელია, იბოს ტომის მეფე.

არ არის დრო, ჩვენს საყვარელ თბილისს მერად მეფე ჰყავდეს?

აბა, ის არის საქმე, რაიონებიდან გლეხები რომ ჩამოგვყავს ქალაქის თავებად?

რა უნდა თბილისის მერად მეფოში წესრიგი, მშვიდობა და ურთიერთპატივისცემა სუფევს.

კაცი ამის გაკეთებას დისტანციურად რომ მოახერხებს, ხომ წარმოგიდგენიათ, აქ, ადგილზე, რამხელა საქმეებს დაატრიალებს?

რიჩარდი, შეთავსებით, ნიგერიული დიასპორის ხელმძღვანელიც ყოფილა თბილისში.

რიჩარდი მერი რომ გახდება, ნიგერიელების რაოდენობაც მკვეთრად მოიმატებს და თბილისი ნამდვილად გახდება სიცოცხლით სავსე ქალაქი.

ნიგერია აფრიკისთვის იგივეა, რაც ფონიჭალა თბილისისთვის.

ფონიჭალა და ნიგერია აუცილებლად დაძმობილდებიან და დიდ



ზუგდიდელ ან სამტრედიელ კაცს?

აი, ნიგერიელი, თანაც მეფე, სულ სხვა საქმეა!

ამასწინათ ვახტანგ გორგასლის ძეგლი აჩვენეს რიჩარდს და იმწამსვე იცნო — ვახტანგია ეგ, ვიცი მე, ვინც არისო.

რა გასაკვირია — მეფემ მეფე იცნო!

რიჩარდი თბილისიდან დისტანციურად მართავს თავის სამეფოს და, როგორც ამბობენ, იბოს საერთაშორისო ბიზნესს ჩაუყრიან საძირკველს.

რიჩარდის თბილისის მერად არჩევას კიდევ ბევრი სიკეთეები მოჰყვება თან და როგორც ორგანიზაცია „ჩვენი გაერთიანებული საქართველოს“ ლიდერი ამტკიცებს, საქართველოს მთელ მსოფლიოში გაუვარდება სახელი, როგორც ტოლერანტობისა და ხალხთა შორის მეგობრობის მექას.

# მესამე „ძალა“

დიდი და პატარა ვაშაძე გაერთიანდნენ და მესამე ძალა დაირქვეს.

თავმდაბალი ხალხია ვაშაძეები, თორემ ხომ შეეძლოთ, მესამე ძალა კი არა, პირველი ძალა დაერქმიათ.

არადა, ორი ვაშაძის გაერთიანება, სინამდვილეში, არც პირველი ძალაა და არც მესამე — ეს არის, უბრალოდ, ორი ვაშაძე ერთად.

არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ რაღაც სხვა. — თქვა ცხონებულმა გრანელმა.

პატარა ვაშაძე (ჯუნიორი) ამბობს: არა „ქართული ოცნება“,







არა „ნაცმოძრაობა“, არამედ მხოლოდ ჩვენ, ვაშაძეებიო.

კი, ბატონო, იყავით თქვენ, ვაშაძეები, მაგრამ ქართველ ხალხს არ ეკითხებით, მესამე ძალად მიაჩნიხართ თუ ორმოცდამესამედ?

ორი ვაშაძის გაერთიანებამ ქართულ პოლიტიკაში შეიძლება ახალ მიმართულებას დაუდოს სათავე და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდნენ გვარების მიხედვით გაერთიანებული პარტიები.

ვთქვათ და „მაისურაძეების პარტია“, „ბერიძეების პარტია“, „კვარაცხელიების პარტია“, „გელაშვილების პარტია“.

ასეთი პარტიები, თავისი მრავალრიცხოვნობის წყალობით, ყველა არჩევნებს მოიგებენ, მცირერიცხოვან გვარებს კი გამრავლების მოტივაცია მიეცემათ, რაც ნაწილობრივ მაინც გამოასწორებს ქვეყანაში არსებულ უმძიმეს დემოგრაფიულ ვითარებას.

ასე რომ, ვაშა, ვაშაძეებს საინტერესო ინიციატივისთვის.



# ლეშის მჭამელის ყალბი ცრემლები

## სააკაშვილი ტირის იქ, სადაც არ უნდა ტიროდეს და არ იცინის იქ, სადაც უნდა ტიროდეს

ამა წლის 22 აგვისტოს მიხეილ სააკაშვილმა იტირა. როდესაც ადამიანი ტირის მაშინ, როცა აღარ უნდა იტიროს და არ ტიროდა მაშინ, როცა უნდა ეტირა, იმას ან ტვინში ულიტინებენ, ან კიდევ სხვაგან. სააკაშვილის შემთხვევაში შეიძლება ორივე სახის ღიტინთან გვქონდეს საქმე.

მოკლედ, ახლავე მოგახსენებთ, რა ბნედა დაეცა საქართველოდან გაქსუებულ ნაპრეზიდანტალს, რაზე აღვარღვარა ცრემლები მაშინ, როცა არ უნდა ეღვარღვარებინა: 21 ავისტოს უკრაინის დედაქალაქ კიევში მთავრობის წევრებთან ერთად ჩაფრინდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

რასაკვირველია, ბოლმის „ბუკეტ“ სააკაშვილისთვის ეს იყო



შოკი, ანუ თავში ჩარტყმა!

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ირაკლი ღარიბაშვილს უკრაინელი კოლეგა დენის შმიგალი, უკრაინის თავდაცვის მინისტრი ანდრეი ტარანი, ლვოვის რეგიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაქსიმ კოზიცკი, ლვოვის მერი ანდრეი სადავოი და სხვა სახელმწიფო მოხელეები დიდი პატივით დახვდნენ.

რასაკვირველია, უკვე „გაბომჟებული“ სააკაშვილისთვის ესეც იყო შოკი, ანუ სულიერი გაფარჩაკება. აქამდეც გაფარჩაკებული იყო, მაგრამ ახლა უფრო „ჩაბომჟდა“!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად გაიმართა ტრადიციული ცერემონია. უკრაინელმა კოლეგამ იმავე დღეს ლვოვში უმასპინძლა.

მეორე დღეს, 22 აგვისტოს კიევში ოფიციალური შეხვედრები დაიწყო. საქართველოს პრემიერ-მინისტრი უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის, უმაღლესი რადას თავმჯდომარეს დმიტრო რაზუმკოვს და სხვა სახელმწიფო მოხელეებს შეხვდა. რაც მთავარია, ყირიმის პლატფორმის სამიტში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც 40-ზე მეტ სახელმწიფოთა ლიდერები დაესწრნენ. ჩვენ ვნახეთ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლა ინგლისურ ენაზე, ძალზედ დახვეწილად და მაღალ დონეზე.

რასაკვირველია, შოკში ჩავარდა მიხეილ სააკაშვილი, დორბლები ჰყარა საინფორმაციო ღრუდან, ადოლფ ჰიტლერსაც შეშურდებოდა. მთელი ღამე ირბინა კედლებზე, დილით ტელევიზორი ჩართო და ისევ დეემართა კრუნჩხვები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინაში, ყირიმის პლატფორმის სამიტის ფარგლებში, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ პირველი ხარისხის ორდენით – „დამსახურებისთვის“ დააჯილდოვა.

ამავე დროს, რამაც ჩვენი ყოფილი „უმფროსი“ წყობილებიდან გამოიყვანა, იყო ის, რომ კიევში ირაკლი ღარიბაშვილისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელის არაფორმალური შეხვედრაც გაიმართა.

ამას, ამ უბედურს ყველაზე ძალიან უყურადღებობა აღიზიანებს. ალბათ გახსოვთ, როგორ დასდევდა ხოლმე საერთაშორისო დონის შეხვედრებისას (თუკი სადმე მოხვდებოდა) მიხეილი ვლადიმერ პუტინს კუდში, რათა სურათი გადაეღო, ან კიდევ დალაპარაკებოდა. ეგ კი არა, რამოდენიმეჯერ ტუალეტის სიახლოვესაც შეამჩნიეს ჩაცუცქული, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს ელოდებოდა, ეგებ გამოსვლისას გამომელაპარაკოსო? არც ერთხელ არ გაუმართლა, რუსეთის პრეზიდენტი ეგეთ იაფფასიან ავანტიურებს იოლად ულებს ალღოს და ეგრევე მოსწვამს ხოლმე.

და მაინც... რა მოიფიქრა, როგორი სპექტაკლი დადგა უკრაინელმა მიხეილმა? 22 აგვისტოს ლვოვში დაკრძალეს აფხაზეთში საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული უკრაინელი მებრძოლი. სააკაშვილი რანაირი სააკაშვილი იქნებოდა, სიტუაცია სათავისოდ რომ არ გამოეყენებინა? მივიდა 1990-იან წლებში დაღუპული ჯარისკაცის კუბოსთან, ლამის დაემხო, ჭირისუფლებს ცრემლიანი თვალებით მიუსამძიმრა და მთელ ცივილიზებულ სამყაროს ტრაგიკული გამომეტყველებით მიმართა:

„უკრაინამ იბრძოლა საქართველოსთვის, 36 უკრაინელი დაიღუპა აფხაზეთში და ქართველებმა გადავუხადეთ მათ ვალი აღმოსავლეთ ფრონტზე, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ჩვენი გმირი ოფიცრები დაეცნენ აღმოსავლეთ ფრონტზე. მე მესმის, რომ ნამდვილი პრემიერ-მინისტრი არ არის, ვინც გუშინ და დღეს აქ იმყოფება, მაგრამ ფორმალურად ხომ მაინც ჰქვია საქართველოს მთავრობა, ერთი ყვავილი მაინც გამოეგზავნათ, თუ თვითონ არ მოვიდნენ. თუ ბორშის და სალას ჭამას გადააყოლეს ყველაფერი, გასაგებია, მაგრამ ეს არის შეურაცხყოფა არა მარტო უკრაინელების, ეს არის შეურაცხყოფა საქართველოსი, უპატივცემულობა ქართველი ერის. ეს არის საქართველოს გმირი, ნახეთ, ქართული დროშა ფრიალებს, ქართული დროშაა მის კუბოზე, საქართველოსთვის გასწირა თავი. ერთი მოკითხვა არა, აგერ არიან! გვერდზე მაინც ჩაევლოთ, ერთი ყვავილი გამოეგზავნათ, მრცხვენია, რომ ამდენი ხანი ამას ვითმენთ“!

სააკაშვილი ყოველ წინადადებაში ცრუობს: პირველი – ირაკლი ღარიბაშვილი და მთავრობის სხვა წევრები იმ დროს ლვოვში არ იმყოფებოდნენ. ეს კი ამტკიცებს, აგერ ჩაიარეს, ბორშის (სწორია „ბორშჩის“) და სალას ჭამა ამჯობინესო. ეს უტვინო ვერც კი გრძნობს, რომ ამ დროს შეურაცხყოფს არა მხოლოდ ქართულ მხარეს, უკრაინულსაც. თუმცა ამისთვის რომ ზრდილობა და დიპლომატია არ არსებობს, ამას წლების განმავლობაში ვხედავთ.

ღმერთმა დაუმკვიდროს იმ ჯარისკაცს სასუფეველი, რომელმაც სიმართლის, ანუ ჩვენს მხარეს იბრძოლა, მაგრამ რა უნდოდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამყიდველს, კოდორის ხეობის ჩამბარებელს, ასეულობით სოფლის გამსხვისებელს (შემდეგ ქვების გროვა რომ უწოდა), ტერიტორიების დამკარგავსა და გამნიავებელს მის დასაფლავებაზე, რატომ აღვარღვარებს ცრემლებს გამოცუცურაკებული აფერისტი?!




ირაკლი ღარიბაშვილს ამუნათებს ჩაფსმული ნასარდლარი, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში ცხინვალის ქუჩებში მიატოვა ჩვენი ბიჭების ცხედრები და თბილისში გამოქუსლა. „კუკურუზნიკის“ ხმაზე ისე დაფრთხა, ლამის ცხვირით გადახნა გორის მინდვრები!

მიხეილ, გახსოვს, რა ჩაიდინე? ნეტავ რა ფასი აქვს შენს ცრემლებს?

რატომ თამაშობ, შე გაქუცული ბოგანოვ, ამოიღე ხახვი ჯიბიდან, გადააგდე, მაგას არავინ დაგიჯერებს!

სწორედ ირაკლი ღარიბაშვილია ის კაცი, რომლის პრემიერობის დროსაც არაერთი ცხედარი გადმოასვენეს აფხაზეთიდან და დიდი პატივით დაკრძალეს!

სწორედ ირაკლი ღარიბაშვილია ის ადამიანი, რომლის მონდომებითაც ომში დაღუპულთა ოჯახებსა და შთამომავლებსაც ექცევათ განსაკუთრებული ყურადღება, ასევე დევნილებს!

მიხეილ, აღსანიშნავია, რომ 1990-იანი წლების შეიარაღებული მოქმედებებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების მექანიზმის ფარგლებში პირველი იდენტიფიცირება და გადმოსვენება 2013 წელს განხორციელდა. ამ დრომდე, გადმოსვენებულია 211 ნეშტი. დიახ, 2008 წლის აგვისტოში უწვერულვაშო ბიჭები რომ ჩააზოცინე ცხინვალის ქუჩებში, მათი პირველი ამოცნობა 2013 წელს მოხდა, 5 წლის შემდეგ და დღესაც გრძელდება ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით.

### ლირიკული გადახვევა ლეშის მჭამელის სპექტაკლში

მიხეილ სააკაშვილს ადრეც სჭირდა მანია გრანდიოზა, მაგრამ ახლა მთლად გააჭენა იქით, სრულ გაუგებრობაში. მაშინ, როცა მიხეილი აღარავის ახსოვს ორიოდ მფარველის გარდა, მაინც ჰგონია, დედამიწა მისი ნებართვით ტრიალებს. მისდამი დაქვემდებარებულ „უბორნვიზიაში“ (ე.წ. „მთავარში“) ნიკოლოზ (ჩაჯვი) გვარამიამ გამოაცხადა: „უკრაინის დამოკიდებლობის დღის სადღესასწაულო ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს მესამე პრეზიდენტი მსოფლიო პატრიარქსაც შეხვდა“-ო. პატრიარქსაცო, გეგონება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებთან თითო საათი ილაპარაკა და ეს კაციღა დარჩა. არადა, ვიდეოში კარგად ჩანს, როგორ მიდის მათხოვარი სააკაშვილი ბართლომეო პირველთან და ეუბნება: „გამარჯობა, მე ვარ მიხეილ სააკაშვილი“.

ამის შემდეგ სააკაშვილი ორ სასულიერო პირს მიუხტა, მე მიხეილი ვარ, სააკაშვილიო. ორიდან ერთმა ვერ გაიხსენა, მეორემ გაიხსენა, ოღონდ მისი ცოლი, სანდრა რულოვსი – თქვენ ჰოლანდიელი მეუღლე რომ გყავთ, ის არ ხართო? მოკითხვა გადაეცით ჩემგანო. ამან, ამ უკრაინელმა „ერისკაცმა“, დიდი მადლობა ყველას, თქვენი აქ ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანიაო. ისე იქცეოდა, გეგონება ვინმე რამეს ეკითხებოდეს, ან ვინმე რამედ აგდებდეს.

მოკლედ, ამ აფერისტმა უკრაინელი ჯარისკაცი 28 თუ 30 წლის შემდეგ დაიტირა ცხარე ცრემლებით კი არა და... ხახვი ედო-მეთქი ჯიბეში. ამას ეგრე ხელოვნურად ადრეც უტირია, 2007-ის შემდეგ არჩევნები რომ მოაწყო, გლეხობის წინაშე ჩამოყარა კურცხლები, შემდეგ ვიღაცები დაიტირა... ვიმეორებ: ტიპი ტირის იქ, სადაც არ უნდა ტიროდეს და იცინის იქ, სადაც უნდა ტიროდეს. მაგალითად, ეხლა ამ დღეში როა, განა საკუთარ თავს არ უნდა ტიროდეს? დიახ, უნდა ტიროდეს, ეს კი გადმომდგარა და თავის თავს ეჯღანება.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61



# „სამი C“ ანუ როგორ მოახერხა იაპონიამ მკაცრი შეზღუდვებისა და ვაქცინაციის გარეშე კორონავირუსის შეკავება?

მიუხედავად იმისა, რომ სრული „ლოქდაუნი“ არასოდეს გამოუცხადებია, იაპონია განვითარებულ ქვეყნებს შორის ერთ-ერთია, სადაც კორონავირუსით გარდაცვალების ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. 126.5 მილიონიან ქვეყანაში კოვიდ-19-ით 3252 ადამიანი გარდაიცვალა, მილიონ მოსახლეზე იაპონიაში კორონავირუსით 26 ადამიანი კვდება, შედარებისთვის, ამერიკის შეერთებულ შტატებში იგივე მაჩვენებელი 1034-ია.

იაპონია ჩინეთის შემდეგ, ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, სადაც კოვიდ-19-ს გავრცელდა, თანაც საკმაოდ უჩვეულო ვითარებაში. 2020 წლის თებერვალში, საკრუიზო გემი **Diamond Princess** 3,711 მგზავრით იძულებული გახდა ბორტზე კორონავირუსის გავრცელების გამო, იოკოჰამას პორტში გაჩერებულიყო და კარანტინი გამოეცხადებინა. გემზე 712 ადამიანი დაავადდა, მათგან 14 გარდაიცვალა. უცნობ საფრთხესთან დაპირისპირებამ იაპონიის ხელისუფლება აიძულა ვირუსთან ბრძოლის საგანგებო სტრატეგია შეემუშავებინა, რომელიც სხვა განვითარებული ქვეყნების სტრატეგიებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

### „სამი C-ის სტრატეგია“

იმის ნაცვლად, რომ ორ უკიდურესობას – მკაცრ ჩაკეტვასა და სრულ გახსნილობას შორის გაეკეთ-



ებინა არჩევანი, იაპონიის მთავრობამ მოზომილი მიდგომა არჩია და შეზღუდვების შემოღების საჭიროება რისკების შეფასებით განსაზღვრა. იაპონელმა ვირუსოლოგებმა გადაწყვიტეს, რომ ყველა ინფიცირებულის იდენტიფიცირებისა და იზოლირების მცდელობას აზრი არ აქვს – ისეთ მჭიდროდ დასახლებულ ქვეყანაში, როგორიც იაპონიაა, ქვეყანაში, ეს თითქმის შეუძლებელი იქნებოდა. მათი აზრით, დიდი რაოდენობით ტესტირებაც უაზრო იყო, რადგან ინფიცირებულთა დიდი ნაწილი უსიმპტომოდ ან ძალიან მსუბუქი სიმპტომებით ავადმყოფობდა. „თითოეული მოქალაქე ყოველ კვირას რომ შეგვემოწმებინა, ინფიცირებულთა გარკვეული რაოდენობა მაინც გაგვეპარებოდა“ – ამბობს ექსპერტთა საბჭოს წევრი, იაპონელი ვირუსოლოგი ოშიტანი ჰიტოში.

შესაბამისად, იაპონიაში კოვიდ-19–ის ტესტების რაოდენობა რამდენჯერმე ნაკლები იყო, ვიდრე დიდ შვიდეულში შემავალ სხვა განვითარებულ ქვეყნებში. სამაგიეროდ, იაპონელმა ვირუსოლოგებმა სხვა გზა აირჩიეს, რაც **Diamond Princess**-ის გამოცდილებამ უკარნახათ. ამ გემზე იყვნენ ექიმები, რომლებიც ყველა ჯანმო-ს დამტკიცებულ ანტივირუსულ პროტოკოლს იცავდნენ და მაინც დაინფიცირდნენ. ამიტომ, ვირუსოლოგებმა გადაწყვიტეს, რომ კორონავირუსი ჰაერ-წვეთოვანი გზით გავრცელდა. 2020 წლის მარტიდან ხელისუფლებამ იაპონელებს მოუწოდა თავი აერიდებინათ “სამი C”-თვის **(closed spaces, crowded places and close-contact settings** – დახურული სივრცე, ხალხმრავალი ადგილები და ახლო კონტაქტი). შესაბამისი განცხადებები ყველა მედიასაშუალებასა და სოციალურ ქსელში გავრცელდა. რამდენიმე თვის შემდეგ ჩატარებულმა გამოკითხვებმა აჩვენა, რომ ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

„სამი C“ სარეკომენდაციო ხასიათის იყო – იაპონიის კონსტიტუცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღეს, არ აძლევს მთავრობას უფლებამოსილებას, რომ ხალხს ქუჩაში ყოფნა აუკრძალოს ან დახუროს ბიზნესი, როგორც ეს ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში მოხდა. სამაგიეროდ, ხელისუფლების მოკავშირე გახდა იაპონელების ხასიათის ისეთი თვისება, როგორიცაა ძალაუფლებისა და წესრიგის პატივისცემა. უმეტეს შემთხვევაში, იაპონელები ნებაყოფლობით მიჰყვებოდნენ მითითებებს და საკამათოდ არ გაუხდიათ ამცირებს თუ არა ნიღბის ტარება მათ თავისუფლებას და ადამიანის ღირსებას, როგორც ეს აშშ -ში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ხდებოდა.

„ზოგჯერ ჩვენ გვაკრიტიკებენ, რომ ძალიან ერთგვაროვანი საზოგადოება ვართ, მაგრამ ამჯერად, ამან აშკარად პოზიტიური როლი შეასრულა“ – განაცხადა მთავრობის წევრმა, ნიშიმურა ისუტოშმა.

### არატრადიციული მიდგომა

ამ მხრივ, იაპონური მოდელი შვედეთისას წააგავს: ორივე ქვეყანაში მოქალაქეთა უმრავლესობა ენდობოდა მთავრობას და რეკომენდაციებს ნებაყოფლობით ასრულებდა.

აპრილის შუა რიცხვებში იაპონიაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას რესტორნებისა და კინოთეატრების მასობრივი დახურვა არ გამოუწვევია. მსოფლიოში უსწრაფესი სუპერკომპიუტერის, „ფუგაკუს“ სიმულაციურმა შედეგებმა აჩვენა, რომ მეტროში კარგი ვენტილაცია, მგზავრების ჭადრაკული პრინციპით განლაგება და სამედიცინო ნიღბების ტარება ინფექციის რისკს 75%-ით ამცირებს.

პანდემიასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჯანდაცვის იაპონურმა სისტემამ, რომელის ინფიცირებული ადამიანების კონტროლს ახორციელებდა. მასობრივი ტესტირების ნაცვლად, ექიმები ინფიცირებულთა კონტაქტებს ავლენდნენ და საავადმყოფოებში ან კოვიდ სასტუმროებში ათავსებდნენ, მიუხედავად დაავადების სიმპტომებისა და სიმძიმისა. თუმცა, აპრილის დასაწყისში ნათელი გახდა, რომ სისტემა ასეთ დატვირთვას ვერ გაუძლებდა, ამიტომ უსიმპტომო ან მსუბუქი ავადმყოფები სახლებში, თვითიზოლაციისთვის გაგზავნეს. პარალელურად, მძიმე შემთხვევების მკურნალობა სპეციალიზებულ კლინიკებში მიმდინარეობდა.

საბოლოოდ, ყველა ამ ღონისძიებამ შედეგი გამოიღო. მაისის ბოლოს ინფიცირების რაოდენობა 100,000 ადამიანზე 0.5 ქვემოთ ჩამოვიდა და მთავრობამ ჩათვალა, რომ შესაძლებელი იყო შეზღუდვების მნიშვნელოვანი ნაწილის მოხსნა.




### მეორე ტალღა

იაპონელების სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. ივნისში ინფიცირების მეორე ტალღა დაიწყო, რომელიც პირველს ბევრად აჭარბებდა. მთავრობამ ისევ გააძლიერა საინფორმაციო კამპანია, რომელიც ხალხს სახლში დარჩენასა და კონტაქტების შეზღუდვისკენ მოუწოდებდა. 2020 წლის ოლიმპიური თამაშები, რომელიც ტოკიოში უნდა ჩატარებულიყო, 2021 წლისთვის გადაიდო. ამის შემდეგ ინფიცირების შემთხვევების კლება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მეორე ტალღაში სიკვდილიანობა უფრო დაბალი იყო, ვიდრე პირველში.

ინფექციის მესამე ტალღა ოქტომბრის ბოლოს დაიწყო და პირველ ორ ტალღას რამდენჯერმე გადააჭარბა. იანვრის ბოლოს ტოკიოს საავადმყოფოებში საწოლები 73% -ით იყო დატვირთული, ხოლო ინტენსიური თერაპიის განყოფილებებში 113% -ით. ეკონომიკური მოსაზრებების გამო, მთავრობა და კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის საექსპერტო საბჭო საგანგებო მდგომარეობის ხელახლა შემოღებაზე დიდხანს ყოყმანობდა, რამაც მდგომარეობა გააუარესა, განსაკუთრებით საახალწლო არდადეგების დროს. საბოლოოდ, რამდენიმე პროვინციის გუბერნატორის მიმართვის შემდეგ, 7 იანვარს, პრემიერმა სუგამ 11 პროვინციაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი, შეზღუდვები გაცილებით რბილი იყო ვიდრე ევროპასა და ამერიკაში და ძირითადად საკონსულტაციო ხასიათს ატარებდა: რესტორნებს საღამოს 8 საათზე დახურვის რეკომენდაცია მიეცათ, დამსაქმებლებს – თანამშრომლების დისტანციურ მუშაობაზე გადაყვანის რეკომენდაცია, ხოლო რიგით მოქალაქეებს – სახლში დარჩენის. ეკონომიკის დაზიანების მიუხედავად, იანვრის ბოლოს ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის 90%-მა შეზღუდვების შემოღებას მხარი დაუჭირა.

### როგორ მიაღწია იაპონიამ წარმატებას?

ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის პერიოდული გაუარესების მიუხედავად, იაპონიაში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. იაპონიაში 1 მილიონ მოსახლეზე ინფიცირებულთა რიცხვი ათჯერ ნაკლებია ვიდრე შეერთებულ შტატებსა და ევროპაში (და თითქმის ცხრაჯერ ნაკლები, ვიდრე რუსეთში). იგივე სურათია 1 მილიონ ადამიანზე სიკვდილიანობის მხრივ. როგორ მოახერხა ეს მოსახლეობის ძალიან მაღალი სიმჭიდროვის მქონე ქვეყანამ, სადაც მოსახლეობის თითქმის მესამედი 65 წელზე მეტი ასაკისაა, ანუ რისკის ჯგუფშია? ამასთან დაკავშირებით, ექსპერტებს შორის ჩამოყალიბებული პოზიცია არ არსებობს, მაგრამ არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რამაც შეიძლება იაპონიის წარმატება ახსნას. პირველ რიგში, იაპონელები ძალიან ჯანსაღი ერია. იაპონელების მხოლოდ 4.2% აწუხებს სიმსუქნე, რაც 10 -ჯერ ნაკლებია, ვიდრე შეერთებულ შტატებში (სიმსუქნე ითვლება კორონავირუსის დამამძიმებელ ფაქტორად). ამასთან, იაპონელებს ევროპელებისგან განსხვავებული გენეტიკა აქვთ. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ შორეულ წარსულში (5000–25,000 წლის წინ) აღმოსავლეთ აზიაში უკვე იყო კორონავირუსის ეპიდემია, ამიტომ იაპონელების წინაპრებს ანტიგენები გამოუმუშავდათ. შესაბამისად, მოსახლეობას კორონავირუსის მიმართ წინააღმდეგობა გენეტიკურ დონეზე გააჩნია.



მეორეც, იაპონური წარმატების ერთ-ერთ ფაქტორად იაპონური ჯანდაცვის სისტემა და მისი რეგიონალური ცენტრები ითვლება, რამაც უზრუნველყო ექიმების კოორდინაცია და ინფიცირებულთა კონტაქტების ეფექტური მიკვლევა (ამ საქმისთვის 25000-ზე მეტი სპეციალურად მომზადებული ადამიანი იყო გამოყოფილი).

და ბოლოს, სისუფთავისა და ჰიგიენის მაღალი სტანდარტების ტრადიციულმა სიყვარულმა, იაპონურმა დისციპლინამ და ხელისუფლებისადმი ნდობამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# როგორ გავაძლიეროთ იმუნიტეტი პანდემიის პირობებში?

**იმუნიტეტი არის სხეულის ფუნქცია, რომელიც მავნე მიკროორგანიზმების, ვირუსებისა და ბაქტერიების ზემოქმედებისგან იცავს. მისი დასუსტების შემთხვევაში, სხეული გარე ინფექციებისგან თავის დაცვას ვეღარ ახერხებს. იმუნიტეტის დაცვა და მის გაძლიერებაზე ზრუნვა კორონავირუსის პანდემიის პირობებში ისე მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს, ამიტომ ამ წერილში იმუნური სისტემის ვიტამინებითა და ხალხური საშუალებებით გაძლიერების გზებზე გიამბობთ.**



### როგორ გავაძლიეროთ იმუნიტეტი?

სანამ იმუნური სისტემის გაძლიერებას შეუდგებით, აუცილებელია საკუთარი ცხოვრებიდან სრულად გამორიცხოთ მავნე ჩვევები და საკვები, რომლებიც მას ნორმალურ მუშაობაში ხელს უშლის. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც იმუნიტეტს ამცირებენ:

- სეზონური ავიტამინოზი;
- სტრესი;
- მავნე ჩვევები;
- რეჟიმის ნაკლებობა;
- იმუნომოდულატორების ბოროტად გამოყენება;
- მკაცრი დიეტები.

უკვე დადასტურებულია, რომ იმუნიტეტი ძლიერი ემოციური სტრესისა და ნერვულობის დროს ქვეითდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ სტრესის დროს წარმოიქმნება ისეთი ჰორმონები, როგორიცაა ნორეპინეფრინი და კორტიზოლი. ვინაიდან კორტიზოლის ჭარბი რაოდენობა აუტოიმუნურ პროცესებს იწვევს, ნერვიული ადამიანები უფრო ხშირად და ხანგრძლივად ავადდებიან. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ კორონავირუსით დაინფიცირების შიშთან დაკავშირებული პანიკა და სტრესი უარყოფით შედეგებს იწვევს.

ისიც დადასტურებულია, რომ ადამიანი, რომელიც გვიან იძინებს და ძილი აკლია, უფრო ხშირად ავადდება. ღამით, ძილის დროს წარმოიქმნება სასარგებლო ნივთიერებები, მათ შორის ანტისხეულები, რომლებიც ორგანიზმს ინფექციებთან ბრძოლაში ეხმარებიან. ამიტომ, იმუნური სისტემის გასაძლიერებლად სრულფასოვანი ძილი აუცილებელია.

მკაცრი დიეტა მრავალი თვალსაზრისით საზიანოა იმუნური სისტემისთვის, რადგან სხეული ვერ იღებს აუცილებელ ვიტამინებსა და მინერალებს საკვებიდან. მას ასევე შეუძლია გამოიწვიოს ვიტამინის დეფიციტი.

### იმუნომოდულატორები, ანტივირუსული პრეპარატები და იმუნიტეტი

იმუნომოდულატორი არის ნივთიერება, რომელიც გავლენას ახდენს იმუნიტეტზე. არსებობენ როგორც სხვადასხვა აუტოიმუნური დაავადებების სამკურნალოდ იმუნიტეტის შესამცირებელი, ასევე იმუნური სისტემის გამაძლიერებელი პრეპარატები. სწორედ მეორე ტიპის იმუნომოდულატორებს გამოიყენებენ პრევენციის მიზნით. ამავდროულად, იმუნოსტიმულატორული საშუალებები პრაქტიკულად აღარ გამოიყენება ევროპასა და აშშ -ში. ასეთი პრეპარატები არ შედის ექიმების კლინიკურ მითითებებში.

ანტივირუსული პრეპარატები რეალურად არ კლავენ ვირუსს, ისევე, როგორც ანტიბიოტიკები. ანტიბიოტიკს ბაქტერიების მოკვლა შეუძლია, მაგრამ უძლურია ვირუსის წინააღმდეგ. ვირუსი შეიძლება მოკვდეს მაღალი ტემპერატურის, ქიმიისა და რადიაციის შედეგად და ისიც მხოლოდ ადამიანის სხეულის გარეთ.

იმუნოლოგები დღემდე კამათობენ იმუნომოდულატორების ეფექტურობასა და გავლენაზე. ზოგი დარწმუნებულია, რომ იმუნომოდულატორები ბუნებრივ იმუნიტეტს „აზარმაცებს". ეს განსაკუთრებით ეხება პაციენტებს, რომლებიც აბებს უკონტროლოდ იღებენ, ნამდვილ ვირუსთან შეჯახების დროს კი იმუნურმა სისტემამ შეიძლება მასთან დამოუკიდებლად გამკლავება ვეღარ შეძლოს. ყველა მოსაზრება შეიძლება შეჯამდეს იმით, რომ იმუნოსტიმულატორული პრეპარატების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ექიმთან კონსულტაციისა და იმუნოლოგის თანხმობის შემდეგ.

სხეული ვირუსულ ინფექციებს დამოუკიდებლად, საკუთარი იმუნიტეტით და ვაქცინით უნდა ებრძოლოს, რადგან წამალი, რომელიც ვირუსს კლავს, უბრალოდ არ არსებობს!

თქვენ შეგიძლიათ გააძლიეროთ საკუთარი იმუნური სისტემა, თუ სწორად იკვებებით და შექმნით ყველა პირობას სხეულის სათანადო ფუნქციონირებისათვის. ამისთვის საჭიროა:

1. ძილის რეჟიმის მოწესრიგება;
2. მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება;
3. ჯანსაღი საკვები;
4. ვიტამინები;
5. სხეულის გაკაჟება.



### პროდუქტები, რომლებიც იმუნიტეტის გაძლიერებაში გეხმარება

ძლიერი იმუნიტეტის მთავარი პირობა სწორი, დაბალანსებული კვებაა, რომელიც ორგანიზმს საჭირო რაოდენობის ვიტამინებითა და მინერალებით უზრუნველყოფს. უფრო მეტიც, ბევრი ექიმი დარწმუნებულია, რომ იმუნური სისტემის გამართულად მუშაობის წყარო საჭმლის მომნელებელ სისტემაშია, რომელსაც შეუძლია საკვები ნივთიერებების საუკეთესო ათვისება უზრუნველყოს.

ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტები მდიდარია სასარგებლო ვიტამინებით და იმუნური სისტემისთვის საჭირო სხვა ნივთიერებებით. ბევრ მათგანს შეუძლია მავნე საკვები ჩაანაცვლოს, რომელსაც დღის განმავლობაში მოვიხმართ.

### ასკილი

C ვიტამინით მდიდარ ასკილს ანტიბაქტერიული ეფექტი გააჩნია. ის გაცილებით მეტ C ვიტამინს შეიცავს, ვიდრე ლიმონი და მოცხარი. დაასხით 80–100 გრ. ასკილს დაახლოებით 1 ლ. მდუღარე წყალი და რამდენიმე საათის განმავლობაში დატოვეთ. სასურველია, დღეში ერთი ჭიქა ასკილის ნაყენი მიიღოთ. ასევე შეგიძლიათ აფთიაქში ასკილის შხა სიროფი ან ნაყენი შეიძინოთ.

### თაფლი

დღეში ერთი სუფრის კოვზი თაფლი თქვენი იმუნური სისტემის გასაძლიერებლად სრულიად საკმარისია. საკმაოდ ეფექტურია თაფლით დამზადებული სამკურნალო ნარევებიც, რომლებიც სხეულის თავდაცვის ფუნქციას აძლიერებენ.

1. შეურიეთ ერთმანეთს თაფლი, დაჭყლეტილი ნიორი, ალოე, ლიმონი ან ჯანჯაფილი და დღეში ერთი კოვზი მიიღეთ.

2. ამ ნარევის დასამზადებლად დაგჭირდებათ ჭიქა-ნახევარი ქიშმიში, ორი ლიმონი, ერთი ჭიქა ნიგოზი, ნახევარი ჭიქა ნუშის გული. გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში ნიგოზი და კურკებგამოცლილი ლიმონი. შეურიეთ წვრილად დაჭრილი ნუშის გული, ქიშმიში და დაასხით 1,5 ჩ/ჭ ჭიქა ახალი თაფლი. დადგით 3–5 დღე ბნელ ადგილას ოთახის ტემპერატურაზე. მიიღეთ 1–2 ს/კ დღეში ერთხელ, ჭამამდე ერთი საათით ადრე.

### ჟენშენის ფესვი

ჟენშენის ფესვი აძლიერებს სხეულის უნარს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ინფექციებს, თუმცა მას უკუჩვენებებიც აქვს, ამიტომ სასურველია, რომ ექიმის დანიშნულებით მიიღოთ.

### სასარგებლო ჩაი

ჩაი ლიმონით, თაფლით, ჟოლოს მურაბით და ჯანჯაფილით ერთ-ერთი საუკეთესო ხალხური საშუალებაა იმუნიტეტის გაძლიერებისა და ვირუსების პროფილაქტიკისთვის. ასეთი ჩაი მდიდარია C ვიტამინითა და ანტიოქსიდანტებით.

### ნიგოზი

ვიტამინებისა და ზეთების დამსახურებით, ნიგოზი ხელს უწყობს იმუნური სისტემის გაძლიერებას. მას ასევე მაღალი კვებითი ღირებულება გააჩნია, თუმცა, ალერგენული პროდუქტია და გარკვეული უკუჩვენებებიც აქვს.



ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების გარდა, იმუნიტეტის ასამაღლებლად ძალიან ეფექტურია ჯანჯაფილის ფესვი, ნიორი, რომელიც ბუნებრივი ანტიბიოტიკი გახლავთ და უცხიმო წითელი ხორცი.

### ვიტამინები იმუნიტეტისთვის

თანამედროვე ცხოვრების რიტმი ზოგჯერ დროს არ გვიტოვებს ჯანსაღი კვებისთვის. ასეთ დროს ხელოვნურად სინთეზირებული „სააფთიაქო ვიტამინები" შესანიშნავი გამოსავალია. ჩვენ გთავაზობთ ვიტამინების ჩამონათვალს, რომელიც იმუნიტეტის გაძლიერებაში დაგეხმარებათ.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ჩვენ უკვე ვიღებთ ვიტამინებისა და მინერალების დიდ ნაწილს საკვებიდან, ამიტომ ვიტამინების ფარმაცევტული პრეპარატების საშუალებით დამატება არასასურველია. შეეცადეთ თქვენს ყოველდღიურ რაციონში შეიტანოთ ამ ელემენტებით მდიდარი საკვები, ხოლო დეფიციტი ვიტამინის კომპლექსებით შეავსოთ.

ვიტამინების დღიური ნორმა

- C – 10 გ-მდე;
- B1–1.5–2 მგ;
- B2–2–2.5 მგ;
- B6–2–3 მგ;
- B12–0.002 მგ;
- R – 25 მგ;
- PP – 0.25 მგ;
- U – 100–300 მგ;
- D – 0.001 მგ.
- A – 900 მკგ.

### მინერალების ყოველდღიური ნორმა

- თუთია – 15 მგ;
- რკინა – 10–15 მგ;
- კალიუმი – 2–5 გ;
- მაგნიუმი – 400 მგ;
- ფოსფორი – 1.2 გ;
- კალციუმი – 1 გ;
- სპილენძი – 30 მკგ / კგ – მოზრდილთათვის, 80 მკგ / კგ – მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, 40 მკგ / კგ – უფროსი ასაკის ბავშვებისთვის.
- მანგანუმი – 2–3 მგ;
- ქრომი – 100–200 მკგ;
- სელენი – 150–200 მკგ.
- იოდი – 200 მკგ.

და ბოლოს, სასურველია, სააფთიაქო ვიტამინები ექიმთან ერთად შეარჩიოთ. ჯანმრთელობას გისურვებთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

# შავი ხუთშაბათი ავღანეთში

„...ჩემი აზრით, უკვე დროა, დავამთავროთ ყველაზე ხანგრძლივი ომი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებს უწარმოებია“, — განაცხადა აპრილის შუა რიცხვებში პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. მხედველობაში ჰქონდა ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაცია, რომელსაც კოალიციური ჯარები 2001 წლის ოქტომბრიდან ახორციელებდნენ. ანალიტიკოსები იმთავითვე ვარაუდობდნენ, რომ აშშ-ის ჯარების გასვლით ავღანეთში მშვიდობა არ დაისადგურებდა, შესაძლებლად მიაჩნდათ სამოქალაქო ომის ხელახლა დაწყება. სამწუხაროდ, გამართლდა მათი პესიმისტური პროგნოზი. აშშ-სა და კოალიციური ჯარების გასვლა დასრულებული არ იყო, მაგრამ მსოფლიოში ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულმა მოძრაობა თალიბანმა შეძლო ქვეყანაში



ძალაუფლების ხელში აღება.

ავღანეთის ხელისუფლებაში თალიბანის ელვისებურმა მოსვლამ ჯო ბაიდენის რეიტინგზე საგრძნობლად იმოქმედა — ათ დღეში ერთბაშად 15%-ით დაიწია და 40%-ს ჩამოსცდა.

ხელისუფლებაში თალიბების მოსვლის შემდეგ 10 დღეში ჯო ბაიდენს ოთხჯერ მოუხდა განმარტებების გაკეთება, ფაქტობრივად, თავის მართლება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ჟურნალისტებმა მის ერთ განცხადებას. თურმე მათი (აშშ-ის ყოფილი და მოქმედი ადმინისტრაციების) მიზანი სულაც არ ყოფილა ავღანეთში დემოკრატიული წყობის დამყარება და მისი თანამედროვე ქვეყნად გარდაქმნა. თალიბების მოსვლამდე ავღანეთს ნატოს არაწევრ ქვეყნებს შორის მთავარ მოკავშირედ მიიჩნევდნენ.

ბრიფინგებზე, წინასწარ მომზადებული სცენარის მიუხედავად, ბაიდენი ხშირად იბნეოდა. თუმცა გამოსავალს მაინც პოულობდა. ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვა-მონოლოგზე, რატომ მოხდა ჯარების გაყვანა ავღანეთიდან ნაუცბათევად და ქაოტურად, ბაიდენმა უპასუხა: „...შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ან დამატებითი ძალები უნდა გამეგზავნა, რაც ქვეყანას დღეში 150–300 მილიონი დოლარი უჯდება, ან გამომეყვანა. მე ბოლო ვარიანტი ვარჩიე“. აშშ-ში აქტიურად საუბრობენ ავღანეთში გაწეული ხარჯების კორუფციულ გარიგებებში გამოყენებაზე. დაუზუსტებელი ინფორმაციით, 2,5 ტრილიონი დოლარიდან, რომელიც ავღანეთში 20 წლის მანძილზეა დახარჯული, 600 მილიარდი „გამქრალი“ ყოფილა. ეჭვებს აძლიერებს ავღანეთის ყოფილი პრეზიდენტის აშრაფ განის მიერ წაღებული 170 მილიონი დოლარი ნაღდი ფული...

როგორი წყობა დამყარდება ავღანეთში, დღემდე გაუგებარია. თალიბების განცხადებით, მთავრობის ფორმირებას მას შემდეგ დაიწყებენ, როდესაც აშშ-ის ჯარები სრულიად დატოვებენ ქვეყანას. თუმცა ცდილობენ საერთაშორისო საზოგადოების თვალში ავტორიტეტის მოპოვებას. მათი განცხადებით, მთავარია ქვეყანაში მშვიდობის დამყარება. ისინი პირობას იძლევიან, რომ დაიცავენ ადამიანის, განსაკუთრებით ქალების უფლებებს. მიუხედავად ამისა, უკვე დაიწყეს ცალკეულ, მათთვის არასასურველ პირებზე ანგარიშსწორება, ქალების ქუჩაში დასჯა. სავარაუდოდ, მათი დანაპირები ფუჭი იქნება. თალიბები მოსახლეობას მოუწოდებენ, დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს. ავღანეთში პროფესიონალების დეფიციტია ნებისმიერ სფეროში.

ავღანეთიდან ჯარების გაყვანისთვის, რასაც თალიბანის ხელისუფლებაში მოსვლა მოჰყვა, ჯო ბაიდენის კრიტიკას აღარავინ ერიდება. პოლიტიკური ოპონენტების გარდა, დემოკრატებმაც გაამტყუნეს პრეზიდენტი. დიდი ბრიტანეთის ყოფილი



პრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის განცხადებით, „ავღანეთიდან ჯარების გაყვანა იდიოტურად მოხდა!“

დისტანციურად გაიმართა „დიდი შვიდეულის“ საგანგებო სამიტი. გავრცელებული ინფორმაციით, საკმაოდ რთული საუბრები ჰქონდათ ქვეყნების ლიდერებს. დიდი ბრიტანეთი ევაკუაციის ვადების გადაწევას ითხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. ჯარების დროულად გაყვანას კატეგორიულად ითხოვს თალიბანი. პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა ბაიდენი „მძინარე ჯოდ“ მოიხსენია კერძო საუბარში და აღნიშნა, რომ დონალდ ტრამპთან თანამშრომლობა გაცილებით იოლი იყო. ამიტომაც წერდნენ ამერიკულ პრესაში, რომ „ბაიდენი გადაიჩეხა!“ ბაიდენი თანაგუნდელებმაც კი მიატოვეს. ამ რთულ პერიოდში კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსი საერთოდ არ გამოჩენილა თითქმის სამი კვირაა. ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი სინგაპურსა და ვიეტნამში გაემგზავრა და არც მას გაუკეთებია ბაიდენის მხარდამჭერი განცხადება. ბაიდენი თავის ადმინისტრაციასთან ერთად უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა.



„ბაიდენის შავი ხუთშაბათი“, — წერდა ამერიკული პრესა გასულ კვირას. ნაადრევი აღმოჩნდა ჯო ბაიდენის თავდაჯერებულობა, რომ მისი პრეზიდენტობისას ავღანეთიდან უდანაკარგოდ გაიყვანდა სამხედროებს. სწორედ გასულ ხუთშაბათს, დღის მეორე ნახევარში ქაბულში რამდენიმე აფეთქების ხმა გაისმა. უცნაურია, მაგრამ დღესაც გაურკვეველია, რამდენი აფეთქება იყო. მხარეები სხვადასხვა ციფრს ასახელებენ — ორიდან შვიდამდე. აფეთქების ეპიცენტრი ქაბულის საერთაშორისო აეროპორტში იყო, სადაც თავმოყრილი იყო ათასობით ადამიანი, რომლებიც ქვეყნიდან გაქცევას ლამობენ. ტერაქტის შედეგი ნამდვილად სავალალოა — დაღუპულია 200-ზე მეტი ადამიანი, დაშავდა 1500-ზე მეტი. დაღუპულთაგან 13 აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეა. თალიბანმა დაკარგა 23 მეომარი. თვითმხილველების მონათხრობით, აფეთქების შემდეგ პანიკაში ჩავარდნილმა ამერიკელმა სამხედროებმა უმისამართო სროლები დაიწყეს ხალხის მიმართულებით. ამიტომაცაა ამდენი დაღუპული. გაირკვა, რომ აეროპორტში ტერაქტი თვითმკვლელმა განახორციელა. ერთ-ერთ სასტუმროსთან კი დანაღმული ავტომობილი აფეთქდა.

ვითარება ქაბულის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რბილად რომ ვტქვათ, ხალხისთვის გაუსაძლისი იყო. ჯერ კიდევ ტერაქტამდე 50-მდე ადამიანი დაიღუპა სხვადასხვა მიზეზით. გაუსაძლის სიცხეს ენით აუწერელი ანტისანიტარია ემატებოდა. აეროპორტის გარე პერიმეტრის დაცვას თალიბები ახორციელებდნენ, შესასვლელებს და შიდა ტერიტორიას კი — ამერიკელი სამხედროები. ამოწმებდნენ ყველა შემსვლელს, ფაქტობრივად, ჩხრეკდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, თვითმკვლელმა ტერორისტმა სწორედ შემოწმების შემდეგ აიფეთქა თავი. როგორ მოხვდა შეიარაღებული ტერორისტი შემოწმების შემდეგ აეროპორტის ტერიტორიაზე, დღემდე გამოცანად რჩება.

მოსალოდნელ ტერაქტზე საკუთარ მოქალაქეებს აქტიურად აფრთხილებდნენ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაცია, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, დაზვერვის სამსახურები, სიფრთხილისკენ მოუწოდებდნენ მათ და ურჩევდნენ, თავი შეეკავებინათ აეროპორტში მისვლისგან. მიუხედავად ამისა, ტერაქტის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. სამხედრო ექსპერტები ახლა ცდილობენ გაერკვნენ, რისი ბრალი იყო ეს — გულგრილობის თუ არაპროფესიონალიზმის.

მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობა საერთაშორისო ტერორისტულმა ორგანიზაციამ.ე.წ. „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო. ავღანეთში მათი ყოფნის შესახებ უკვე რამდენიმე წელია, საუბრობენ პოლოგოლოგები. თუმცა ამაზე კოალიციური ჯარების სარდლობა ყურადღებას არ ამახვილებდა. განხორციელებული ტერაქტის შემდეგ „იგილის“ მებრძოლები სხვა შეტევებითაც დაემუქრნენ როგორც კოალიციურ ჯარებს, ასევე — თალიბებს. საინტერესოა, რომ „იგილი“ ღიად დაუპირისპირდა თალიბებს, რომელსაც არ მოსწონს თალიბანის მოქმედება ქვეყანაში. „იგილი“ თალიბანს პროდასავლურ ორგანიზაციად მიიჩნევს.

თალიბანის განცხადებით, ტერაქტი მათ წინააღმდეგ იყო განხორციელებული, რაც საერთაშორისო საზოგადოების თვალში ორგანიზაციის, ანუ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. მოსახლეობას სიმშვიდისკენ და ღამით ქუჩაში გასვლისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდეს. ჩატარებული რეიდების შედეგად „იგილის“ რამდენიმე მებრძოლი დააკავეს ტერორიზმის ბრალდებით. აეროპორტის ტერიტორიაზე შექმნილ ქაოსში თალიბები კოალიციურ, კონკრეტულად, აშშ-ის ჯარებს ადანაშაულებენ.



ტერორისტულმა აქტმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ჯო ბაიდენსა და მის ადმინისტრაციას. მართალია, ბაიდანმა დაიქადნა, „არავის არაფერს ვაპატიებთ, ყველას საკადრის პასუხს გავცემთო“, მაგრამ ჯერ დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისთვის მოუწევს პასუხის გაცემა. „სირცხვილი“, კატასტროფა“, „საშინელება“ — ეს სიტყვები ხშირად გვხვდება ამერიკულ პრესაში. უხუცესი პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი მომხდარს აშშ-ის სასტიკ მარცხად აფასებს. მოქმედი დიპლომატი ნიკი ჰეილი აცხადებს: „...ბაიდენი მშიშარა ადამიანია! მას სისხლში აქვს გასვრილი ხელები! ბაიდენი და ჰარისი ღირსები არ არიან, მართონ ჩვენი ქვეყანა! ბაიდენის გადადგომის შემთხვევაში პრეზიდენტი ჰარისი გახდება, რაც ათჯერ უარესია!“ ჯო ბაიდენს დემოკრატი კონგრესმენებიც დაუპირისპირდნენ. რესპუბლიკელებმა უკვე დაიწყეს იმპიჩმენტის პროცედურისთვის მზადება. მათ ახალი მოთხოვნა წამოაყენეს — ბაიდენი თავის გუნდთან ერთად უნდა წავიდეს.

პოლიტიკოსები აშშ-ში პოლიტიკურ კრიზისზე საუბრობენ. პოლიტიკოსების დიდი ნაწილი ბაიდენს სამხედრო დამნაშავედ მიიჩნევს და სამხედრო ტრიბუნალისთვის მის გადაცემასაც ითხოვს. ბრიტანელი გენერლის რიჩარდ კემპის განცხადებით: „...ბაიდენმა დაამცირა საკუთარი ქვეყანა, არმია... იმპიჩმენტი კი არა, ის სამხედრო ტრიბუნალს უნდა გადასცენ!“ პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ამავე დროს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია და ძნელია თქმა, როგორ შეიძლება, ის ტრიბუნალს გადასცენ. ამასობაში კი აშშ-ში სახელისუფლებო კრიზისი მწვავდება. მსოფლიო კი შეშფოთებით ადევნებს თვალს ავღანეთსა და აშშ-ში მიმდინარე მოვლენებს. ხვალინდელი დღის პროგნოზირებისგან ყველა თავს იკავებს. კოალიციური ჯარების გასვლა ერთია, მაგრამ საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები როგორც ავღანეთში, ასევე აშშ-ში.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია



**„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი**

მთვარისა კევლიშვილი.

ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

**— რამდენია პატიმრობის მაქსიმალური ვადა განაჩენის გამოტანამდე?**

— იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება: სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში — 9 თვე, არასრულწლოვანი ბარლდებულის შემთხვევაში კი — 6 თვე.

* * *

**— ჩემმა ახლობელმა მოიხადა პირობითი მსჯავრი. ითვლება თუ არა იგი ნასამართლეობის მქონე პირად?**

— აღარ ითვლება.

ამ სახის შეკითხვა ხშირად შემოდის ჩვენს რედაქციაში. ამიტომ სრულყოფილი ინფორმაციისთვის წარმოგიდგენთ შესაბამის ნორმას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მუხლი 79. ნასამართლობა

1. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა — გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;



ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა — სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

* * *

**— პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?**

— ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში — საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. . . .

ასევე, დამატებით გეტყვით შემდეგს: არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ხდება 1- ლი ინსტანციის სასამართლოში. თქვენ არ აღგინიშნავთ თქვენს შეკითხვაში, ექვემდებარებოდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას. თუ ექვემდებარებოდა, მაშინ სააღსრულებო სამსახური არ უნდა დაელოდოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს.

წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე და დასკვნები თავად გამოიტანეთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 268-ე მუხლი: დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

1. სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით მთლიანად ან ნაწილობრივ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილებები:

ა) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

ბ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;

გ) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;

დ) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;

ე) (ამოღებულია);

ე 1) უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ;

ვ) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;

ზ) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება. (ძალადაკარგულია „ზ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სადავო ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, როდესაც მის შედეგად დაცული სიკეთე არ აღემატება აღსრულების დაყოვნების შედეგად მიყენებულ ზიანს) — საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N1/5/675,681 — ვებგვერდი, 11.10.2016წ.

11. ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. აღსრულება არ შეჩერდება ამავე დავის საგანზე მესამე პირის სარჩელის საფუძველზედაც.

2. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში.

3. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება, თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას.



**„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მრავალი სამეცნიერო შრომის და გამოგონების ავტორის, ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მიღწევის კონცეფცია-პროგრამის — „ქვეყნის აღმშენებლობის ახალი ეკონომიკური კონსტიტუციის“ ავტორის, საქართველოს ბუნებრივი სასმელი წყლის ინდუსტრიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის პაატა გიორგაძის მოულოდნელი გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს ოჯახს და მეგობრებს.**

## გენადი ხერგიანის ხსოვნას



**ჩვენო ძვირფასო მამა, ჩვენო ძვირფასო მშობელო, ძვირფასო მეგობარო, უკეთილშობილესო ადამიანო, დიდი ტრაგედია დაატყდა ჩვენს ოჯახს და მთელ სახერგიანოს, ჩვენო გენადი.**

**შენ იყავი იმ უდიდესი გვარის წარმომადგენელი, რომელსაც სახერგიანო ჰქვია — მელიტონ ხერგიანის შვილი და ბექნუ ხერგიანის ძმისშვილი.**

**შენც შეუერთდი იმ დიდ მამულიშვილებს ლეხთაგის სასაფლაოზე, სადაც შენი სისხლნი და ხორცნი განისვენებენ.**

**ნათელი და სანთელი ყველა მათგანის სულს!**

**დღეს სიტყვები უძლურია იმ მწუხარების გამოსახატავად, რასაც თითოეული ჩვენგანი განიცდის.**

**მადლიერი ვართ ღვთის წინაშე იმ ბედისთვის, რომ შენ ჩვენს ცხოვრებაში იყავი.**

**ორი თვე გმირულად ებრძოდი ვერაგ დაავადებას, ერთიც არ დაგიკვნესია, ისე დატოვე წუთისოფელი და გადაინაცვლე იმ სამყაროში, „სადაცა მართალნი განისვენებენ“.**

**უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი და ნათელი დაადგეს შენს სპეტაკ სულს.**

***უმორჩილესად გთხოვთ მოიხსენიოთ ლოცვებში გენადი ხერგიანის სული.***

შენი დიდი ოჯახი

# „მე გაოცებული ვარ იმით, რომ ამდენი ფული მაქვს“

ბარაკ ობამამ თეთრი სახლი ხუთი წლის წინათ დატოვა. ამ დროის განმავლობაში მის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, მან და მისმა მეუღლემ რამდენიმე ავტობიოგრაფიული წიგნი დაწერეს, რომლებიც აშშ-სა და სხვა ქვეყნებში ბესტსელერებად იქცა. მიღებულმა შემოსავლებმა წყვილს მილიონობით დოლარი მოუტანა, რასაც ისინი ძვირადღირებულ მოგზაურობებში, ელიტურ სახლებსა და ძვირფას სამოსში ხარჯავენ.

„მე გაოცებული ვარ იმით, რომ ამდენი ფული მაქვს“, — თქვა ბარაკ ობამამ 2018 წელს სამხრეთ აფრიკაში ნელსონ მანდელას ფონდის მიერ მოწყობილ ლექციაზე. როცა ობამა თეთრ სახლს ტოვებდა, მისი პოპულარობის რეიტინგი არნახულად მაღალი იყო. ამასთან, იზრდებოდა მისი ოჯახის ქონებაც. დღეისთვის, სხვადასხვა შეფასებით, ობამას ოჯახის კაპიტალი 70-დან 135 მილიონ დოლარამდეა. ამასთან, დიდი ნაწილი წიგნებიდან მიღებული შემოსავალია.

მიშელ და ბარაკ ობამა თანამედროვე წყვილია, რომლებსაც განუსაზღვრელი გავლენა აქვთ და ამასთან, სანიმუშო ოჯახად რჩებიან. გაცნობისას მიშელი 25 წლის იყო. ის ჩიკაგოში არსებულ ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაში მუშაობდა და დამაჯერებლად მიიწევდა წინ კარიერულ კიბეზე.



მიშელი ბატაკმა გაცნობისას თავდაჯერებულობით, გულწრფელობით და არასტანდარტული აზროვნებით მოაჯადოვა. მათ მალე შეუყვარდათ ერთმანეთი და იმ რამდენიმე წელმა, როცა ბარაკი უნივერსიტეტში სწავლობდა, მათი ერთად ყოფნის სურვილს ვერაფერი ავნო.

წყვილი არ მალავს, რომ მუდმივად მუშაობენ ურთიერთობებზე, საზოგადოების თვალში ისინი ჩვეულებრივ მეუღლეებად რჩებიან, რომლებსაც ადამიანური პრობლემები აწუხებთ.

წარმატებული პრეზიდენტობის რვა წლის შემდეგ წყვილმა საკუთარი გვარი ძვირადღირებულ ბრენდად აქცია.

## „ვახშმობისას, ვცდილობ, ამის შესახებ არ ვილაპარაკო“

2020 წლის ნოემბერში გამოვიდა ბარაკ ობამას ავტობიოგრაფიის პირველი ნაწილი „აღთქმული მიწა“. პირველივე კვირას 1,7 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ეს ობამას პირველი შემოქმედებითი წარმატება როდია, უფრო ადრე გამოცემული 3 წიგნის გაყიდვით თეთრი სახლის ყოფილმა პატრონმა 15 მილიონ დოლარზე მეტი იშოვა.

ბარაკის შემოსავალი მიშელისას ვერ შეედრება. 2018 წელს მიშელის წიგნის 10 მლნ ეგზემპლარი გაიყიდა. იმ წლისთვის წიგნი ყველაზე სწრაფად გაყიდვადი გახდა, მიშელის ნამუშევარი კი ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე პოპულარული გამოცემა.

გამომცემლობა **Penguin Random House**-სთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, თითოეული მემუარის გამოცემის შემდეგ ობამებს 60 მილიონი დოლარი ერიცხებათ.

მიშელი ამაზე არ შეჩერდა და თავისი პუბლიკაციის წარმატება შემოსავლად აქცია. ავტობიოგრაფიის მხარდამჭერ პრომოტურში 30 ქალაქზე მეტი შედიოდა, მათ შორის, ევროპის ქვეყნების დედაქალაქებიც. მისგან ინტერვიუ აიღეს ოპრა უინფრიმ, სარა ჯესიკა პარკერმა, რის უიზერსპუნმა და სხვ. წიგნის პრეზენტაციაზე ბილეთის ფასი ბრუკლინის „ბარკლაისცენტრში“ სამი ათასი დოლარი იყო.

შემოსავლების ათ პროცენტს მეუღლეები ყოველთვის ქველმოქმედებაზე ხარჯავენ.

2018 წელს წყვილმა ხელშეკრულება დადო კინოსტუდია **Netflix**-სთან, რომლის თანხამაც 50 მლნ დოლარი შეადგინა. ამასთან, მათ მიერ დაარსებული საპროდიუსერო კომპანია **Higher Ground Productions**-ი გადაიღებს სერიალებს, მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს. ამ კომპანიამ გადაიღო ნაწილობრივ მიშელ ობამას მემუარებზე დაფუძნებულ დოკუმენტურ სურათზე „ჩამოყალიბება“, რომელიც **Netflix**-ის პლატფორმაზე 2020 წლის მაისში გავიდა.

მიუხედავად მიშელის წიგნების წარმატებისა, ეჭვგარეშეა, რომ ბარაკ ობამას ბიოგრაფიის გაყიდვები ბევრად გადააჭარბებს მათ და ყველა რეკორდს მოხსნის. „ვახშმობისას, ვცდილობ, ამის შესახებ არ ვილაპარაკო“, — გაიხუმრა ბარაკ ობამამ, როცა აღნიშნა, რომ მისი წიგნები მიშელისაზე უკეთ იყიდება. ამის გამო ქალი სულაც არ წუხს და ამბობს, რომ გაყიდვებიდან მიღებული ფულით ის ახალ ფეხსაცმელს იყიდის.

## კლინტონის კვალდაკვალ

პრეზიდენტობის ვადის გასვლის შემდეგ ობამა, ისევე, როგორც სხვა პრეზიდენტები, წელიწადში 200 ათას დოლარს იღებს. ეს ფული ახლოსაც ვერ მივა იმ თანხებთან, რასაც ბარაკი და მიშელი წიგნების გაყიდვებით იღებენ. გარდა ამისა, ობამამ ყოფილი პრეზიდენტების შემოსავლების ახალი წყაროც აითვისა, რომელიც კლინტონებმა შემოიღეს — კონფერენციებზე, კერძო ლექსიებსა და სემინარებზე ანაზღაურებადი გამოსვლები.

ბარაკის თითოეული გამოსვლა 400 ათასი დოლარი ღირს, მიშელისა კი დაახლოებით 225 ათასი დოლარი.

ამგვარად, ობამას გამოსვლა ერთ-ერთ კოროპრაციას 800 ათასი დოლარი დაუჯდა, ხოლო უოლ-სტრიტის კომპანიაში სამი გამოსვლის შედეგად ყოფილმა პრეზიდენტმა 1,2 მლნ დოლარი გამოიმუშავა. ობამას ბანკირებთან თანამშრომლობა ფარისევლობად ჩაუთვალეს, რადგან პრეზიდენტობის დროს ის მკაცრად აკრიტიკებდა ბანკებს და საზოგადოებაში მზარდ ფინანსურ უთანასწორობას.

## ხელმისაწვდომი ლუქსი

ობამას წყვილი ხელმისაწვდომი მოდის მიმდევრები არიან. ბარაკი არაერთხელ წარსდგა საზოგადოების წინაშე ერთსა და იმავე სმოკინგში, მიშელი კი ისეთ სამოსს იცვამს, როგორსაც ჩვეულებრივი საშუალო კლასის ამერიკელი. მაღალი სტატუსი და მაღალი შემოსავალი საშუალებას აძლევს მათ, ძვირადღირებული სამოსი და ნივთები ატარონ. მაგალითად, ბარაკის **Rolex Cellini**-ს საათი დაახლოებით 15 ათასი დოლარი ღირს. ამასთან, ყოველდღიურად ის ფიტნეს-საათს ატარებს, რომლის ღირებულებაც 150 დოლარია.




მიშელ ობამას ექსკლუზიური სამოსი, რომელიც თეთრ სახლში გამართული საზეიმო მიღებისთვის ვერსაჩემ შექმნა, 12 ათასი დოლარი ღირდა...

## ტრამპების მეზობლად

თეთრ სახლში ცხოვრების შემდეგ ობამას ოჯახმა გადაწყვიტა, დამკვიდრებულ ჩვევებზე უარი არ ეთქვა. გარდა ამისა, მათი უმცროსი ქალიშვილი ჯერ კიდევ ვაშინგტონის სკოლაში სწავლობდა, რაც კიდევ ერთი მიზეზი გახდა იმისთვის, რომ დედაქალაქში დარჩენილიყვნენ და შინ, ჩიკაგოში არ გამგზავრებულიყვნენ.

მიშელმა კვლავ ის სახლი შეარჩია, რომელსაც ადრე ქირაობდნენ ვაშინგტონის ყველაზე ფეშენებელურ რაიონში, კალორამაში. სახლში 8,1 მილიონი დოლარი გადაიხადეს. მათზე ძვირადღირებული მხოლოდ ჯეფ ბეზოსის (ამაზონის მფლობელი) სახლია. მათი მეზობლები არიან ივანკა ტრამპი, ასევე უცხოელი ელჩები, რომელთა რეზიდენციები აქვეა განლაგებული.

ოჯახმა 11,75 მლნ დოლარად დასასვენებელი მამულიც შეიძინა. ეს გახლავთ მასაშუსეტში, კეიპ-კოდის კონცხთან მდებარე მართას-ვინიარდის კუნძული. სხვადასხვა დროს უძრავ ქონებას ამ კუნძულზე ფლობდნენ ჟაკლინ კენედი, ბილ გეიტსი და ოპრა უინფრი.



## „ყველა კერძს ვერ გასინჯავ და ყველგან ვერ იმოგზაურებ“

ობამას ოჯახის მთავარი გატაცება მოგზაურობაა. ახლა მათ უკვე შეუძლიათ თავს ამის უფლება მისცენ. ტრამპის ინაუგურაციის შემდეგ ბარაკი ოჯახით რამდენიმე თვე პალმ-სპრინგსი ისვენებდა, მერე პოლინეზიაში, ჰავაიზე და ბალიზე.

ოჯახს კამპანიონობას უწევენ ცნობილი მულტიმილიონერები, რომლებთანაც ობამა პრეზიდენტობის დროიდან მეგობრობს. ოჯახმა დრო გაატარა კერძო კუნძულ ნეკერზე, რომელიც ბრიტანეთის ვირგინიის კუნძულების შემადგენლობაშია და რიჩარდ ბრენსონს, ბიზნესიმპერია „ვირგინის“ დამაარსებელს ეკუთვნის.

კერძო კუნძულ ტეტიაროაზე, რომელიც ფრანგული პოლინეზიის კუნძულების შემადგენლობაშია, ოჯახმა ბუნგალო დაიქირავა. ობამებთან ერთად ისვენებდნენ ოპრა უინფრი, ტომ ჰენკსი...

საფრანგეთში, ვილნევ-ლეზ-ავინიონში მოგზაურობა, სადაც მე-18 საუკუნის მამული იქირავეს, რომელიც მდინარის შუაგულში კუნძულზე მდებარეობს და მსხლის ბაღით, მზესუმზირების მინდვრებით არის გარშემოტყმული და ჩოგბურთის კორტები და აუზიც აქვს, ასევე ორი შეფ-მზარეულისა და ოფიციანტების მომსახურება კვირაში 62 ათასი დოლარი დაუჯდათ. „ყველა კერძს ვერ გასინჯავ და ყველგან ვერ იმოგზაურებ. ესე იგი, საკმარისი ფული მაქვს“, — ამბობს ხოლმე ობამა...

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, ნელი თორდია, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატა ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99